პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ივლისი ხუთშაბათი 2012 №169 (13 775) ფასი 80 თეთრი

## თოკომოტივი ცეცხლით ბრუკლინ ნეთსში

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხელ თორნიკე შენგელიამ ბრუკლინ ნეთსთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამერიკელებმა 20 წლის ქართველის ყოფილ კლუბ „შარლერუას" 300 ათასი დოლარი გადაუხადეს. ბრუკლინის შემადგენლობაზე ვრცლად მე-12 გვერდზე ტარტამელას წერილში წაიკითხავთ



# NBAჩის!



## ული ჰიონესი წლის ყველაზე სასაცილო ანეკდოტი:

### ბლატერი ფიფას მომდევნო არჩევნებში მონაწილეობაზე ფიქრობს

5

2



## ვის დარჩება ვიქტორია?

### დანიაში ავდარია, დილა გაგარია?

დღეს ევროპალიგაზე
20:00 მეტალურგი-ვიქტორია
21:00 ორჰუსი-დილა

## დაიწყეს



### ვილანოვა: ფორვარდი? გამორიცხულია!



### მოურინიო რაულს შეხვდა

8-9

## ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 8 დღე

ქართული ფეხბურთი

ევროპალიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

# პაველ ვრბა: მეტალურგი პიუნიკზე რთულია

19.07. თბილისი. მ. მესხი. 20:00

მეტალურგი (საქართველო) VS ვიქტორია (პლზენი, ჩეხეთი)

**დღეს რუსთავის "მეტალურგს" სერიოზულ მეტოქესთან მოუწევს შეხლა. პლზენის "ვიქტორიამ" შარშან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ითამაშა, "მილანთან" შინ ფრე მოახერხა, ბორისოვის ბატე-ს მოუგო, "ბარსელონასთან" ორივე მატჩი წააგო, მერე ევროპა ლიგაზე გადაერთო და 1/16-ფინალში "შალკესთან" დამარცხდა. ამით იმის თქმა გვსურს, რომ "პლზენი" საკმაოდ გამოცდილი გუნდია და კლასიც არ უნდა დაეწუნებოდეს.**



ჩეხების ვარჯიში — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

"მიხეილ მესხზე" რუსთავის "მეტალურგმა" გუშინ ვარჯიში საღამოს ექვსის ნახევარზე დაიწყო და 45 წუთის შემდეგ მინდორი ჩეხურ "ვიქტორიას" დაუთმო. სტუმართა გუნდის 37 წლის კაპიტანმა, **პაველ ხორვატმა** ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა:

- თბილისში იმას ვეცდებით, რომ გოლი გავიტანოთ, საპასუხო მატჩისთვის აქედანვე უნდა შევიქმნათ რაღაც უპირატესობა.

**- რუსთავის "მეტალურგზე" რა აზრის ხართ?**

- რთული მოწინააღმდეგე გვყავს, ხვალ დილით, თამაშის დღესაც გვექნება ტაქტიკური მეცადინეობა. "მეტალურგს" კარგი დაცვა ჰყავს, ალბანელებს ორი მატჩის ჯამში ცხრა გოლი რომ გაუტანა, იმაზე მიუთითებს, რომ მეტოქე შეტევაშიც ძლიერია.

"პლზენი" ვარჯიშს რომ შეუდგა, გუნდის მთავარი მწვრთნელი **პაველ ვრბა** საპრესკონფერენციო დარბაზისკენ გაეშურა და ჩეხი თუ ქართველი მასმედიელების კითხვებს პასუხობდა.

**- ქართველებთან მატჩს რა დანაკლისით ხვდებით?**

- ორი წამყვანი ფეხბურთელი არ გვეყოლება - მცველი მარიან ჩიშოვსკი ტრავმირებულია, ხოლო თავდამსხმელი მარეკ ბაკოში ახლახან "შალკეში" წავიდა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ცვლილება გუნდზე გავლენას ახდენს, თუმცა შევეცდებით, რომ ამ დანკლისმა დიდად არ იმოქმედოს ჩვენზე.

**- მოწინააღმდეგეს როგორ შეაფასებდით?**

- ქართველების თამაშს ალბანეთში ვუყურე "ტეუტასთან", მეტოქეზე საკმარისი ინფორმაცია მაქვს, ცხრა გოლი რომ გაუტანა ალბანელებს, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**- "მეტალურგიდან" ყველაზე უფრო რომელ რგოლს გამოარჩევდით?**

- მთლიანობაში გუნდი მომეწონა, თუმცა დაცვას მაინც გამოვარჩევდი.

**- დიმიტრი ტატანაშვილზე რას გვეტყოდით? რამდენად სახიფათოა ის თქვენი გუნდისთვის?**

- ამ თავდამსხმელს კარგად ვიცნობ, კარგი ფეხბურთელია, განსაკუთრებით კარის სიახლოვეს არის სახიფათო. მან იცის გოლის გატანა.

**- წინა სეზონში, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევში სომხურ "პიუნიკს" ეთამაშეთ – როგორ შეადარებდით "პიუნიკს" "მეტალურგთან"?**

- "პიუნიკი" ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი იყო, "მეტალურგში" კი გამოცდილი ფეხბუთელები თამაშობენ. ვფიქრობ, ამ ეტაპზე "მეტალურგი" უფრო რთული მოწინააღმდეგეა. გუნდში 21 წლის ედგარ მალაკიანი სწორედ "პიუნიკიდან" ავიყვანეთ.

**- თბილისური ხვატი არ გადარდებთ?**

- მართლაც ძალიან ცხელა, თუმცა თამაში საღამოს 8 საათზეა და ეს ოპტიმალური ვარიანტია ამ სიტუაციაში.

**- რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

- გოლები და უნდა მოგება.

**დავით თავართქილაძე**

ტორპედო



დავით გამეზარდაშვილი — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# კაპიტანი გაუშვეს

## გიგაურმა ახალი კონტრაქტი გააფორმა

ქუთაისის „ტორპედოში" საკადრო ცვლილებები დაიწყო და როგორც ჩანს, ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე სრულიად განახლებულ გუნდს ვიხილავთ. ყველაფერი ყაზახურ "აქტობესთან" ევროპის ლიგაზე მტკივნეულმა მარცხმა განაპირობა.

„ტორპედოს" პრესსამსახურის ცნობით, კლუბმა მადლობა გადაუხადა გაწეული სამსახურისთვის და ორმხრივი შეთანხმებით, ცენტრალურ მცველებს, კაპიტან **დავით გამეზარდაშვილსა და თემურ ფარულავას** კონტრაქტი შეუწყვიტა.

30 წლის გამეზარდაშვილი "ტორპედოში" 2011 წელს დაბრუნდა და გასულ სეზონში 35 თამაშში 5 გოლი გაიტანა. 28 წლის თემურ ფარულავა კი ქუთაისურ გუნდში 3 წელი, ჯერ კიდევ პირველი ლიგიდან მოყოლებული ასპარეზობდა და უმაღლეს ლიგაში "ტორპედოს" ალზევების შემდეგ 45 მატჩი ჩაატარა.

ბოლო ინფორმაციით, გამეზარდაშვილის დამატება ზუგდიდს" სურს, ფარულავას კი ფოთის "კოლხეთში" იწვევენ, სადაც ადრეც უთამაშია.

როგორც ამბობენ, წმენდა ამით არ დასრულებულა და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას უნდა ველოდოთ.

**მერაბ გიგაურთან** კი ახალი კონტრაქტი გაფორმდა. 19 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა გუნდთან 5-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და კლუბს მომავალი 2017 წლის 1 აგვისტომდე დაუკავშირა.

გიგაური "ტორპედოში" 2010 წელს ჩაირიცხა და 23 მატჩში 1 გოლი გაიტანა. 2011 წლების სეზონში კი ერთი წლით პოლონურ „იაგელონიაში" იჯარით გაუშვეს. ახალგაზრდა ნახევარმცველი ქუთაისურ გუნდს მოსამზადებელი ეტაპისთვის დაუბრუნდა – მართალია, პოლონელებს იჯარის შემდეგ ტრანსფერის გამოსყიდვა სურდათ, მაგრამ "ტორპედოს" ხელმძღვანელობამ ნიჭიერი ახალგაზრდის გაშვება არ ისურვა.

გიგაური "ტორპედოსთან" შეკრების პირველივე დღიდან ერთად ვარჯიშობდა და მიმდინარე მოსამზადებელ ეტაპზე დღემდე გამართულ ყველა ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა.

"ტორპედოში" ვარჯიშობს აზერბაიჯანული აზალის ნახევარმცველი, 27 წლის **ნუგზარ კვირტია**. მაგრამ ჩაირიცხება თუ არა, მალე გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

# თემურ შალამბერიძე: ორჰუსთან ოპტიმალური შემადგენლობით ვითამაშებთ

19.07. ორჰუსი. NRG პარკი. 21:00

ორჰუსი (დანია) VS დილა (საქართველო)

**ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის "დილა" დღეს დანიაში "ორჰუსს" შეხვდება.**

**მატჩამდე მასპინძელთა ქართველ თავდამსხმელს, დავით სხირტლაძეს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**- დანიელებს გორის "დილას" მიმართ რა დამოკიდებულება აქვთ?**

- 16 წელია "ორჰუსს" ევროთასებზე არ უთამაშია და ყველა განსაკუთრებულ მოლოდინშია. მეტოქეს ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც სერიოზულად ვეკიდებით, რადგან ვიცით, რომ "დილა" კარგი გუნდია.

**- შენი აზრით, უპირატესობა ვის მხარეს არის?**

- ძნელი სათქმელია, საერთო ჯამში ვინ მოიგებს. საკუთარი სტადიონისა და ფანების გამო, დანიაში გარკვეული უპირატესობა ჩვენც გვაქვს.

მეორე მხრივ, უპირატესობა გორის "დილასაც" აქვს, რადგან მათი მწვრთნელები დანიის ჩემპიონატის პირველ ტურში ჩვენი და "ოლბორგის" მატჩს დაესწრნენ და გუნდზე რეალური წარმოდგენა შეიქმნეს. ჩვენებს კი, რამდენადაც ვიცი, გორელთა ბოლო მატჩები არ უნახავთ და შეიძლება ითქვას, რომ "დილას" ნორმალურად არ ვიცნობთ.

**- ქართველებთან თამაშის გამო ნერვიულობ?**

- "დილაში" ნაკრებში ჩემი ყოფილი მწვრთნელი გია ცეცაძე და ჩემი მეგობარი გიორგი ილურიძე თამაშობენ. მაგრამ სანერვიულო არაფერია, საკლუბო დონეზე საკუთარი ქვეყნის გუნდის წინააღმდეგაც გიწევს თამაში.

**- შენ და დევდარიანი ძირითადში ითამაშებთ?**

- განაცხადში ვიქნები, შემდეგ ვნახოთ. დათოც, ალბათ, ჯერ სათადარიგოებში იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მწვრთნელი აუცილებლად ათამაშებს.

■ ■ ■

დანიაში "დილას" მთავარ მწვრთნელ **თემურ შალამბერიძესაც** დავუკავშირდით და მატჩისწინა სამზადისზე ველაპარაკეთ.

**- როგორი განწყობით ხვდები მატჩს?**

- მეც და მთელი გუნდიც კარგ განწყობაზე ვართ და თამაშს იმედიანად ველოდებით.

**- მატჩისწინა ვარჯიშმა როგორ ჩაიარა?**

- მშვენივრად, "ორჰუსს" პატარა და ძალიან კარგი სტადიონი აქვს, სადაც დღეს საღამოს ვივარჯიშეთ და მოედანიც ძალიან მოგვეწონა. ეგაა, წვიმს და ცივა, მაგრამ ზაფხულში ასეთ ამინდში თამაში ურიგო არ იქნება.

**- ყველა მოთამაშე ჯანმრთელად არის?**



თემურ შალამბერიძე

- დიახ, ყველა მწყობრშია და ოპტიმალური შემადგენლობით ვითამაშებთ.

**- სხირტლაძე ამბობს, რომ დანიელებს "დილას" თამაში არ უნახავთ და ეს გორელთა უპირატესობა არისო.**

- "ორჰუსის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გვითხრა, რომ თქვენი თამაშები ვნახეთ და გუნდი მოგვეწონაო. ამასაც არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ღირსეულად ვითამაშოთ და საქართველო არ შევარცხვინოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ტორპედომ აზერბაიჯანიდან ქართველი მიიწვია

**ნუგზარ კვირტია ქუთაისის "ტორპედოში" ვარჯიშობს და მისი საკითხი მალე გადაწყდება. ქართველი გულშემატკივრისთვის ნაკლებად ცნობილ ამ ფეხბურთელს ერთ-ერთმა აზერბაიჯანულმა გაზეთმა მათ ლიგაში მოთამაშე ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ქართველი უწოდა.**

იყო ალბათობა, კვირტია **კახა ცხადაძის** ბაქოს „ინტერში" გადასულიყო. 27 წლის ნახევარმცველი ბოლოს ბაქოს აზალ-ში თამაშობდა, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ მთავარ მწვრთნელთან, **ვაგიფ სადიგოვთან** კონფლიქტის გამო კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა. მაშინ იყო ცნობა, რომ კვირტიას ცხადაძე იწვევდა.

ქართველი ნახევარმცველით „რავანიც" დაინტერესდა, მაგრამ კვირტია ზაქათალას „სიმურგის" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ჩიხრაძემ** მიიწვია და ეს ტრანსფერი გადაწყვეტილი გვეგონა - აზერბაიჯანული გამოცემა „ექსტრატაიმის" ცნობით, ტრანსფერი ოფიციალურად უნდა დადასტურებულიყო, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა და კვირტია სამშობლოში დაბრუნდა.

ნალენჯიხელი კვირტია რუსეთში გაიზარდა და მოსკოვის საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა. საქართველოში 14 წლისა დაბრუნდა, 1999-2000 წლებში თბილისის „დინამოს" დუბლებში თამაშობდა. 2001 წელს კი რუსულ „ხიმკიში" ჩაირიცხა. მერე იყო კრასნოგორსკის „ზორკი" (2004–06), „რიაზანი" (2007), „ზელენოგრადი" (2008) და „ზნამია ტრუდა" (2009). აზალ-ში კი 2009 წლის შემოდგომაზე გადავიდა.

გუშინ კვირტიას დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

- "ტორპედოში" ჩემი ჩარიცხვა გადაწყვეტილი არ არის. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გუნდში ვვარჯიშობ, ესაა და ეს. აზალ-იდან წამოსვლის შემდეგ არც მივარჯიშია და ცხადია, მწვრთნელს ჩემი მდგომარეობა აინტერესებს.

**- აბა, აზერბაიჯანში "ინტერი", "რავანი" და "სიმურგი" იწვევდნენო?**

- ლაპარაკი იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ლაპარაკადვე დარჩა.



ნუგზარ კვირტია

**- აზერბაიჯანელები შენს თამაშს დადებითად აფასებდნენ და უგუნდოდ როგორ დარჩი?**

- აზერბაიჯანში ლეგიონერებზე მკაცრი ლიმიტი დააწესეს და დიდი გადასახადებია, რომლისგანაც მხოლოდ ნაკრების წევრი მოთამაშეები თავისუფლდებიან და კლუბები ასეთ მოთამაშეებს ეძებენ. მე კი ნაკრებში არ მითამაშია და პრობლემა ამის გამო შემექმნა.

**- „ნეფთჩისა" და "ზესტაფონის" შეხვედრაზე რას იტყოდი, ნუთუ აზერბაიჯანისა და საქართველოს ჩემპიონატებს შორის ასეთი კატასტროფული სხვაობაა?**

- აზერბაიჯანელებმა უფრო დიდი ანგარიშითაც რომ მოგოთ, ვერავინ დამარწმუნებს, რომ ჩვენ და მათ ჩემპიონს შორის დიდი სხვაობაა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ "ზესტაფონმა" საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა. იმედი მაქვს და დარწმუნებულიც ვარ, რომ განმეორებით მატჩს "ზესტაფონი" უკეთ ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. ნეფთჩი-ზესტაფონი. გამოხმაურება



ილია კოკაია

## პრეზიდენტის ბოდიში და დაპირება:

### ნეფთჩის ბარიერს დავძლევთ

"ნეფთჩისთან" დაპირისპირებას "ზესტაფონისა" და მთლიანად ქართული ფეხბურთის ქომაგები დიდი იმედებით ელოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თავი ვერაფრით გამოიჩინა – ბაქოში 0:3 განადგურდა და შემდეგ ეტაპზე გასვლის მცირე შანსილა შერჩა.

განსაკუთრებით განწილებულები ის გულშემატკივრები დარჩნენ, რომლებიც აზერბაიჯანის დედაქალაქში ავტობუსით გაემგზავრნენ და მარცხით გამოწვეულ სიმწარესთან ერთად, დამღლელი მგზავრობით გამოწვეული შეგრძნებებიც იგემეს.

"ზესტაფონის" ოფიციალურმა ვებგვერდმა კლუბის პრეზიდენტის, **ილია კოკაიას** გულშემატკივრებისადმი მიმართვა გამოაქვეყნა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

*"საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს" და პირადად კლუბის პრეზიდენტს გვინდა ბოდიში მოვუხადოთ როგორც იმ გულშემატკივრებს, ვინც, მრავალსაათიანი დამღლელი მოგზაურობის შემდეგ, ბაქოში ჩავიდნენ და „ზესტაფონს" დაუჭირეს მხარი, ასევე გუნდის უსუსური ასპარეზობით გულნატკენ ყველა იმ ადამიანს, ვინც გუშინდელი შეხვედრის პირდაპირ სატელევიზიო რეპორტაჟს ადევნა თვალყური.*

*საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" პრეზიდენტი გპირდებით, რომ გუნდი დაძლევს ბაქოს „ნეფთჩის" ბარიერს და უეფას ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის საგზურს მოიპოვებს".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

# აბრაგანი აზერბაიჯანულად

## ვინ არის პირველი ამიერკავკასიაში?

**იმ ქვეყნის ჩემპიონმა, სადაც ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადის, საქართველოს ჩემპიონს აბრაგანი ამოსცხო – 3:0 ბაქოს "ნეფთჩისგან". ამის შემდეგ ძალაუნებურად ჩნდება კითხვა – ამიერკავკასიაში ვინ არის ყველაზე მოწინავე საფეხბურთო ქვეყანა?**

საქართველო ფეხბურთშიც დეკორატიულ ქვეყანას ემსგავსება. კლაუს ტოპმიოლერი, ექტორ კუპერი...ფეხბურთის ფედერაციის გალამაზებულ-გარემონტებული შენობა, ინფრასტრუქტურული პროექტები, უეფას სუპერთასი და 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესაძლო მასპინძლობა – დინამიკა არის, ფეხბურთი კი...

ჩვენ რაღაც შეგვეშალა და ისევ გვეშლება. "ზესტაფონის" მარცხიც "ნეფთჩისგან" რაღაცის შედეგია. ეს ძალიან პრინციპული მატჩი იყო, საიდანაც საქართველოს ჩემპიონი ნაცემი გამოვიდა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატს ბევრი მასხრად იგდებს და ბევრს მიაჩნია, რომ იქ მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი ნაკრებისთვის საინტერესო არ არის. მე არ მახსოვს საქართველოს ნაკრების ისეთი მწვთნელი, წმინდა პროფესიული ინტერესის გამო წასულიყოს აზერბაიჯანში და იქ მოთამაშე ქართველები ენახოს. ალბათ იმიტომ, რონ ჩვენი დეკორაციებისთვის აზერბაიჯანული ტონები გამოსადეგარი არ იყო, ჰოდა, ესეც თქვენ – აბრაგანი აზრებაიჯანულად.

იქ ჩვენზე ადრე დაიწყეს ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნვა, ეს იყო მათი სახელმწიფო პოლიტიკა. ხელისუფლების ინიციატივით კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებიდან დაიწყო ფულის გადაქაჩვა საფეხბურთო კლუბებში. აზერბაიჯანში დაახლოებით 9 მილიონი მაცხოვრებელია და საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას 12 გუნდი ჰყავს. გეოგრაფიას თუ გადავავლებთ თვალს, თითქმის ყველა რეგიონს მოეპოვება გუნდი უმაღლეს ლიგაში, ანუ იქაური ჩემპიონატი მოფულიანებულიცაა და დაბალანსებულიც.

აზერბაიჯანი სპეციფიკური ქვეყანაა. დემოკრატიის განვითარებაზე იქ თავს დიდად არ იწუხებენ, მაგრამ კეთილდღეობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. აზერბაიჯანს წაგებული აქვს საყარაბახო ომი სომხეთთან, მაგრამ მარცხის შემდეგ ახალ ომებს ერიდება. მოკლედ, კეთილდღეობის გარდა იქ სტაბილურობაც კრიტერიუმია.

და ფეხბურთი, რომელიც **ილჰამ ალიევის** პოლიტიკის საკვანძო საკითხია. იქ მოთამაშე ჩვენი ლეგიონერებისგან გამიგია, კონტრაქტში სხვა თანხას გვიწერენ და ხელზე უფრო მეტს ვიღებთო. მოკლედ, აზერბაიჯანში რალაც-რალაცებზე თვალი იხუჭება, იქაური ფეხბურთის განვითარების მოდელი რალაცით ნაავგავს **თურგუთ ოზალის** იმ პროექტს, რომლის განხორციელებითაც თურქულმა ფეხბურთმა ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია.



შესაძლოა, აზერბაიჯანშიც ფული ფეხბურთში ისე სწორად და ეფექტურად არ იხარჯება, როგორც საქართველოში ან სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენზე მეტი ფული ნამდვილად იხარჯება, ფული კი ძალიან ბევრ რამეს ამარცხებს. როცა ინვესტიცია უწყვეტია, ნებისმიერ სისხლძარღვს გააფართოვებს, სარქველს გახსნის და საქმეც წინ წაიწევს.

"ზესტაფონი" წლობით ნაშენები გუნდია და ამით კიდევ უფრო მწარეა საქართველოს ჩემპიონის წაგება ბაქოში. შარშანდელის მერე ეს გუნდი ვერ გაძლიერდა, შეიძლება ითქვას, რომ ოდნავ დასუსტდა კიდეც. **ნიკა გელაშვილი** რომ დიდი ძალა იყო, ამას მტკიცება მგონი არ სჭირდება. მარგველებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფეხბურთელად ითვლებოდა **შოთა გრიგალაშვილი,** თუმცა ისე მოხდა, რომ ეს მრავალმხრივი შუახაზელი გორის "დილაში" გადავიდა. მისი სრულფასოვანი შემცვლელი "ზესტაფონს" არ აღმოაჩნდა. გელაშვილი და შოთა გრიგალაშვილი – ორი ლიდერის წასვლამ **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი დაასუსტა. ზესტაფონელებმა ისეთი სატრანსფერო პოლიტიკა განახორციელეს, რომ გელაშვილ-გრიგალაშვილის შეცვლას დრო სჭირდება, **ოვონიკოკოს, ლევან შარიქაძესა** და **ლუკა გუგუჩიას** საერთაშორისო გამოცდილება, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ.

"ზესტაფონი" აზერბაიჯანის ჩემპიონთან შეხლაში გათვლას იმაზე აკეთებდა, რომ მეტოქეზე უფრო შეთამაშებული გუნდია, მაგრამ ამ ფაქტორმა ჩვენებურების სასიკეთოდ ვერ იმუშავა. თავიანთი საქმისა ფეროელებმა უკეთ უწყიან, ოლონდაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში შესვლას უწყვეტი და მზარდი ფინანსური ზურგი რომ სჭირდება, საკამათო არ უნდა იყოს. "ზესტაფონი" კი ხმაურიან ტრანსფერებს მოერიდა...

**ბრუნო ბერტუჩი, ჯულიუს ვობაი, ჯავიდ იმამვერდიევი** – საქართველოს ჩემპიონის დასამარცხებლად თურმე ასეთი კონტინგენტიც საკმარისია, ოლონდაც ეს კონტინგენტი კლუბს იაფი არ უჯდება.

კალკულაციის უნარში არავის ვეპაექრები, თუმცა ხუთი მილიონი ევრო ალბათ ის მინიმუმია, საიდანაც ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრისთვის ოცნება იწყება. საქართველოს სამი-ოთხი ასეთი ბიუჯეტიანი კლუბი რომ ჰყავდეს, "ნეფთჩის" და მისთანების უკან მოტოვება აღარ გაძნელდებოდა, ბოლოს და ბოლოს, ქართული გენი ფეხბურთში ალბათ რაღაცას წარმოადგენს და ამიერკავკასიაში მაინც უნდა ვიყოთ პირველები.

**დავით თავართქილაძე**

# აზერბაიჯანული სტუმართმოყვარეობა

"ნეფთჩი"-"ზესტაფონის" თამაშის შესახებ "ლელოს" მკითხველი კარგადაა ინფორმირებული, ახლა თვალი კადრს მიღმა მოვლენებს გადავავლოთ.

ჟურნალისტთა ნაწილი გუნდს თვითმფრინავით გაჰყვა, ნაწილი კი მათ გულშემატკივარს ავტობუსით, მათ შორის მეც. გუნდს ბაქოს აეროპორტში ბარგი დაეკარგა და ორსაათიანი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, იპოვეს, წინასამატჩო ვარჯიშზე კი "ნეფთჩის" ქომაგებმა ქართველ ფეხბურთელებს სინქრონში აგინეს.

საზღვარზე გადასვლა არც გულშემატკივრებისთვის ყოფილა მარტივი. ერთ-ერთ ფანს დიდი ხნის განმავლობაში ჩაჰკირკიტებდნენ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები და დიდი ხნის წვალების შემდეგ, ნება დართეს, გადაელახა საზღვარი, თუმცა მთელი სირთულე წინ იყო - ავტობუსი, რომლითაც გულშემატკივრები გადაადგილდებოდნენ, დაახლოებით, სამი საათის განმავლობაში გამშვებ პუნქტზე ჰყავდათ გაჩერებული შესამოწმებლად. როგორც შემდეგ განმარტეს, ახალი ცვლა უნდა მისულიყო და შეფერხება სწორედ ამან გამოიწვია, თუმცა ყველა ჩვენგანმა კარგად დაინახა, თუ როგორ უპრობლემოდ გამოდიოდნენ სატვირთო თუ მსუბუქი მანქანები.

ბაქოში ჩასვლის შემდეგ, სტადიონზე "ზესტაფონის" პრესატაშე, **სერგო ფუტკარაძე** დაგვხვდა, რომელმაც კუთვნილი აკრედიტაციები გადმოგვცა. ერთ შესასვლელში უარი გვითხრეს შეშვებაზე, არც მეორეში დაგხვედრიან ხელგაშლილები - ფუტკარაძემ მათ აკრედიტაცია წარუდგინა, კართან დაახლოებით 7-8 ადამიანი იდგა, რომლებიც სტადიონზე წესრიგს აკონტროლებდნენ, მათგან მხოლოდ ერთს ესმოდა რუსული გაჭირვებით, დანარჩენები, სავარაუდოდ, ლათინურ ანბანთანაც მწყრალად იყვნენ - ჩვენს აკრეტიდაციებზე დატანილი სიტყვა - MEDIA, ვერ მიხვდნენ, რას ნიშნავდა. იმერელთა პრესატაშემ ბევრი უხსნა, რომ ჟურნალისტები ვიყავით, მხოლოდ მე შემიშვეს, ალბათ იმიტომ, რომ გოგონა ვიყავი, ბიჭები გარეთ დატოვეს, შემდეგ კი მეც მომთხოვეს, გავსულიყავი. შემდეგ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მათ საკუთარი გამომცემლობის პრესბარათი აჩვენა, რომელზეც დიდი ასოებით PRESS ეწერა და მხოლოდ ამან გაჭრა - სტადიონზე შეგვიშვეს.



გიორგი ჭიაბრიშვილმა ბაქოში ზესტაფონს აზერბაიჯანელთა მიერ მიცემული გადასაცმელით უხელმძღვანელა

პრესლოჟაში ინტერნეტი არ იყო. გვითხრეს, რომ უახლოეს წუთებში ჩაირთვებოდა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტის კომპიუტერმა შეძლო იმ ინტერნეტის მიღება, რომელიც სტადიონზე იყო, დანარჩენები ისე დავრჩით, პრობლემა ჰქონდა ინტერნეტკავშირზე კლუბის პრესატაშესაც. საბოლოოდ, ეს საკითხი ჩვენთვის მოუგვარებელი დარჩა, რამდენიმე აზერბაიჯანელმა კოლეგამ ჩვენი გასაჭირი გულთან მიიტანა და ეცადნენ, როგორმე დაგვხმარებოდნენ, მაგრამ ამაოდ...

კიდევ ერთი პრობლემა უწყლობას ეხებოდა. რამდენიმე ბოთლი წყალი იდგა მაგიდებზე, რომელიც ივლისის სიცხეების გათვალისწინებით, ძალიან მალე გამოილია. ვთხოვეთ, იქნებ გვიშველოთ რამეო, მაგრამ ჯერ იკითხეს, ვინ ვიყავით, როცა გაიგეს, რომ ქართველი ჟურნალისტები ვიყავით, არ გვაქვსო, გამოგვიცხადეს, არ გვაქვსო. არადა, ოთახში ყუთებით ეწყო წყლების ბოთლები. როგორც მოგვიანებით გაირკვა, წყლის პრობლემა თავად ქართველ ფეხბურთელებსაც ჰქონდათ.

შეხვედრის დაწყებამდე ველოდებოდით, რომ ვინმე განაცხადს მოგვცემდა, მაგრამ ეს არავის გახსენებია. "ზესტაფონის" პრესატაშემაც ძლივს იშოვა ხელით გადაწერილი განაცხადი, სადაც ძლივს ირკვეოდა სახელები და გვარები.

კიდევ ერთი უცნაურობა თუ დამამცირებელი ჟესტი, ქართველი მწვრთნელების გამოჩენა იყო ე.წ. "ნაკიდკებით", რომლებსაც, როგორც წესი, ფეხბურთელები და მოედნის პერსონალი იყენებენ. **გიორგი ჭიაბრიშვილი** და მისი ასისტენტები ჯერ საკუთარი კლუბის ეკიპირებით გამოვიდნენ მოედანზე, მაგრამ მოგვიანებით, მათ მწვანე გადასაცმელები მიუტანეს. ყველა დამეთანხმება, რომ არც ერთ თამაშზე მსგავსი რამ არ უნახავთ.

24 ივლისს განმეორებითი შეხვედრა იმართება ზესტაფონში. იმედია მარგველები, დაანახებენ ჩვენს მეზობლებს, როგორია ნამდვილი იმერული სტუმარმასპინძლობა. აქვე ვისურვებთ, რომ ეს მასპინძლობა შეხვედრის შედეგზე არ აისახება და ჭიაბრიშვილის გუნდი შემდეგ ეტაპზე გავა.

**მაგდა კლდიაშვილი**

თბილისი-ბაქო-თბილისი

# ქართული ფეხბურთი

დინამო

## ახალი ფორმა ნაიკისგან

### დინამოს ლოგო შეიცვალა

თბილისის "დინამოს" პრესსამსახურის ცნობით, რებრენდინგისა და გუნდის ახალი იმიჯის შექმნაზე შარშან დაწყებულ პროცესზე შვეიცარული სააგენტო "ინტერბრენდი" ზრუნავს.

"ინტერბრენდი" საფეხბურთო სამყაროში ძალზედ ცნობილი კომპანიაა. ტურინის "იუვენტუსი", დონეცკის "შახტარი", ყაზანის "რუბინი"... ეს იმ გუნდების მცირე ჩამონათვალია, რომელთა იმიჯის განახლებაზეც შვეიცარიელებმა ბოლო წლებში იმუშავეს და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. მათ შეისწავლეს გუნდის, თბილისის ისტორია და ფასეულობები. შედეგად, შეიქმნა იმიჯი, რომელიც "დინამოს" სიმბოლოდ იქცევა.

ტრადიციული ფერები - ლურჯი და თეთრი, კლასიკური "დინამოს" სიმბოლო - ლათინური D "ინტერბრენდის" დიზაინერებმა თბილისისა და თავისუფლების სიმბოლოსთან, მიმინოსთან შეახამეს.

ახალი იმიჯის პრეზენტაცია გუნდის თბილისში დაბრუნების შემდეგ გაიმართება, სადაც ქომაგი ბრენდის განვითარების გეგმებსაც გაეცნობა. სლოვენიურ შეკრებაზე გუნდი ახალი ეკიპირებით გაემგზავრა.

რებრენდინგთან დაკავშირებით კიდევ ერთი სიახლეა. წელს "დინამო" ამერიკული კომპანია "ნაიკის" ეკიპირებით შეიმოსება. ბუნებრივია, უცვლელია ძირითადი სათამაშო ფერები ლურჯი და თეთრი, მესამე, ნეიტრალური ფორმა წითელი იქნება", – იუწყება "დინამოს" პრესსამსახური.

**მერაბ მამულაშვილი**





ფოტოები: fcdinamo.ge

## დინამოს ესპანელებმა მოაგებინეს

სლოვენიურ შეკრებაზე დინამოელებმა პირველი საკონტროლო შეხვედრა სერბულ "ბორჩასთან" გამართა და 1:0 გაიმარჯვა.

სერბული კლუბი განსაკუთრებული მიღწევებით ვერ გამოირჩევა –სერბეთის რეგიონულ ლიგებში წლები გამოდიოდა, ელიტაში კი მხოლოდ 2008-2009 წლების სეზონში აღზევდა.

თბილისელთა ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში "დინამოს" ლიდერმა, **გიორგი მერებაშვილმა** თქვა, რომ ნოვი სადის "ვოივოდინაში" ასპარეზობისას "ბორჩას" კარიც აულია, გუნდი კი ახალგაზრდულია, რომელშიც აქცენტს პერსპექტიულ ფეხბურთელებზე აკეთებენ და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა.

თბილისური კლუბის პრესსამსახურის ცნობით, დინამოელები სრულ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, მეორე ტაიმში "ბორჩას" ფეხბურთელებმა სულ რამდენიმეჯერ მოახერხეს ჩვენი გუნდის ნახევარზე გადმოსვლა.

ერთადერთი გოლის ავტორი კი ესპანელი ლეგიონერი **ალბერტ იაგუე** გახდა - მან 79–ე წუთზე **მიკელ ალვაროს** გადაცემა დააგვირგვინა.

დინამოელთა თავკაცმა, **დუშან უჰრინმა** ბელგრადელთა წინააღმდეგ ფაქტობრივად ყველა ფეხბურთელი გამოსცადა.

მომდევნო მატჩს თბილისელები 20 ივლისს პოლონურ "იაგელონიასთან" გამართავენ, სადაც გასულ სეზონში **ნიკა ძალამიძე** და **მერაბ გიგაური** თამაშობდნენ.

"დინამო": ლორია - ტვილდიანი (46. სეთურიძე), რეხვიაშვილი, კვარაცხელია (52. ხიზანეიშვილი), გლიშიჩი (70. თარხნიშვილი) - ძარია (46. კოტო), ხმალაძე (67. ალვარო), კაბელე (46. პაპავა), ჩისკო (46. თექთურმანიძე), მერებაშვილი (63. რობერტინიო), ვოსკობოინიკოვი (63. იაგუე)

შეხვედრაში მონაწილეობდა "დინამოში" სინჯებზე მყოფი 25 წლის ჩეხი შემტევი ნახევარმცველი **ირჟი კაბელე**.

**მერაბ მამულაშვილი**



დინამო-ბორჩა

ფოტო: fcdinamo.ge

ვიტ ჯორჯია

## უხვგოლიანი ფრე მცხეთა პარკზე

"ვიტ ჯორჯიამ" ზაფხულის მოსამზადებელ პერიოდში მეხუთე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ვეტერინართა მეტოქე "მცხეთა პარკზე" ბოლნისის "სიონი" იყო. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე მატჩი საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა და შედეგიანი ფრით, 4:4 დასრულდა.

1:0 ვასაძე (20), 2:0 ჯანელიძე (25), 3:0 გურეშიძე (30), 3:1 ჯიქია (35. პენ.), 3:2 ქუცურუა (48. პენ.), 3:3 ხუბუა (59), 3:4 რეხვიაშვილი (66), 4:4 ლობჟანიძე (81).

ვიტ ჯორჯია პირველ ტაიმში: დაუშვილი - ხურცილავა, გოგიაშვილი, კასრაძე, ლანიაშვილი - ვასაძე, გურეშიძე - კორიფაძე, ჯანელიძე, ზაქრაძე – ჩიმაკაძე.

მეორე ტაიმში: რეჭია (69. სვანაძე) - კალანდია, გეთიაშვილი, ტეტუნაშვილი, ჯავაშვილი - ჯოლოხავა, დავლაშელიძე, ლიბრაძე, ჯულელი - ლობჟანიძე, კუხალეიშვილი (75. ჯაყელი).

**ლევან ჯანეზაშვილი**




## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ფეხბურთის ბიბლიოთეკა

# შო, შეტენე ერთი გოლი ჩვენებურად!..

გაგრძელება. დასაწყისი: „ლელო" N 110 (13716)

ჩემმა გოლმა გუნდს 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოუტანა, რისთვისაც გუნდის პრეზიდენტისგან დიდი მადლობა დავიმსახურე, — „სპასიბა ნა ხლებ ნი ნამაჟეშ", მაგრამ მაინც კარგია და საამაყო, როცა პრეზიდენტი პირადად გადაგიხდის მადლობას.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩვენი მეტოქეები „მანჩესტერ იუნაიტედი", გერმანიის „შტუტგარტი" და საბერძნეთის „პანათინაიკოსი" იყვნენ. ჩემპიონთა ლიგამდე, შოტლანდიის ჩემპიონატის მატჩებში, ყველაფერი კარგად წამივიდა, გოლები შევყარე და შოტლანდიის ჩემპიონატის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს!.. ჩემპიონთა ლიგაში პირველი მატჩი გერმანიაში გვქონდა — „შტუტგარტთან" და 2:1 გავიმარჯვეთ. მე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს!

მოკლედ, 2003 წლის აგვისტო-სექტემბერში, მიუხედავად მუხლის ტრავმისა, ყველაფერი კარგად წამივიდა. პირად ცხოვრებაშიც ძალიან სასიამოვნო ამბავი მოხდა, — აგვისტოში მეორე შვილი შემეძინა, თამუნამ ელენიკო მაჩუქა!..

წარმატებები ერთია, მაგრამ მუხლი მაინც არ მასვენებდა, მას არასდროს ვაივიწყდებოდი. ამ ყველაფერს შეჩვეული ვიყავი, უკვე მერამდენე სეზონი იყო, ისევ ძლიერი ტკივილგამაყუჩებლები, ისევ წამლები და კიდევ ერთხელ წამლები...

„მანჩესტერ იუნაიტედთან" „აიბროქსზე" 0:1 წავაგეთ. პირველი ტაიმი ნორმალურად ვითამაშე, მეორეში კი ჩავიკარგე... განმეორებით მატჩში „მანჩესტერთან" 0:3 დავმარცხდით, **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდმა ყველაფერში გვაჯობა. **მაკლიშმა** ნახევარდაცვის ცენტრში მათამაშა, თანაც მუხლი მთელი 90 წუთის განმავლობაში მტკიოდა, თუმცა რომც არ მტკენოდა, „მანჩესტერს" მაინც ვერ შევაჩერებდი, როგორც შოტლანდიელები იტყვიან — No Chance for fuck sicks.

„მანჩესტერთან" თამაშმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ მუხლზე ოპერაციის გაკეთების გარეშე, ფეხბურთის თამაშს ველარ შევძლებდი. ოპერაცია კი იმას ნიშნავდა, რომ რამდენიმე თვე გამიცდებოდა.

ამიტომ ახალ წელს შედარებით უხასიათოდ შევხვდი. 1 და 2 იანვარს დასვენება მქონდა, ვიფიქრე, მე კიდევ დასვენება თუ დამებედა, ველარც დავდგები ფეხზე-მეთქი და „რეინჯერსის" ბაზაზე წასვლა გადავწყვიტე. თამუნას რომ ვუთხარი, ბევრი იცინა. გიორგუნასთან ერთად წავედი, ქუჩები თითქმის ცარიელი იყო... ბაზაზე დარაჯის გარდა, არავინ დამხვდა. გაუკვირდა, ისეთი სახით შემხედა, ალბათ იფიქრა, რამ გადარიაო. მე მხოლოდ ერთი რამე მედო თავში, უნდა ჩამეცვა სათამაშო ფორმა, ბუცები, მერე მინდორზე გავსულიყავი ბურთებთან ერთად და რაც შეიძლება მეტი გოლი გამეტანა ორივე კარში, იმისთვის, რომ ეს ყველაფერი დამბედებოდა... ასეც მოვიქეცი, ჩავიცვი, „შიტოკებიც" კი გავიკეთე და ბურთებთან ერთად მინდორზე გავედი.

ჯერ ერთ მხარეს ვურტყი... ყველანაირი გოლი გავიტანე, მერე მეორე კართან გადავედი. მოკლედ, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მინდოდა და სახლში ბევრად უფრო ამაღლებულ ხასიათზე დავბრუნდი. გოლები და სტადიონი ხომ დავიბედე, მეტი რა მინდოდა.

ჩემი თამაშით ყველა კმაყოფილი იყო და გადაწყდა, რომ კონტრაქტს ერთი წლით გავაგრძელებდი. დროს ვერ გავწელავდი, ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნილებს მთელი ყურადღება „სელტიკთან" დაპირისპირებაზე გვქონდა გადატანილი. რა თქმა უნდა, მაკლიში საქმის კურსში ჩავაყენე. ვუთხარი, რომ არ მინდოდა კონტრაქტზე ხელი მომეწერა და მეორე დღეს ოპერაცია გამეკეთებინა, შეიძლება გუნდის ხელმძღვანელობას სხვანაირად გაეგო ეს ყველაფერი. ჩემი გულახდილობა ყველამ მოიწონა. მაკლიშმა მთხოვა, „სელტიკთან" კარს მომდგარი მატჩი მეთამაშა და მერე გამეკეთებინა ოპერაცია. ავუხსენი, — გამაყუჩებლებით თამაშმა შესაძლოა ისე დამიზიანოს მუხლი, რომ მერე ოპერაციაც ვერ მიშველის-მეთქი. ჩემი და მაკლიშის საუბარს მარტინ ბეინიც ესწრეოდა. ის კლუბის ფინანსებს განაგებდა. მან ჯენტლმენური სიტყვა მომცა, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, კლუბისგან ფინანსურად დაცული ვიქნებოდი, რაც იმას გულისხმობდა, რომ კონტრაქტს კიდევ ერთი წლით გავაგრძელებდი. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, გადაწყდა, რომ „სელტიკთან" ვითამაშებდი და ოპერაციას მერე გავიკეთებდი.

> უკვე მერამდენე სეზონი იყო, ისევ ძლიერი ტკივილგამაყუჩებლები, ისევ წამლები და კიდევ ერთხელ წამლები...

სწორედ იმ პერიოდში, იანვრის შუა რიცხვებში, გლაზგოში აჩი ჩამოვიდა. იცოდა, რომ ძალიან მიჭირდა და ტკივილებით ვთამაშობდი. ცოტა ხანს ჩემთან იყო, „სელტიკის" თამაშამდე ხასიათზე მომიყვანა და თბილისში გამგზავრების წინ, მაგიდაზე წერილი დამიტოვა: „შო, აბა შენ იცი, ვილოცებ, რომ ოპერაცია არ დაგჭირდეს, იქნებ უოპერაციოდ მოგირჩეს. თუ მაინც დაგჭირდა, ამსტერდამში მეც ჩამოვალ. ძალიან მაგრად მიჭირს თბილისში უშენოდ, შეტენე ერთი გოლი ჩვენებურად!.. საღამოს დაგირეკავ. აჩი. 17 იანვარი. 2004 წელი. დილის 3.45 სთ..."

> ყოველთვის იმის მომხრე ვიყავი, საქართველოს ნაკრები უცხოელს გაეწვრთნა.

აჩი თბილისში ძალიან ადრე მოფრინავდა და აღარ გამაღვიძა... ეს წერილი დილით, მაგიდაზე ვნახე...

მას შემდეგ, სულ თან დამაქვს... ვიცი, რომ აჩი ჩემზე მართლა ლოცულობს და ჩემი ნებისმიერი თამაშის წინ, ფსიქოლოგიურად, ლამის ჩემსავით ემზადება. ჩემნაირად განიცდის და, ამავე დროს, ზუსტად ისე უხარია ჩემი წარმატება, როგორც თავისი. წერილის წაკითხვისას თვალები ცრემლებით ამევსო...

ერთი თვის შემდეგ, 17 თებერვალს, ამსტერდამში საოპერაციო მაგიდაზე აღმოვჩნდი... ოპერაცია ისევ ვან დაიკმა გამიკეთა. ამსტერდამში, თამუნას და აჩის გარდა, ჩემი მეგობრებიც ჩამოვიდნენ. გიორგი ლუდუშაური („ხრუბეშა") და ოთო მესხი. ცოტა გამართეს, გამამხნევეს, ბევრი ვიცინეთ. ამსტერდამში 3-4 დღე დავრჩი და გლაზგოში დავბრუნდი.

ამასობაში, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ახალი მწვრთნელი დანიშნეს... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არჩევანი ფრანგ, წარსულში ცნობილ ფეხბურთელ და ახალბედა მწვრთნელ, ალენ ჟირესზე შეაჩერა... ყოველთვის იმის მომხრე ვიყავი, საქართველოს ნაკრები უცხოელს გაეწვრთნა. ვფიქრობ, უცხო თვალით დანახულ საქართველოს ნაკრებს წარმატების მეტი შანსი აქვს. ქართველი მწვრთნელები უფრო ტოლერანტულები არიან და თან, ნაკრების წარმატებას



შოთა არველაძე (მარცხნივ) და მანჩესტერ იუნატიდის კაპიტანი როი კინი

თუ წარუმატებლობას უფრო მეტად განიცდიან, რაც მათი საქმისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

ისინი ჩვენი უფროსი მეგობრები, უმეტესობა ჩვენი დიდი გულშემატკივარი და ოჯახის ახლობლებიც კი არიან, ამიტომ ყოველთვის ჭირდა ნაკრებში ისეთი პროფესიული და საქმიანი ატმოსფეროს შექმნა, რაც, ალბათ, ჩემი მონაყოლიდან ნათლად ჩანს. მამაშვილურ-მეგობრული დამოკიდებულება ალბათ შედეგზე აისახებოდა, რაშიც დამნაშავე არც ერთი მხარე არ იყო. ასეთია საქართველო და მისი ურთიერთობები...

ჩემი სარეაბილიტაციო პერიოდი ძალიან რთული და ხანგრძლივი გამოდგა. შიშმაც კი შემიპყრო, ვაითუ ფეხბურთის თამაში ველარ შევძლო-მეთქი. აჩის რომ ვუყურებდი, ეს შიში უფრო მიმძაფრდებოდა, რადგან მუხლის ტრავმამ აქტიურ ფეხბურთს ადრე ჩამოაშორა, ძალიან შეცვალა, ხშირადაა მოწყენილი და მე დანამდვილებით ვიცი, რომ ამის მიზეზი სწორედ ფეხბურთია.

გაგრძელება იქნება

ტრანსფერი

# როგორც იქნა: დე იონგი გლადბახშია!

## ტვენტე და ბორუსია 15 მილიონზე შეთანხმდნენ




ლუუკ დე იონგი მიონხენგლადბახის ბორუსიაში გადავიდა

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ და „ტვენტე“ **ლუუკ დე იონგის** შესახებ მოლაპარაკებებს დიდხანს, რამდენიმე კვირის განმავლობაში აწარმოებდნენ და საუბრები რამდენჯერმე შევიდა ჩიხში, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მაინც ისე დამთავრდა, რომ სამივე მხარე კმაყოფილი დარჩა: გუშინ გადაწყდა და საბოლოოდ დადასტურდა, რომ 21 წლის ჰოლანდიელი გოლეადორი კარიერას „გლადბახში“ გააგრძელებს. „გლადბახი“ და „ტვენტე“ საბოლოოდ 15 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ, ხოლო დე იონგი გერმანულ კლუბთან 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ლუუკი მიონხენგლადბახური კლუბის უდიდეს ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახდა.

„ბორუსიას“ მხრიდან დე იონგის ტრანსფერი გუშინ სპორტულმა დირექტორმა **მაქს ებერლმა** დაადასტურა: *„როგორც იქნა, ლუუკის გადმოსვლა გადაწყდა. ლუუკი გუნდს პარასკევს შეუერთდება. მისი სახით უნიჭიერესი თავდამსხმელი შეგვემატება, რომელიც მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, უკვე საკმაოდ გამოცდილი და თამამად ვიტყვი, ჩამოყალიბებული გოლეადორია.“*

მიონხენგლადბახელებმა დე იონგი გუშინვე წარადგინეს. *„მიხარია, რომ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც მინდოდა. „გლადბახში“ გადმოსვლის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ყველაფრისთვის მზად ვიყავი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სწორი ნაბიჯია. მიონხენგლადბახური კლუბის ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ტრანსფერი შემდგარიყო. ბუნდესლიგაში თამაში გაცილებით რთულია, თუმცა მე მაქსიმალურად მოვინდომებ და იმედი მაქვს, რომ „გლადბახიდან“ ჰოლანდიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც დავიმკვიდრებ ადგილს,“* - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დე იონგმა.

კიდევ ერთხელ გაგახსენებთ, რომ ლუუკ დე იონგმა ჰოლანდიის ჩემპიონატის 31 მატჩში 25 გოლის გატანა მოახერხა და სწორედ ამიტომ იბრძოდა მისი გადაბირებისთვის „გლადბახის“ თავკაცი **ლუსიენ ფავრი** ასე თავგამოდებით. აღსანიშნავია ისიც, რომ მიონხენგლადბახელებს რამდენიმე სერიოზული კონკურენტი ჰყავდათ და საბოლოოდ გადამწყვეტი როლი თვითონ ფეხბურთელის სურვილმა ითამაშა, რომელმაც თქვა, მხოლოდ „გლადბახში“ თამაში მინდაო. დე იონგს, რომელიც ევროპის ჩემპიონატზეც იმყოფებოდა, თუმცა ჰოლანდიის ნაკრების არცერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა, განსაკუთრებული მონდომებით ინგლისური კლუბები იწვევდნენ, მაგრამ ფორვარდმა არჩევანი „გლადბახზე“ შეაჩერა, რადგან მიაჩნია, რომ „ბორუსიაში“ განვითარების უკეთესი პერსპექტივა აქვს. მისი თქმით, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისიც იყო, რომ „გლადბახი“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

რაც შეეხება გაწელილ მოლაპარაკებებს: „ტვენტე“ თავიდან 20 მილიონ ევროს ითხოვდა და ენსხედელთა ბოსები ამბობდნენ, ერთ ცენტსაც არ დავაკლებთ, რადგან რამდენიმე კლუბი მზადაა, ამაზე მეტიც გადაგვიხადოსო, მაგრამ მერე დე იონგმა აღნიშნა, რომ კარიერის რუსეთში გაგრძელებას (რუსული კლუბები „ტვენტეს“ 25 მილიონს სთავაზობდნენ) კატეგორიულად გამოვრიცხავო და „ტვენტე“ იძულებული გახდა, 15 მილიონს დათანხმებულიყო.

ლუუკ დე იონგის ტრანსფერის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ „გლადბახი“ ახალი სეზონისთვის უკვე სრულ მზადყოფნაშია – ფავრი და ებერლი სხვა ფეხბურთელების დამატებას არ გეგმავენ. შეგახსენებთ, რომ მანამდე „გლადბახმა“ **გრანიტ ჯაკა** („ბაზელიდან“, 8.5 მილიონად), **ბრანიმირ ჰრგოტა** („იონკოპინგსიდან“, 400 000), **ალვარო დომინგესი** („ატლეტიკოდან“, 7 მილიონი) და **პენიელ მლაპა** (ჰოფენჰაიმიდან, 2.5 მილიონი) გადაიბირა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სენსაციური სეზონის შემდეგ მიონხენგლადბახი **მარკო როისმა** (დორტმუნდის „ბორუსიაში“ 17.1 მილიონ ევროდ გაიყიდა) და **დანტემ** („ბაიერნში“, 4.7 მილიონი) დატოვეს.

დაპირისპირება

# ჰიონესი ბლატერს მისდგა!

## ფიფას პრეზიდენტი ბაიერნის პრეზიდენტმაც გალანძღა



ული ჰიონესი და ზეპ ბლატერი

ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერისა** და საფეხბურთო გერმანიის დაპირისპირებაში, რაზეც ამ დღეებში ბევრი დაიწერა და კიდევ უფრო მეტი ითქვა, გუშინ ფრონტის ახალი ხაზი გაიხსნა. 2015 წლამდე არჩეული ბლატერის წინააღმდეგ ამჯერად (და ვინ მოთვლის, მერამდენედ) მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** გაილაშქრა. ეს უკანასკნელი დარწმუნებულია, რომ ფიფას მოქმედი პრეზიდენტი არასდროს ყოფილა ასე მძიმე წნეხის ქვეშ და რომ ეს ყველაფერი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ფიფას პრეზიდენტის რანგში ზეპის აღსასრული ახლოვდება.

*„წინა დღეებში მომხდარმა ამბებმა და კერძოდ იმ ფაქტმა, რომ ბლატერმა გერმანია მსოფლიოს 2006 წლის ჩემიონატის მასპინძლობის უფლების ყიდვაში დაადანაშაულა, მერე კი გერმანელებს ღია წერილიც მოგვწერა, რომელშიც გვიხსნის, რა და როგორ იგულისხმა, კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ზეპს ფიფას პრეზიდენტის თანამდებობაზე დიდი დრო აღარ უწერია. ხოლო ის ფაქტი, რომ ბლატერი მომდევნო არჩევნებში მონაწილეობაზეც ფიქრობს, წლის ყველაზე სასაცილო ანეკდოტად მიმაჩნია,“* - განუცხადა ჰიონესმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

„ბაიერნის“ პრეზიდენტის თქმით, სამშაბათს ჩატარებულ ფიფას აღმასრულებელი კომისიის სხდომაზე 76 წლის ბლატერი ძალიან ცუდად გამოიყურებოდა – ნირწამხდარი ჩანდა და ფარხმალდაყრილ ფუნქციონერს ჰგავდა. ჰიონესი ამბობს, მას ისეთებმაც კი შეუტიეს, სხდომაზე არასდროს ხმას რომ არ იღებენ ხოლმეო.

ხსენებულ სხდომაზე ზეპი სიტყვით გამოვიდა და შეეცადა, ცივი შხაპი გადაესხა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მის ვადამდე ადრე გადადგომას ითხოვენ.

*„ეს საკითხი არ განიხილება! თუ კონგრესში ვინმეს ჩემი გადადგომა უნდა, ძალიან გავბრაზდები. ე.წ. „ეთიკის კომისიის“ მოთხოვნას და გადაწყვეტილებას არანაირი ძალა არ აქვს. ჩემი გადაყენება მხოლოდ ფიფას კონგრესს შეუძლია,“* - უთქვამს ბლატერს.

ამ დღეებში გერმანულ პრესაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ „ბაიერნის“ პრეზიდენტმა თავის დაბადების დღეზე სანაძლეო დადო, ბლატერი ფიფას პრეზიდენტის პოსტს წლის ბოლომდე დაემშვიდობეაო, რაც თავად ბლატერმაც დაადასტურა. ჰიონესი უარყოფს: *„საკუთარ დაბადების დღეზე იმისათვის ნამდვილად არ მცხელა, რომ ბლატერზე და მის მომავალზე ვიფიქრო. თუმცა, 31 დეკემბრამდე საკმარისი დროა საიმისოდ, რომ ეს მოსაზრება გამართლდეს. ფაქტია, რომ ბლატერის საქმე უკვე ძალიან ცუდადაა!“* - ამბობს ული.

ტრანსფერი ჩაშლის პირას

# ნალდო ჩაიჭრა!

## ბრაზილიელმა ვოლფსბურგში სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა



გუშინ გადაწყდა, რომ „ვერდერის“ ბრაზილიელმა მცველმა **ნალდომ** კარიერა „ვოლფსბურგში“ უნდა გააგრძელოს – მხარეები ყველაფერზე შეთანხმდნენ და „ვოლფების“ მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** გახარებული იყო, ძალიან მაგარ მცველს ვყიდულობთო, მაგრამ თითქმის განხორციელებულ ტრანსფერს ახლა ჩაშლის საფრთხე ემუქრება.

გუშინ ნალდომ ვოლფსბურგში სამედიცინო შემოწმება წარმატებით ვერ გაიარა, რის გამოც მისთვის დამატებითი გამოკვლევების ჩატარება გახდა აუცილებელი. *„ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ნალდო ვოლფსბურგელი გახდეს, მაგრამ ფეხბურთელის, მით უმეტეს, ძვირადღირებული ფეხბურთელის ჯანმრთელობის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. მუშაობას ვაგრძელებთ, ფეხბურთელს გამოკვლევები უტარდება და ვიმედოვნებ, რომ სერიოზული არაფერი აღმოაჩნდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენ მცირე რისკზეც კი ვერ წავალთ,“* - უთხრა მაგათმა გუშინ საღამოს ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

მომხდარზე კომენტარი „ვერდერის“ სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმაც** გააკეთა: *„მე ეს არ მიკვირს, რადგან ნალდოს სერიოზული ტრავმები აქვს გადატანილი და ისიც კარგად მესმის, რომ ვოლფსბურგელები მაქსიმალურად ფრთხილობენ. იმედია, მალე ყველაფერი გაირკვევა.“*

ვოლფსბურგელებს ნალდოს ოფიციალური პრეზენტაცია გუშინ ჰქონდათ დაგეგმილი, რაც, რა თქმა უნდა ჩაიშალა. თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, „მგლები“ 29 წლის მცველს 4-წლიან კონტრაქტს გაუფორმებენ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მილანი ტასკის უმიზნებს!

## როსონერი შტუტგარტელში ტიაგო სილვას შემცვლელს ხედავს

„შტუტგარტის“ 25 წლის მცველ **სერდარ ტასკიზე** ახალი სატრანსფერო მითქმა-მოთქმა დაიწყო. თუკი „ბარსელონას“ დაინტერესება არ დაკონკრეტებულა და სპეკულაციად დარჩა, თუ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, ამჯერად საქმე უკვე სერიოზულადაა: როგორც ირკვევა, „შტუტგარტის“ კაპიტანს, რომელიც გერმანიის ნაკრების გაფართოებულ სიაშიც მოიაზრება, ახლა „მილანმა“ დაადგა თვალი. ეს ცნობა გუშინ რამდენიმე იტალიურმა გაზეთმა გაავრცელა, მერე გერმანულმა მედიამაც აიტაცა და ბოლოს ფეხბურთელის მრჩეველმა დაადასტურა.

„კორიერე დელო სპორტისა“ და „ტუტოსპორტის“ ინფორმაციით, მილანელები ტასკიში პსჟ-ში 42 მილიონ ევროდ გაყიდული **ტიაგო სილვას** შემცვლელს ხედავენ. შეგახსენებთ, რომ სერდარს შვაბებთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს, მაგრამ მის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითად, ტასკის შვაბური კლუბის დატოვება წელს 10 მილიონ ევროდ შეუძლია. ჩვენი იტალიელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ „მილანს“ „შალკეს“ 20 წლის ბერძენი მცველის, **კირიაკოს პაპადოპულოსის** გადაბირებაც სურდა, მაგრამ როგორც გელზენკირხენული კლუბისგან, ისე ფეხბურთელის აგენტისგანაც ცივი უარი მიიღო. „როსონერის“ ტიაგო სილვას შემცვლელად „პორტუს“ ცენტრალური მცველი **როლანდოც** ესახება, მაგრამ პორტუგალიურმა კლუბმა ამ უკანასკნელში 15 მილიონი ევრო მოითხოვა, რაც „მილანს“ ეძვირა.



სერდარ ტასკი შეიძლება მილანში გადავიდეს

*„მეც გავიგე, რომ „მილანის“ ხელმძღვანელები სერდარზე ფიქრობენ, მაგრამ ფაქტია, რომ მილანიდან ჩემთვის არავის დაურეკავს. თავად ტასკი ახლა მხოლოდ „შტუტგარტზეა“ კონცენტრირებული,“* - ეს ტასკის მრჩევლის სიტყვებია.

გერმანელი რუსეთში

# კაპიტანი კურანი

ორიწელია, რაც გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **კევინ კურანი** მოსკოვის „დინამოში“ თამაშობს და როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში საკმაო პატივისცემა მოიხვეჭა. რუსეთში ახალი სეზონი პარასკევს იწყება და გუშინ ცნობილი გახდა, რომ „დინამოს“ სწორედ 30 წლის კურანი უკაპიტნებს. კევინი კაპიტნად მწვრთნელმა **სერგეი სილკინმა** დაასახელა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „დინამოს“ კაპიტანი უკრაინელი **ანდრეი ვორონინი** გახლდათ, რომელსაც მწვრთნელთან უთანხმოების გამო მოსკოვური კლუბის დატოვება მოუწევს.



კევინ კურანი კაპიტნად აირჩიეს

შეგახსენებთ, რომ მოსკოველებმა წინა სეზონში მეოთხე ადგილი დაიკავეს და ევროპალიგაზე იასპარეზებენ. კურანიმ, რომელიც მოსკოვში „შალკედან“ 2010 წელს გადავიდა, ნოემბერში „დინამოსთან“ კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე გააგრძელა. გასულ სეზონში ის მოსკოვურ კლუბს 10 გოლით შეეწია (შედარებისთვის: რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მოსკოვის ცსკა-ს თავდამსხმელი **სეიდუ დუმბია** გახდა – 26 გოლით).

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

სკანდალი ფიფაში

# საქმეს ამერიკელი გამოიძიებს


ამერიკელი იურისტი მაიკლ გარსია ფიფას საქმეებს გამოიძიებს

"ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, ფიფას მიერ სამხრეთი ნიუ იორკის ყოფილი გენერალური პროკურორი (1998-2006 წლებში) **მაიკლ გარსია** მსოფლიო ფეხბურთში კორუფციული სკანდალების გამოსაძიებლად მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იქნება ფიფას მოქმედი პრეზიდენტის **ზეპ ბლატერის** საქმიანობის შესწავლა და 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობის უფლების გაცემის სამართლებრივი მხარეების გამოძიება. 2010 წლის 2 დეკემბერს მიღებულმა გადაწყვეტილებამ განსაკუთრებული ხმაური გამოიწვია. მიზეზი კი ის გახდა, რომ ჯერ კიდევ კენჭისყრის ჩატარებამდე ბრიტანულმა გაზეთებმა მხოლოდ მათთვის ცნობილი მეთოდებით ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს პროვოცირება გაუკეთეს, რომელთაც "არაფორმალურ გარემოში" აღიარეს, რომ მზად არიან, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ ჩემპიონატის მასპინძლობის ამა თუ იმ კანდიდატს დაუჭირონ მხარი. ამ ყოველივეს შემდეგ რუსეთისა და ყატარის კანდიდატურების გამარჯვებამ მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებაში სერიოზული შოკი გამოიწვია. პრესა აღმასკომის წევრებს პირდაპირ ადანაშაულებდა კორუფციულ გარიგებაში. ამან ის გამოიწვია, რომ რამდენიმე წევრმა ვერ გაუძლო საზოგადოებრივ ზეწოლას და პოსტი დატოვა. 2011 წლის ივნისში გადაწყდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნებს ამიერიდან ფიფას კონგრესი აირჩევდა, სადაც ორგანიზაციის წევრი 208 ქვეყნის წარმომადგენელი შედის და არა აღმასკომი, სადაც სულ 24 ადამიანია გაწევრიანებული.

დამოუკიდებელი გამოძიების დაწყების ინიციატივით ფიფას ანტიკორუფციული საქმეების მრჩეველი **მარკ პიტი** გამოვიდა. მისი თქმით, რაკი დოკუმენტები ორი მუნდიალის მასპინძლის არჩევის საქმეში საზოგადოების სერიოზულ ეჭვს იწვევს, მაიკლ გარსიას უნდა მიეცეს საშუალება, რომ ნებისმიერ მათგანზე ჰქონდეს დაშვება და თანაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამასთან ბლატერმა აღიარა, რომ მისი ორგანიზაციის მხრიდან ერთდროულად ორი მასპინძლის არჩევა "სერიოზული შეცდომა" იყო, მაგრამ იქვე დაამატა, რომ არავითარ კორუფციულ გარიგებას ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. *"შევცდით, ვაღიარებთ, მაგრამ არ შეიძლება მთელი ცხოვრება სინანულით ვიცხოვროთ, რადგან უკან დაბრუნება და საკითხის სხვანაირად გადაწყვეტა უკვე შეუძლებელია. ვალდებულნი ვართ, რომ მომავალს ოპტიმისტურად ვუყუროთ. ნამდვილად შემიძლია საზოგადოებას ფიფასადმი ნდობა დავუბრუნო,"* – განაცხადა ზეპ ბლატერმა.

ჩელსი

# გაზპრომირებული ჩელსი

"ჩელსის" ვებგვერდის ცნობით, ლონდონურმა კლუბმა რუსულ "გაზპრომთან" 3-წლიანი სასპონსორო ხელშეკრულება გააფორმა. ლონდონელთა აღმასრულებელი დირექტორის რონ გურლეის ცნობით, რუსული ფირმა კლუბის გლობალური ენერგეტიკული პარტნიორი გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ "ჩელსის" სწორედ ის მიაწვდის ელექტროენერგიასა და გაზს. კონტრაქტი "ჩელსის" ფინანსურ სიმყარეს განაპირობებს და აზიის ბაზრის უკეთ ათვისებაში შეუწყობს ხელსო, იმედოვნებენ "სტემფორდ ბრიჯზე". შეგახსენებთ, რომ რუსულმა ენეგეტიკულმა გიგანტმა რამდენიმე დღის წინ უეფასთანაც გააფორმა ხელშეკრულება, რისი წყალობითაც ჩემპიონთა ლიგისა (2012/15 წლები) და უეფას სუპერთასის (2012, 2013, 2014) სპონსორი შეიქნა. თავის მხრივ "ჩელსისთან" თანამშრომლობით "გაზპრომში" მსოფლიოში თავისი რეპუტაციის განმტკიცებას ელიან.


ჩელსი ამერიკაში ძალიან პოპულარულია

## მარინს იმედი აქვს

წუხელ "ჩელსის" ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპზე პირველი ამხანაგური მატჩი უნდა ჩაეტარებინა "სიეტლ საუნდერსთან", სადაც **მარკო მარინსაც** უნდა ეთამაშა. ლონდონელთა ბანაკიდან იუწყებიან, გერმანელს ორი ფაქტორი უწყობს ხელს თანაგუნდელებთან ადაპტაციაში. უპირველესად ის, რომ მას ბოსნიური ფესვები აქვს, რის გამოც მისი "მფარველობა" საკუთარ თავზე სერბმა **ბრანისლავ ივანოვიჩმა** აიღო. მეორე ფაქტორი კი ის არის, რომ მარინმა შესანიშნავად იცის ინგლისური ენა და არც სხვა ფეხბურთელებთან კონტაქტი უჭირს. *"ამერიკულ ტურნეზე იმის თქმა შემიძლია, რომ საწვრთნელი ბაზა, სადაც დავბინავდით, უბრალოდ ფანტასტიკურია. აქამდე ასეთი დიდი და კომფორტული სპორტული ცენტრი არასოდეს მინახავს. პირველივე მატჩებში მინდა თავის გამოჩენა და მწვრთნელისთვის იმის ჩვენება, თუ რა შემიძლია. იმედია, ჩემპიონატშიც რეგულარულად ვითამაშებ. თუკი ამას მივაღწევ, მერე ლოგიკური იქნება, რომ გერმანიის ნაკრებშიც დავბრუნონ. როცა დიდ კლუბში თამაშობ, შენზე განსაკუთრებული ზეწოლა ბუნებრივი მომენტია. ჩემთვის ეს განსაკუთრებული სირთულე არასოდეს ყოფილა. იმედი მაქვს, შევძლებ ახალი თანაგუნდელების დონეზე თამაშს,"* – აცხადებს მარინი.

## წავა, მაგრამ არა სანტოსში

ვეტერანი **ფლორან მალუდა** არც შარშან იყო განებივრებული სათამაშო პრაქტიკით, წელს კი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან **რობერტო დი მატეომ** ორი ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი **ედენ აზარი** და მარკო მარინი დაიმატა. 32 წლის ფრანგს ძალიან უნდა "სტემფორდ ბრიჯიდან" წასვლა. კონტრაქტს მას ბრაზილიური "სანტოსი" სთავაზობდა კიდეც, მაგრამ მხარეები ფეხბურთელის პირად კონტრაქტზე ვერ შეთანხმდნენ და მოლაპარაკება შეწყდა. ფლორანს შვებულება უკვე დაუმთავრდა. ის სიეტლში სამშაბათს ღამე ჩავიდა, სადაც გუნდთან ერთად სეზონისთვის მზადებას დაიწყებს. დი მატეოს თქმით, ის ფეხბურთელთან პირისპირ დალაპარაკებას გეგმავს, რათა გაარკვიოს, რა გეგმა აქვს და უნდა ჰქონდეს თუ არა მისი იმედი სეზონის განმავლობაში.

## ოსკარი ოლიმპიადის შემდეგ

მართალია ამ დღეებში დი მატეომ განაცხადა, "ინტერნასიონალის" **ოსკარი** ჩვენი ფეხბურთელი არ არის და ამაზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთო, მაგრამ "გარდიანი" ამტკიცებს, რომ ლონდონელებმა სამხრეთამერიკელებთან 25 მილიონ ფუნტად (31,87 მლნ ევრო) ყველაფერი შეათანხმეს და რომ 20 წლის ნახევარმცველმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა. საქმეს წერტილი მას მერე დაესმება, როცა ფეხბურთელი კონტრაქტს ხელს მოაწერს. ეს კი მხოლოდ ლონდონის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ მოხდება.

## მეორე აზარიც ჩელსიში?

"ეკიპის" ცნობით, "ჩელსიმ" შესაძლოა **ედენ აზარის** უმცროსი ძმა **ტორგან აზარიც** გადაიბიროს. ოღონდ 19 წლის ფეხბურთელი ჯერჯერობით მხოლოდ დუბლშემადგენლობაში მოსინჯავს ძალებს. უმცროსი აზარი ლიგა 2-ის "ლანსში" თამაშობს. კუნძულელებმა ჩრდილოელ ფრანგებს უკვე შესთავაზეს ფეხბურთელის ტრანსფერზე მუშაობის დაწყება. "ლანსი" დიდი ხალისის გარეშე, მაგრამ შეთავაზებას უკვე დათანხმდა. ტორგან აზარს კლუბთან ხელშეკრულება ერთ წელიწადში უმთავრდება, რომლის გახანგრძლივებას ის არ აპირებს. შარშან მან ლიგა ორში 15 მატჩი ჩაატარა. გეტყვით, რომ ბელგიაში უმცროს ძმას არანაკლებ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ასაკის მიუხედავად, მან ასაკობრივ ნაკრებებში 45 მატჩი გამართა, სადაც 15 გოლი გაიტანა. ასე რომ, ნიჭის გარდა ედენს ის დიდად არც შედეგიანობაში ჩამორჩება.

იქამდე, ვიდრე გუნდში მეორე აზარი ჩაირიცხებოდეს, "ჩელსიმ" დუბლის ორი მოთამაშე პორტუგალიურ "ვიტორია გიმარაეშს" იჯარით დაუთმო. ლაპარაკია 19 წლის **მილან ლალკოვიჩსა** (სერბეთი, თავდამსხმელი) და ასევე 19 წლის **მატეი დელაჩზე** (ხორვატია, მეკარე).

არსენალი




# ვან პერსი კონტრაქტს ჩაამთავრებს

**არსენ ვენგერის** გეგმით, "არსენალის" კაპიტანმა, ლიდერმა და საუკეთესო ბომბარდირმა **რობინ ვან პერსიმ** მომდევნო სეზონიც "ემირატსზე" უნდა გაატაროს და თუკი მერეც უარს იტყვის ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე, კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს. დიდი ალბათობით ეს ასეც მოხდება, თუკი ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა ტრანსფერზე დაყენება ძალიან არ დაიჟინა. შეხვედრა, რომელზეც საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ვან პერსის ბედი, ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის ამ დღეებში უნდა შედგეს. "არსენალის" თავკაცს ალბათ იმის იმედი აქვს, რომ 2012/13 წლების სეზონის დასრულების შემდეგ ევროპულ გრანდებს ვან პერსისადმი ინტერესი გაუნელდებათ და "მეთოფეები" მას იოლად დაიყოლიებენ თანამშრომლობის გაგრძელებაზე. ამ დროისთვის ხომ რობინი უკვე 30 წლის იქნება. შეგახსენებთ, რომ თავდამსხმელის შეძენას "იუვენტუსი", "მანჩესტერ სიტი" და "პარი სენ-ჟერმენი" გეგმავდნენ. ყოველ შემთხვევაში, **კარლო ანჩელოტის** გუნდზე ნამდვილად შეიძლება იმის თქმა, რომ **ესეკიელ ლავესისა და ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** შეძენის შემდეგ თავდასხმის ხაზის დაკომპლექტება დაასრულა.

## პაულინიო და ჰოლტბი სამიზნეში

"არსენალს" შემადგენლობის გაძლიერება არ დაუსრულებიაო, წერენ ბრიტანული ვებგვერდები. "მეთოფეთა" მიზანში ორი ფეხბურთელია მოხვედრილი. "კორინთიანსის" 23 წლის გარემარბი **პაულინიო** და "შალკეს" 21 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **ლუის ჰოლტბი**. გელზენკირხენელი დიდი ხანია გერმანიის ნაკრების კანდიდატად მიიჩნევა, თუმცა **იოახიმ ლიოვის** გუნდში არსებული კონკურენციის გამო იქ მოხვედრას ვერ ახერხებს. ლუისს მამა ინგლისელი ჰყავს და ის რომ პრემიერლიგაში გადასვლაზე ოცნებობს, ყველასთვის ცნობილია.

ამბები

## ნიუკასლმა შეთავაზება გაზარდა

"ტრიბალფუტბოლის" ცნობით, "ნიუკასლი" მზადაა, "ლივერპულს" **ენდი კეროლში** 16 მილიონი ფუნტი გადაუხადოს. ეტყობა, "კაჭკაჭებს" ყოფილი ფორვარდი ძვირად ულირთ, რაკი ფორმიდან ამოვარდნილ ფეხბურთელში ამხელა ფულს ჩამოდიან. **ბრენდან როჯერსმა** გუნდში მოსვლის შემდეგ გასაგებად თქვა, რომ ახმახი თავდამსხმელი მის სქემაში ვერ ჯდება და მას სხვა ნავსაყუდელის მოძებნა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ კეროლი "ნიუკასლში" 2006-ის სექტემბრიდან 2011 წლის იანვრამდე თამაშობდა.

## 10 მილიონი დემპსიში

"ფულჰემის" 29 წლის შემტევი ნახევარმცველის **კლინტ დემპსის** "ლივერპულში" ტრანსფერზე ბრიტანულ პრესაში ბევრი იწერება. "დეილი მეილი" ყველაზე შორს მიდის და ამტკიცებს, რომ მერსისაიდელები ფეხბურთელში 10 მილიონ ფუნტს იხდიან და ახლოს არიან საქმის გაჩარხვასთან. "ფულჰემის" წარმომადგენელმა ეს ინფორმაცია BBC Sports-ზე გუშინვე უარყო: *"დემპსის ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალურად არც ერთი წინადადება არ მიგვილია. მეტიც, მასთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე მოლაპარაკებასაც ვაწარმოებთ"*. ამერიკელს დედაქალაქელებთან კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ეჭვი გვეპარება, რომ ის "ქრეივენ კოტეჯზე" დარჩენას დათანხმდეს.

## ლიონის გეგმები

"ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** განაცხადა, რომ კლუბსა და **უგო ლორისს** შორის გამართული მოლაპარაკებით საბოლოოდ გადაწყდა, რომ 25 წლის მეკარე კლუბში კიდევ ერთ სეზონს გაატარებს და მხოლოდ ამის მერე იზრუნებს კარიერის უცხოურ კლუბში გაგრძელებაზე. *"შემიძლია 99%-იანი სიზუსტით გითხრათ, რომ ლორისი არსად არ წავა. მართალია, ჩვენ სერიოზული ფინანსური პრობლემები გვაქვს, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ უგომ ასე გადაწყვიტა. სამაგიეროდ გეტყვით, რომ მიშელ ბასტოსი ნამდვილად დაგვტოვებს. მას არაბეთის გაერთიანებული საამიროების ლიგიდან იწვევენ. იტალიური კლუბებისგან შემოთავაზება გვქონდა ბაფეტიმბი გომისის ტრანსფერზე, მაგრამ მან თავად განაცხადა, რომ არ სურს აქედან წასვლა. გაცნობებთ, რომ იჯარით კლემან შანტომისა და მამადუ სახოს დამატებას ვაპირებთ. იმედია, "პარი სენ-ჟერმენთან" ამ ფეხბურთელებზე საერთო ენას მალე გამოვნახავთ,"* – განაცხადა ოლამ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

# იუვემ და ნაპოლიმ გაისეირნეს

## რომამ რაპიდთან იწვალა

**იტალიური გუნდები აგრძელებენ ახალი სეზონისთვის მზადებას და ამხანაგურ მატჩებსაც მართავენ. ქვემოთ, სამ საკონტროლო შეხვედრაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.**

"იუვენტუსი" სამოყვარულო გუნდს გაეჯიბრა, რომლის სახელის დასახელებაც კი ერთობ რთული საქმეა. **ანტონიო კონტემ** ერთბაშად 24 მოთამაშე გამოსცადა საქმეში, რომელთაგან რამდენიმე ახალწვეული გახლდათ, უფრო მეტი კი პრიმავერადან დაწინაურებული; უფრო სწორად, დაწინაურდებიან თუ არა, სწორედ ამ საკონტროლო შეხვედრებზეა დამოკიდებული. შეხვედრა ტურინელთათვის შოკისმომგვრელად დაიწყო, რადგან პირველივე წუთზე, გაურკვეველი დასახელების მქონე გუნდის ფეხბურთელებმა გოლი გაიტანეს და გახსნეს კიდეც ანგარიში... ბუნებრივია, ამ ყველაფერმა გულშემატკივართა დიდი ოვაცია გამოიწვია, ტურინელებმა კი ერთი უხერხულად გაიღიმეს და საქმეს შეუდგნენ. საბოლოოდ, "იუვემ" შვიდი გოლი აკმარა მეტოქეს, რომელთაგან ორი **ფაბიო კვალიარელას** ანგარიშზეა. საერთოდ, ფაბიო საკმაოდ კარგად გაისარჯა და პრესის ქებაც დაიმსახურა. იგივე შეიძლება ითქვას **კვადვო ასამოაზე**, რომელსაც დებიუტი ჰქონდა და ცუდი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია. ნამატჩევს, ანტონიო კონტე კმაყოფილი ჩანდა:

"*ძალიან კარგი სპარინგი იყო, ცოტა გავხურდით და თამაშის გემო გავიხსენეთ. ფეხბურთელები იმაზე კარგ კონდიციაში არიან, ვიდრე წარმოვიდგენდი – ასე რომ, თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ კვადვო ასამოასა და ლუსიოს სახით ძალიან ძლიერი ფეხბურთელები დაგვემატნენ, ეს პირველივე ვარჯიშიდან გამოჩნდა და წესით, არც ახალ გარემოსთან შეგუება უნდა გაუჭირდეთ*".




ლუსიომ პირველი მატჩი ჩაატარა "იუვენტუსის' შემადგენლობაში

| იუვენტუსი–აიგრევილე | 7:1 |
| --- | --- |

**იუვენტუსი (4-4-2):** სტორარი (46. ლეალი) – მაზი (46. უნტერსე), ლუსიო (46. რუგანი), კასერესი (46. მაგნუსონი) – პეპე (46. ლიხტშტაინერი), პადოინი (46. ვიდალი), მარონე (46. აპელტი), ასამოა (46. ბოი – 60. სკიავონე), დე ჩელიე – კვალიარელა (46. მატრი), ვუჩინიჩი (46. ბუაჩი – 82. პადოვანი).

**გოლები:** 0:1 (1), 1:1 კვალიარელა (7), 2:1 ვუჩინიჩი (22), 3:1 კვალიარელა (23), 4:1 მატრი (57-პენ.), 5:1 ბუაჩი (65), 6:1 ვიდალი (90-პენ.), 7:1 პადოვანი (90).

**ესეკილ ლავეცის** გარეშე დარჩენილი "ნაპოლი" სამოყვარულო გუნდ "ტრენტინოს" ეთამაშა და რა გასაკვირია, რომ გრანდიოზული ანგარიშით, 9:0 გაიმარჯვა. როდესაც ერთი გუნდი მეორეს ასე აღემატება, იქ რაიმე ანალიზის გაკეთება და შემდეგ დასკვნების გამოტანა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ერთი რაც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, ის გახლავთ, რომ **ვალტერ მაცარიმ** კვლავ 3-4-2-1 ტაქტიკით ათამაშა გუნდი და ამით ნაწილობრივ გაფანტა ეჭვი იმის შესახებ, რომ ლავეცის წასვლა ნეაპოლელთა სქემაში ცვლილებას გამოიწვევდა. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი ჯერ ახალწვეული **ლორენცო ინსინიე** გახლდათ, შემდეგ მის ნაცვლად შესული **გორან პანდევი**. შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ **ვალონ ბერამის** და **ალესანდრო გამბერინის,** რომლებიც ოფიციალურად ჯერ კიდევ არ არიან "ნაპოლის" ფეხბურთელები. აქვე, ვალტერ მაცარის გადავცეთ სიტყვა, რომელიც ახალ სეზონს ოპტიმისტური განწყობით ელოდება:



ლორენცო ინსინიემ "ნაპოლიში" დებიუტი ჰეთთრიკით აღნიშნა

"*გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, რაც წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. ახალი სეზონისთვის მზადება დიდი ენთუზიაზმით დავიწყეთ და განწყობა ოპტიმისტური მაქვს. მეტოქე სამოყვარულო გუნდი გვყავდა, მაგრამ ასეთი ანგარიშით გამარჯვება იოლი მაინც არაა – ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელები მოწყურებული არიან თამაშს და მოტივაციაც არ აკლიათ. ძალიან კმაყოფილი ვარ ინსინიეს თამაშით, უნიჭიერესი ფეხბურთელია და ამაში მთელი საფეხბურთო მსოფლიო მალე დარწმუნდება*".

| ნაპოლი–ტრენტინო | 9:0 |
| --- | --- |

**ნაპოლი (3-4-2-1):** როზატი (46. კოლომბო) – კამპანიარო (46. გრავა), ფერნანდესი (57. კანავარო), ბრიტოსი (57. არონიკა) – ცუნიგა (46. ბარიტი), ჯემაილი (75. ჩელენტო), ინლერი (46. გარგანო), დოსენა (70. ფორნიტო) – ჰამშიკი (46. ვიტალე), ვარგასი (70. ნოვოტნი) – ინსინიე (57. პანდევი).

**გოლები:** 1:0 ინსინიე (10), 2:0 ჰამშიკი (22-პენ.), 3:0 ინსინიე (26), 4:0 დოსენა (27), 5:0 ცუნიგა (40), 6:0 ბრიტოსი (47), 7:0 ინსინიე (54), 8:0 ფორნიტო (75), 9:0 პანდევი (82).

"რომამ" პირველ საკონტროლო შეხვედრაში სამოყვარულო გუნდს დიდი ანგარიშით მოუგო, რის შემდეგაც ვენის "რაპიდს" გაეჯიბრა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. თუმცა, ამჯერად ყველაფერი გაცილებით რთულად იყო და თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, ავსტრიელები მინიმუმ ფრეს იმსახურებდნენ. მეტიც, "რაპიდს" ალბათ უნდა მოეგო კიდეც ეს შეხვედრა, რადგან მეტოქის კართა აურაცხელი რაოდენობით მომენტი შექმნა – ის, რომ რომაელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს, **ბოგდან ლობონტთან** ერთად, ავსტრიელთა უიღბლობის, ან შესაძლოა უკლასობის ბრალიც იყო. მოკლედ, **ზდენეკ ზემანის** გუნდმა დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა და ნამატჩევს ისლა განაცხადა, მოსამზადებელი ეტაპია და ასე მკაცრად ნუ განგვსჯითო.

"გაძეტა დელო სპორტის" შეფასებით, რომაელებს შეტევაში შეუთამაშებლობა ეტყობოდათ, დაცვაში კი ისეთი ქაოსი იყო, როგორიც ზემანის გუნდებს საერთოდ ახასიათებთ. ცნობილი ამბავია, რომ ჩეხი სპეციალისტი შემტევი ფეხბურთის მოტრფიალეა და უკანა ხაზს ნაკლებ ყურადღებას აქცევს – თუმცა, ყველაფერს აქვს საზღვარი და ის, რაც "რაპიდთან" შეხვედრაში ხდებოდა, ვერანაირი შემტევი ფეხბურთით ვერ შეიფუთება. მოკლედ, "რომამ" მოიგო, მაგრამ ყველაზე მეტი კრიტიკა ხვდა წილად.

| რაპიდი–რომა | 1:2 |
| --- | --- |

**რომა (4-3-3):** ლობონტი (80. სვედკაუსკასი) – როზი (55. მარკინიო), ბურდისო, რომანიოლი (46. ჰაინცე), ტადეი (46. ანხელი) – ფლორენცი (46. პეროტა), ბრედლი (46. პისარო), პიანიჩი (46. სიმპლისიო) – ლამელა (46. ლოპესი), ტოტი (46. ბოიანი), ოსვალდო (46. ოკაკა).

**გოლები:** 0:1 პიანიჩი (13), 1:1 (24), 1:2 პისარო (52).

მილანი

# გალიანი: იბრას წასვლა ტრაგედია არაა

## ახალ სეზონში ახალი გუნდით

აი ახლა კი უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** კარიერას პსჟ-ში გააგრძელებს. ამის შესახებ გუშინდელ ნომერშიც გამცნეთ და თემას დღესაც მივუბრუნდებით. 30 წლის შვედის "მილანიდან" აზარგების ფაქტი **ლეონარდოს** შემდეგ თვით **ადრიანო გალიანიმ** დაადასტურა:

"*დიახ, ზლატან იბრაჰიმოვიჩი დატოვებს გუნდს და ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. იბრა "მილანის" მთავარი დამრტყმელი ძალა გახლდათ, მაგრამ ტრაგედიის შექმნა ნამდვილად არ ღირს. 31 აგვისტომდე დიდი დროა და ვეცდებით, წასულ ფეხბურთელებს ღირსეული შემცვლელები ვუპოვოთ. ვიცი, რომ გულშემატკივართა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა, მაგრამ საჭიროა მეორე კუთხით შევხედოთ ყველაფერს. "მილანი" ამ ზაფხულს მართლაც ბევრმა მოთამაშემ დატოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ გუნდს ვაკეთებთ – მერწმუნეთ, ეს ახალი გუნდი წინამორბედზე ძლიერი იქნება*".

### დაცლილი მილანი

დაახლოებით ანალოგიური კომენტარი რამდენიმე დღეს წინ თვით **სილვიო ბერლუსკონიმ** გააკეთა, მაგრამ მაშინ "მილანის" პერეზიდენტის სიტყვები მხოლოდ პრესით დაიბეჭდა და ასეთ დროს, რეალობასთან აცდენის ალბათობას მაინც არსებობს – გალიანი კი "რაი სპორტს" ესაუბრა, მისი სიტყვები ყველამ საკუთარი ყურით მოისმინა, რაც იმას ნიშნავს, რომ იბრას საფრანგეთში გადაბარგებას წინ აღარაფერი უდგას. ისე კი, გალიანიმ ერთ საინტერესო ფაქტზე გაამახვილა ყურადღება – ამ ზაფხულს, "მილანი" მართლაც ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა და შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კიდეც ისინი: **ალესანდრო ნესტა, ფილიპო ინძაგი, ჯენარო გატუზო, კლარენს ზეედორფი, ჯანლუკა ძამბროტა, ალბერტო აკვილანი, მარკ ვან ბომელი, მაქსი ლოპესი, ტიაგო სილვა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი.**



ადრიანი გალიანი

### სამაგიეროდ, რობინიო რჩება

სამაგიეროდ, "მილანში" რჩება **რობინიო** და ამის შესახებაც გალიანიმ გააკეთა განცხადება: "*რობინიოსთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ის "როსონერიში" რჩება. "სანტოსის" მესვეურებს უკვე შევუთვალე, რომ მის გადაბირებაზე არც კი იფიქრონ, რადგან რობინიო მასიმილიანო ალეგრის სჭირდება. ბრაზილიელი უნივერსალური თვისებების ფეხბურთელია, შეტევის წინა ხაზზეც შეუძლია თამაში და სიღრმიდანაც – ასე რომ, მასთან განშორება ჩვენს გეგმებში არ შედის*".

ინტერი



ალბერტო ჯილარდინო

# სტრამაჩონი ფორვარდს ეძებს

## ერთ-ერთი ვარიანტი ჯილარდინოა

"კორიერე დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მილანის "ინტერის" მესვეურები ფორვარდს ეძებენ და შესაძლოა, **ალბერტო ჯილარდინოს** მიმართულებით გააქტიურდნენ. გასაკვირი არაა, რომ მილანელებს თავდამსხმელის დამატება სურთ, რადგან გუნდი უკვე დატოვეს **დიეგო ფორლანმა** და **მაურო სარატემ,** რომლებსაც სავარაუდოდ **ჯამპაოლო პაცინი** და **ლუკ კასტაინოსი** მიჰყვებიან... მართალია, ჯილარდინო ბოლო წლებში ვერ ბრწყინავს, მაგრამ როგორც ჩანს, **ანდრეა სტრამაჩონის** 30 წლის ფორვარდის მიმართ განსაკუთრებული სიმპათია აქვს:

"*თავდამსხმელი ნამდვილად გვჭირდება და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ამ ვაკუუმს აუცილებლად შევავსებთ. რამდენიმე ფორვარდზეა ლაპარაკი, რომელთაგან ალბერტო ჯილარდინოს გამოყოფა შეიძლება. ჯილა მრავალმხრივი შესაძლებლობების ფეხბურთელია, თანაბარი წარმატებით შეუძლია გატანა და საგოლე პასის გაკეთება, რასაც ყველაზე მეტად ვაფასებ. ვნახოთ, უახლოეს მომავალში ყველა კითხვას გაეცემა პასუხი*".

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. ინტერვიუ ტიტო ვილანოვასთან

# ტიტო ვილანოვა:
# კარგად ვიცი, რა მძიმე ტვირთიც ავიკიდე

## ხავი მარტინესი და 50 ევროპელი უნივერსალი

**სულ რამდენიმე დღეა, რაც „ბარსელონა" შვებულებიდან დაბრუნდა და ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. გუნდი, რა თქმა უნდა, ჯერ მოწინავე ფეხბურთელების გარეშე ვარჯიშობს, რადგან ევრო 2012-ის მონაწილე და სამხრეთამერიკელებს მეტი დასვენების უფლება მისცეს. ამასობაში გუნდის ახალმა თავკაცმა ტიტო ვილანოვამ პირველად ავარჯიშა „ბარსა" და კლუბის ოფიციალურ საიტსაც გაესაუბრა.**

### ბარსას მწვრთნელობა ძნელია

ბოლო წლებში „ბარსელონამ" იმდენს მიაღწია, რომ ამის გაუმჯობესება ძნელი იქნება. ძალიან კარგად მაქვს გაცნობიერებული, რა მძიმე საქმეს დავთანხმდი და ისიც კარგად ვიცი, რომ ხალხი მუდამ გამარჯვებებს ითხოვს. ჩვენ აქ სწორედ ამისთვის ვართ, რომ შევეცადოთ და ყველაფერი ვილონოთ საამისოდ. გვინდა გულშემატკივრები მუდამ ბედნიერები იყვნენ ჩვენი წარმატებებით.

### კომპაქტური გუნდი სჯობს

გუნდში ბევრი ფეხბურთელის ყოლის წინააღმდეგი ვარ, როგორც **ხოსეპ გვარდიოლა**. რადგან შედარებით მცირე შემადგენლობა გარანტიაა იმის, რომ ყველა სასურველ ფორმაში იყოს და თავი კლუბის მნიშვნელოვან ფიგურად იგრძნოს.

### სატრანსფერო კონტურები

31 აგვისტომდე ჯერ კიდევ ბევრი დრო დარჩა, ახლა ახლების დამატების და ზოგიერთთან დამშვიდობების დროა. შეკრება დავიწყეთ და სწორედ წინასასეზონო მზადებისას გამოჩნდება 2012/13 წლების სეზონის გუნდის კონტურები.

### კაცი, რომელიც ორ პოზიციაზე ითამაშებს

რა აკლია დღევანდელ „ბარსას"? ერთი კარგი ცენტრალური მცველი. კარგი იქნება, თუ ასეთს შევიძენთ, თუ არადა, ჩვენს სარეზერვო გუნდს გადავხედავთ და იქიდან ავიყვანთ ყველაზე ღირსეულ ცენტრალურ მცველს. ჩვენ ყოველთვის კარგ შევსებას ვიღებთ სარეზერვო გუნდიდან. რამ გამოიწვია ეს დეფიციტი? **ერიკ აბიდალის** ავადმყოფობამ - ის ხომ ერთდროულად ორ პოზიციაზე თამაშობდა დიდებულად - დაცვის მარცხენა ფლანგზე და ცენტრში. კარგი იქნება, თუ ასეთ ფეხბურთელს ვიშოვით, რომელსაც ორ პოზიციაზე შეეძლება თამაში - დაცვის ცენტრში და შუა ხაზში.

### ხავი მარტინესი?

ახლა იმის დრო არ არის, რომ კონკრეტული სახელები დავასახელოთ. დიახ, **ხავი მარტინესს** შეუძლია დაცვის ცენტრსა და ნახევარდაცვაში ერთნაირად თამაში. მაგრამ მისი ტრანსფერის საკითხი კლუბის შეძლებაზეა დამოკიდებული. ევროპაში ასეთი ტიპის 50-60 ფეხბურთელია. მოკლედ, ვიმეორებ - თუ ვერავინ ვნახეთ შესაფერისი - სარეზერვო გუნდს გადავხედავთ.

### ფორვარდი არ გვჭირდება

ფორვარდი? გამორიცხულია! ჩვენ არ ვეძებთ შემტევებს, ამის პრობლემა გუნდში არ დგას. **დავიდ ვილია** სულ მალე ჩადგება მწყობრში, რის გამოც ძალიან ვხარობ.

### ალბას ტრანსფერზე

ყველანი მოხარული ვართ, რომ ხორდი ალბა უკვე „ბარსელონაშია". მისი შეძენა ძალიან ჭკვიანური ნაბიჯი იყო. მიხარია, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ითამაშებს, ის ახალგაზრდა და ენერგიულია, როგორც სპორტსმენს, კარგად მესმის მისი, მაგრამ როგორც მწვრთნელი - შეშფოთებული ვარ, ხორდის დასვენება თითქმის არ მოუწევს. სად 4-კვირიანი დასვენება და სად 2-3-დღიანი.

### უცნაური და სასიხარულო გრაფიკი

გულს მიხარებს ისიც, რომ წლეულს ცოტა ატიპური წინასასეზონო მზადება გვექნება. უმთავრესად ბარსელონაში ვიქნებით, გვეცოდინება როგორი კლიმატი იქნება, რა დაგვჭირდება. რა თქმა უნდა, ჩვენ გვექნება გასვლებიც. კლუბის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია.

### ხშირი ურთიერთობა დაშავებულებთან

ზაფხულის განმავლობაში ბევრ ფეხბურთელთან მქონდა კონტაქტი, განსაკუთრებით იმათთან, ვისაც ტრავმა აწუხებდა. ყველა ადგილზე რომ იქნება, მაშინ ჩავატარებთ თათბირებს.

### ლიგა თუ ლა ლიგა?

„ბარსელონა" იბრძოლებს ყველა იმ ტურნირის მოსაგებად, რომლებშიც იასპარეზებს. პრიორიტეტებს არ ვსახავთ. ესპანეთის ჩემპიონატის მოგებას დიდი და სტაბილური ბრძოლა სჭირდება, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მოგება ნებისმიერი ევროპული კლუბის ოცნებაა.

### მოურინიოს ნამდვილი სასჯელი

უკვე მოსაწყენია, რომ კვლავ ამ ინციდენტზე მიწევს ლაპარაკი. უკვე ერთი წელი გავიდა მას მერე და ფეხბურთის ფედერაციამ **მოურინიოს** მოუხსნა სასჯელი, მე, როგორც სპორტსმენი, ვეთანხმები ამას. ჩემი აზრით, 1,2 ან მეტი მატჩით დასჯა არ არის ნამდვილი სასჯელი. ყველაზე ადეკვატური სასჯელი ისაა, რომ მთელი მსოფლიო ნახავს, რა ჩაიდინე. სხვათა შორის, მას მერე მოურინიო მომესალმა და არა მგონია, რომ ჩვენ ცუდი ურთიერთობა გვაქვს.



ბარსელონა. ამბები



ბარსელონა უკვე ვარჯიშობს

## 21 ფეხბურთელით

ოთხშაბათ დილით „ბარსელონა" მესამედ შეიკრიბა ბაზაზე და პირველად სოლიდური რაოდენობის ფეხბურთელებით - „სიუტატ ესპორტივას" მეორე მოედანზე 21 ფეხბურთელი შეიკრიბა. 21-დან 13 „ბარსას" პირველი გუნდის წევრია, 8 კი სარეზერვო შემადგენლობიდან დაიმატა **ტიტო ვილანოვამ**. გუნდის ახალი თავკაცი **ეუსებიო საკრისტანს** შემდეგ ოქტეტს ეთხოვა: **ოიერი, სერხი გომესი, პლანიასი, სერხი რობერტო, ილიე, რაფინია, კიკო ფემენია** და **ლობატო**.

**ფონტასი, ვილია** და **დანი ალვეში** გუნდთან ერთად არ ვარჯიშობდნენ, ისინი ფიზიკური მომზადების მწვრთნელს მიებარნენ. ასევე დაშავებულნი არიან **ტიაგო ალკანტარა** და **კვენკა**, რომლებსაც ასევე არ უვარჯიშიათ ჯგუფთან ერთად. ეს ორი ტრენაჟორების დარბაზში ემზადებოდა. წინა დღით ბაზას თანაგუნდელების მოსანახულებლად **ერიკ აბიდალი** ეწვია.

## მასკერანომ გააფორმა



კატალონიური გაზეთი „სპორტი" ამტკიცებს, რომ არგენტინელმა ნახევარმცველმა **ხავიერ მასკერანომ** უკვე გაახანგრძლივა კონტრაქტი „ბარსელონასთან". ხელშეკრულებას ორი წელიწადი დაემატა და ახლა მასკერანო 2016 წლამდე „ბლაუგრანაა". მანამდე ერთი დღით ადრე კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ანდონი სუბისარეტამ** დაადასტურა, რომ მასკერანოსთან მოლაპარაკება თითქმის დასრულდა. 28 წლის მასკერანო 2010 წელს 24 მილიონ ევროდ გადავიდა „ლივერპულიდან" კატალონიაში.

## ჟერარდი ვალენსიას არ დაუთმეს

„ბარსას" 18 წლის ფორვარდის, **ჟერარდ დეულოფეუს** შესანიშნავი თამაში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე შეუმჩნეველი არ დარჩენილა - ამ ფეხბურთელს „ვალენსიამ" დაადგა თვალი. ჟერარდმა ესტონეთში 2 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი მიითვალა. „კომ რადიოს" ინფორმაციით, „ლოს ჩეს" ხელმძღვანელობამ უკვე მიმართა „ბარსელონას" წინადადებით, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო - „ბარსა" ერთ-ერთ გამორჩეულ ტალანტს არაფრის დიდებით არ გაასხვისებს.


დოქტორ სონი კაფს N20

მცენარეული დამამშვიდებელი, საძილე საშუალება

ჩვენებები:

- ძილის დარღვევა და უძილობა
- ემოციური სტრესი, შფოთვა, ნერვული აგზნებადობა
- აკვიატებული აზრები, ფსიქიკური ბალიზიანებადობა.
- დეპრესია.




Nabros Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში შ.პ.ს „კონტა ფარმა" მიცკევიჩის № 56 ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს


ამბები

## ესკუდე ბეშიქთაშში გადავიდა

„სევილიას" მცველი **ჟულიენ ესკუდე** „ბეშიქთაშში" გადავიდა. 32 წლის ფრანგი კარიერის ბოლო ორ სეზონს თურქულ კლუბში გაატარებს. ცენტრალურ მცველს ანდალუსიურ კლუბში განუმარტეს, რომ ის **მიჩელის** გეგმებში არ შედიოდა, ამიტომაც ესკუდე პირველივე სარფიან წინადადებას დათანხმდა. „ბეშიქთაშს" ესკუდეს ტრანსფერი სულ რაღაც მილიონი ევრო დაუჯდება. „სევილიამდე" ესკუდე „აიაქსში" თამაშობდა, საფრანგეთის ნაკრებში მან 13 მატჩი ჩაატარა.

## იბრაჰიმას ნავსაყუდელი - ყუბანი

პამპლონის „ოსასუნამ" **იბრაჰიმა ბალდე** რუსეთში გაუშვა. 23 წლის სენეგალელი ფეხბურთელი კრასნოდარის „ყუბანში" ითამაშებს. გასულ სეზონში იბრაჰიმამ 23 მატჩში 7 გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ მანამდე „ყუბანმა" „ვალენსიას" მცველი **ანხელ დეალბერტი** დაიმატა.

## ვიატრი ნილმარის ნაცვლად

„ბოკა ხუნიორსის" 25 წლის ფორვარდი **ლუკას ვიატრი** „ვილიარეალში" ითამაშებს. „წყალქვეშა ნავმა" არგენტინულ კლუბს მხოლოდ იჯარაში 500 ათასი ევრო გადაუხადა. ახლა ამ ტრანსფერს რამდენიმე დეტალიღა აკლია განსახორციელებლად. კრიმინალური ისტორიის, მაგრამ ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელი 3-ჯერ არგენტინის ნაკრებშიც კი გამოიძახეს. „ბოკაში" მან 82 მატჩში 25 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● რეალი

# მოურინიოც იწყებს



ჟოზე მოურინიო რეალის პირველ ვარჯიშზე

16 ივლისს ვარჯიში დაიწყო ესპანეთის ჩემპიონმა „რეალმა“ - 2012/13 წლების სეზონისთვის მზადება გახსნილია. **ჟოზე მოურინიოს** საქმე უმთავრესად სარეზერვო გუნდის წევრებთან ჰქონდა, რადგან ევრო 2012-ის მონაწილეების თვის შვებულება ჯერ არ დასრულებულა, ისევე როგორც ბრაზილიის ოლიმპიურ გუნდში გამოძახებული **მარსელოსთვის**. პირველი გუნდიდან ბაზაზე გამოცხადნენ: **მორატა, კაკა, იგუაინი, ვარანი, დი მარია, გრანერო, კალეხონი** და **ადანი**. არსად ჩანდა **რიკარდო კარვალიო**, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვს, რომ ეს ვეტერანი პორტუგალიელი სხვა კლუბში (სავარაუდოდ, სამშობლოში) გადავა. თუმცა „სამეფო კლუბში“ გამოაცხადეს, რომ კარვალიოს ვარჯიშის გაცდენის ნებართვა უთხოვია. „რეალ კასტილიადან“ მოურინიომ 13 ფეხბურთელი დაიმატა.

სამშაბათს გუნდმა ორმხრივი თამაშიც გამართა - „ცისფერმა“ გუნდმა კაკას და იგუაინის გოლების წყალობით 2:1 მოიგო. შეხვედრაში მონაწილეობა მოურინიოს ასისტენტმა **აიტორ კარანკამაც** მიიღო.

## რაული, მოულოდნელი სტუმარი

გუშინ „ვალდებებასის“ ბაზაზე ვარჯიშს „რეალის“ ყოფილი კაპიტანი **რაულ გონსალეს ბლანკო** დაესწრო. არაბეთში გადაბარგებული ვეტერანი კარგა ხანს ესაუბრა ჟოზე მოურინიოს. ახალგაზრდა ფეხბურთელები ეშურებოდნენ რაულთან ერთად ფოტოს გადაღებას.

● რეალი. ამბები

# ხესე ბენფიკაში?



ხესე როდრიგესი ევროპის ჩემპიონატიდან ტრიუმფით დაბრუნდა

„რეალ კასტილიას“ ფორვარდმა **ხესე როდრიგესმა** ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე 5 გოლი გაიტანა და „ოქროს ბუცი“ აიღო. ამის შემდეგ ხესეს მიმართ ინტერესი გაათმაგდა. ლისაბონის „ბენფიკა“ მზადაა ხესეს სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გაიღოს. „დეფენსა სენტრალის“ ცნობით, ეს ტრანსფერი თითქმის გამორიცხულია, რადგან ჟოზე მოურინიოს ხესე მალე პირველ გუნდში დასჭირდება. შესაძლოა, ეს სეზონის მეორე ნახევარშიც მოხდეს. სხვათა შორის, „რეალის“ ფანები უკვე ითხოვენ, რომ ხესე მოურინიომ პირველ გუნდში გადაიყვანოს.

## მოუს ახალი ასისტენტი

ჟოზე მოურინიომ „რეალის“ ტექნიკურ გუნდს ლუიშ კამპუში დაუმატა. ის „რეალში“ მეტოქე გუნდების ფეხბურთელებს დააკვირდება და ინფორმაციას მოურინიოს მიაწვდის. „რეალის“ ახალწვეული „განსაკუთრებულის“ მეგობარია და პორტუგალიაში ბევრ გუნდში უმუშავია. ახლა მოურინიოს ასისტენტთა შორის მხოლოდ ერთი არაა პორტუგალიელი - აიტორ კარანკა.

● რეალი. სავარაუდო ტრანსფერი

# ტოტენჰემი მოდრიჩის ტრანსფერს აჭიანურებს

## მადრიდში მოდრიჩს მაიკონი ჩაასწრებს?

„მარკას“ ინფორმაციით, როგორც ჩანს, **ლუკა მოდრიჩის** ტრანსფერი ჩრდილოლონდონური კლუბის გამო გაჭიანურდება. „ტოტენჰემს“ შარშანაც შეეძლო ხორვატის გაყიდვა, მაგრამ 26 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო იუარა. წლეულს, პრინციპულად განსხვავებული სიტუაციაა - თუკი შარშან „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობა ბევრს ეცადა, რომ ფეხბურთელი დარჩენაში დაერწმუნებინა და ყველა წინადადება უკუაგდო, წლეულს ინგლისელები მზად არიან გაყიდონ მოდრიჩი - ოღონდ, რაც შეიძლება ძვირ ფასად. ამასთან, მათ არსად ეჩქარებათ, სატრასფერო სარკმლის დახურვამდე თვე-ნახევარი რჩება და „ტოტენჰემი“ მხოლოდ „რეალის“ წინადადებას არ განიხილავს, სხვებისასაც ელის (მაგალითად, „პარი სენ ჟერმენს“). როგორც „მარკამ“ ინგლისური კლუბის ბანაკიდან შეიტყო - თუკი „რეალი“ 35 მილიონ ფუნტ სტერლინგს გადაიხდის, ხვალვე შეუძლია მოდრიჩი მადრიდში წაიყვანოს. სხვათა შორის, იმავე „მარკას“ წყარო ამტკიცებს, რომ ჟოზე მოურინიო მოდრიჩს ხშირად ელაპარაკება მომავალ ტრანსფერზე.

სხვათა შორის, იტალიურ პრესას თუ ვენდობით, მოდრიჩს მადრიდში „ინტერის“ ბრაზილიელი მცველი **მაიკონი** ჩაასწრებს.



ლუკა მოდრიჩის მომავალი ჯერ უცნობია

● ამბები

## მიჩუ პრემიერლიგაში ითამაშებს




„რაიო ვალეკანო“ და „სუონსი სიტი“ შეთანხმდნენ - მადრიდული კლუბი **მიგელ პერეს კვესტას** (რომელსაც ყველა **მიჩუს** სახელით იცნობს) სანაცვლოდ 2 მილიონ ევროს გადაიხდის. ახლა ყველაფერი ფეხბურთელზეა დამოკიდებული, მან უნდა შეათანხმოს უელსურ კლუბთან პირადი კონტრაქტი. მიჩუს შარშან დიდებული სეზონი ჰქონდა, 26 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ლა ლიგაში 15 გოლი გაიტანა, რაც ევროპის ტოპ ლიგებში ნახევარმცველთა შორის საუკეთესო შედეგია. 190 სანტიმეტრი სიმაღლის, მაგრამ ძალიან ტექნიკური ფეხბურთელი „ელვებს“ 2007 წელს ვიგოს „სელტადან“ შეუერთდა.



## არაბული აფერა? მალაგას ფეხბურთელებს ხელფასი ვერ აუღიათ

ყველამ იცის, რომ რაც არაბული ინვესტიციები შემოვიდა, „მალაგას“ ფინანსურად აღარ უჭირს, თუმცა სინამდვილეში არც ისე კარგად ყოფილა საქმე ანდალუსიურ კლუბში, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. თურმე, „მალაგას“ თავისი ფეხბურთელების 35-40% სახელფასო ვალი აქვს! *„ჰიპოთეზებით არ ვლაპარაკობ - 30 ივნისის მდგომარეობით „მალაგას“ თავისი ფეხბურთელების 35-40% სახელფასო ვალი აქვს. ყველაფერი კარგად რომ იყოს, ფერნანდო იერო ისევ „მალაგაში“ იქნებოდა. არ ვიცი, რას ეძახიან ისინი ინვესტიციას, მაგრამ ფაქტია, კლუბში ძალიან ცუდი ვითარებაა“*, - განაცხადა აფე-ს პრეზიდენტმა **ლუის რუბიალესმა**. იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, რომელმაც შარშანდელი სეზონი გაფიცვის გამო კინაღამ ჩაშალა.

## ჰოლანდიელი სელტიკიდან



„სარაგოსა“ ჰოლანდიელი **გლენ ლოოვენსით** გაძლიერდა. არაგონელთა თავკაც **მანოლო ხიმენესს** დაცვის ხაზის გარდაქმნა სურს, ამიტომაც გუნდში 28 წლის ტანმაღალი ცენტრალური მცველი ვიხილეთ, რომელიც მომავალ ორ სეზონს „სარაგოსაში“ გაატარებს და შემდეგ კიდევ ერთი წლით შეეძლება ხელშეკრულების გაგრძელება. ლოოვენსმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. ლოოვენსი შოტლანდიის ჩემპიონ „სელტიკში“ თამაშობდა, რომელთანაც კონტრაქტი დაუსრულდა. „სელტიკში“ ლოოვენსმა 61 თამაშში 8 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



უცხოური ფეხბურთი

# საფრანგეთის ჩემპიონატი 2012-13. კალენდარი

LIGUE 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

### I ტური. 11 აგვისტო
მონპელიე-ტულუზა
სტ. ეტიენი-ლილი
რენი-ლიონი
პსჟ-ლორიანი
ევიანი-ბორდო
ტრუა-ვალანსი
ნიცა-აიაჩო
სოშო-ბასტია
ნანსი-ბრესტი
რეიმსი-მარსელი

### II ტური. 18 აგვისტო
ლიონი-ტრუა
მარსელი-სოშო
ლილი-ნანსი
აიაჩო-პსჟ
ბორდო-რენი
ტულუზა-სტ. ეტიენი
ლორიანი-მონპელიე
ვალანსი-ნიცა
ბრესტი-ევიანი
ბასტია-რეიმსი

### III ტური. 25 აგვისტო
პსჟ-ბორდო
მონპელიე-მარსელი
ევიანი-ლიონი
ნიცა-ლილი
ტრუა-ლორიანი
სტ. ეტიენი-ბრესტი
ნანსი-ტულუზა
რენი-ბასტია
რეიმსი-სოშო
ვალანსი-აიაჩო

### IV ტური. 1 სექტემბერი
მარსელი-რენი
ლიონი-ვალანსი
ბორდო-ნიცა
ბასტია-სტ. ეტიენი
სოშო-მონპელიე
ბრესტი-ტრუა
ლორიანი-ნანსი
ტულუზა-რეიმსი
აიაჩო-ევიანი
ლილი-პსჟ

### V ტური. 15 სექტემბერი
ტრუა-ლილი
პსჟ-ტულუზა
ნანსი-მარსელი
ლიონი-აიაჩო
ვალანსი-ბორდო
სტ. ეტიენი-სოშო
რენი-ლორიანი
რეიმსი-მონპელიე
ნიცა-ბრესტი
ევიანი-ბასტია

### VI ტური. 22 სექტემბერი
მარსელი-ევიანი
ბასტია-პსჟ
მონპელიე-სტ. ეტიენი
ბორდო-აიაჩო
ტულუზა-რენი
სოშო-ტრუა
ლორიანი-ნიცა
რეიმსი-ნანსი
ბრესტი-ვალანსი
ლილი-ლიონი

### VII ტური. 29 სექტემბერი
ლიონი-ბორდო
რენი-ლილი
პსჟ-სოშო
ვალანსი-მარსელი
ტრუა-ტულუზა
სტ. ეტიენი-რეიმსი
ნანსი-მონპელიე
ევიანი-ლორიანი
ნიცა-ბასტია
აიაჩო-ბრესტი

### VIII ტური. 6 ოქტომბერი
ლორიანი-ლიონი
ლილი-აიაჩო
სტ. ეტიენი-ნანსი
ბრესტი-ბორდო
სოშო-რენი
მონპელიე-ევიანი
ბასტია-ტრუა
ტულუზა-ვალანსი
რეიმსი-ნიცა
მარსელი-პსჟ

### IX ტური. 20 ოქტომბერი
ბორდო-ლილი
ტრუა-მარსელი
ლიონი-ბრესტი
პსჟ-რეიმსი
ნიცა-სტ. ეტიენი
რენი-მონპელიე
ევიანი-ტულუზა
ვალანსი-ლორიანი
ნანსი-სოშო
აიაჩო-ბასტია

### X ტური. 27 ოქტომბერი
ნანსი-პსჟ
ლილი-ვალანსი
სტ. ეტიენი-რენი
ბასტია-ბორდო
მონპელიე-ნიცა
რეიმსი-ტრუა
სოშო-ევიანი
ტულუზა-ბრესტი
ლორიანი-აიაჩო
მარსელი-ლიონი

### XI ტური. 3 ნოემბერი
პსჟ-სტ. ეტიენი
აიაჩო-მარსელი
ლიონი-ბასტია
ევიანი-ლილი
ბორდო-ტულუზა
ტრუა-მონპელიე
ნიცა-ნანსი
რენი-რეიმსი
ვალანსი-სოშო
ბრესტი-ლორიანი

### XII ტური. 10 ნოემბერი
მარსელი-ნიცა
სოშო-ლიონი
ლილი-ბრესტი
სტ. ეტიენი-ტრუა
ლორიანი-ბორდო
ნანსი-რენი
ტულუზა-აიაჩო
რეიმსი-ევიანი
ბასტია-ვალანსი
მონპელიე-პსჟ

### XIII ტური. 17 ნოემბერი
პსჟ-რენი
ლორიანი-ლილი
ლიონი-რეიმსი
ევიანი-სტ. ეტიენი
ტრუა-ნანსი
ნიცა-ტულუზა
ვალანსი-მონპელიე
აიაჩო-სოშო
ბრესტი-ბასტია
ბორდო-მარსელი

### XIV ტური. 24 ნოემბერი
პსჟ-ტრუა
ტულუზა-ლიონი
მონპელიე-ბორდო
სტ. ეტიენი-ვალანსი
რენი-ევიანი
სოშო-ნიცა
ბასტია-ლორიანი
ნანსი-აიაჩო
რეიმსი-ბრესტი
მარსელი-ლილი

### XV ტური. 1 დეკემბერი
ლიონი-მონპელიე
ნიცა-პსჟ
ბრესტი-მარსელი
ლილი-ბასტია
ბორდო-სოშო
ტრუა-რენი
აიაჩო-სტ. ეტიენი
ლორიანი-ტულუზა
ევიანი-ნანსი
ვალანსი-რეიმსი

### XVI ტური. 8 დეკემბერი
სტ. ეტიენი-ლიონი
მარსელი-ლორიანი
პსჟ-ევიანი
სოშო-ლილი
რეიმსი-ბორდო
ტრუა-ნიცა
რენი-ბრესტი
მონპელიე-აიაჩო
ტულუზა-ბასტია
ნანსი-ვალანსი

### XVII ტური. 12 დეკემბერი
ბორდო-სტ. ეტიენი
ლიონი-ნანსი
ლილი-ტულუზა
ვალანსი-პსჟ
ბასტია-მარსელი
ნიცა-რენი
ევიანი-ტრუა
ლორიანი-სოშო
ბრესტი-მონპელიე
აიაჩო-რეიმსი

### XVIII ტური. 15 დეკემბერი
ტულუზა-მარსელი
რეიმსი-ლილი
ნანსი-ბორდო
სტ. ეტიენი-ლორიანი
რენი-ვალანსი
ტრუა-აიაჩო
ნიცა-ევიანი
მონპელიე-ბასტია
სოშო-ბრესტი
პსჟ-ლიონი

### XIX ტური. 22 დეკემბერი
მარსელი-სტ. ეტიენი
ლიონი-ნიცა
ლილი-მონპელიე
ბრესტი-პსჟ
ბორდო-ტრუა
ტულუზა-სოშო
აიაჩო-რენი
ლორიანი-რეიმსი
ვალანსი-ევიანი
ბასტია-ნანსი

### XX ტური. 12 იანვარი
ტრუა-ლიონი
სოშო-მარსელი
პსჟ-აიაჩო
ნანსი-ლილი
რენი-ბორდო
სტ. ეტიენი-ტულუზა
მონპელიე-ლორიანი
ნიცა-ვალანსი
ევიანი-ბრესტი
რეიმსი-ბასტია

### XXI ტური. 19 იანვარი
ბორდო-პსჟ
მარსელი-მონპელიე
ლიონი-ევიანი
ლილი-ნიცა
ლორიანი-ტრუა
ბრესტი-სტ. ეტიენი
ტულუზა-ნანსი
ბასტია-რენი
სოშო-რეიმსი
აიაჩო-ვალანსი

### XXII ტური. 26 იანვარი
პსჟ-ლილი
რენი-მარსელი
ვალანსი-ლიონი
ნიცა-ბორდო
სტ. ეტიენი-ბასტია
მონპელიე-სოშო
ტრუა-ბრესტი
ნანსი-ლორიანი
რეიმსი-ტულუზა
ევიანი-აიაჩო

### XXIII ტური. 2 თებერვალი
ტულუზა-პსჟ
ლილი-ტრუა
მარსელი-ნანსი
აიაჩო-ლიონი
ბორდო-ვალანსი
სოშო-სტ. ეტიენი
ლორიანი-რენი
მონპელიე-რეიმსი
ბრესტი-ნიცა
ბასტია-ევიანი

### XXIV ტური. 9 თებერვალი
ლიონი-ლილი
ევიანი-მარსელი
პსჟ-ბასტია
სტ. ეტიენი-მონპელიე
აიაჩო-ბორდო
რენი-ტულუზა
ტრუა-სოშო
ნიცა-ლორიანი
ნანსი-რეიმსი
ვალანსი-ბრესტი

### XXV ტური. 16 თებერვალი
ბორდო-ლიონი
ლილი-რენი
სოშო-პსჟ
მარსელი-ვალანსი
ტულუზა-ტრუა
რეიმსი-სტ. ეტიენი
მონპელიე-ნანსი
ლორიანი-ევიანი
ბასტია-ნიცა
ბრესტი-აიაჩო

### XXVI ტური. 23 თებერვალი
პსჟ-მარსელი
ლიონი-ლორიანი
აიაჩო-ლილი
ნანსი-სტ. ეტიენი
ბორდო-ბრესტი
რენი-სოშო
ევიანი-მონპელიე
ტრუა-ბასტია
ვალანსი-ტულუზა
ნიცა-რეიმსი

### XXVII ტური. 2 მარტი
ლილი-ბორდო
მარსელი-ტრუა
ბრესტი-ლიონი
რეიმსი-პსჟ
სტ. ეტიენი-ნიცა
მონპელიე-რენი
ტულუზა-ევიანი
სოშო-ნანსი
ლორიანი-ვალანსი
ბასტია-აიაჩო

### XXVIII ტური. 9 მარტი
ლიონი-მარსელი
პსჟ-ნანსი
ვალანსი-ლილი
რენი-სტ. ეტიენი
ბორდო-ბასტია
ნიცა-მონპელიე
ტრუა-რეიმსი
ევიანი-სოშო
ბრესტი-ტულუზა
აიაჩო-ლორიანი

### XXIX ტური. 16 მარტი
სტ. ეტიენი-პსჟ
მარსელი-აიაჩო
ლილი-ევიანი
ბასტია-ლიონი
ტულუზა-ბორდო
მონპელიე-ტრუა
ნანსი-ნიცა
რეიმსი-რენი
სოშო-ვალანსი
ლორიანი-ბრესტი

### XXX ტური. 30 მარტი
პსჟ-მონპელიე
ნიცა-მარსელი
ლიონი-სოშო
ტრუა-სტ. ეტიენი
ბრესტი-ლილი
ბორდო-ლორიანი
რენი-ნანსი
აიაჩო-ტულუზა
ევიანი-რეიმსი
ვალანსი-ბასტია

### XXXI ტური. 6 აპრილი
მარსელი-ბორდო
რენი-პსჟ
ლილი-ლორიანი
რეიმსი-ლიონი
სტ. ეტიენი-ევიანი
ნანსი-ტრუა
ტულუზა-ნიცა
მონპელიე-ვალანსი
სოშო-აიაჩო
ბასტია-ბრესტი

### XXXII ტური. 13 აპრილი
ლილი-მარსელი
ტრუა-პსჟ
ლიონი-ტულუზა
ბორდო-მონპელიე
ვალანსი-სტ. ეტიენი
ევიანი-რენი
ნიცა-სოშო
ლორიანი-ბასტია
აიაჩო-ნანსი
ბრესტი-რეიმსი

### XXXIII ტური. 21 აპრილი
მონპელიე-ლიონი
პსჟ-ნიცა
მარსელი-ბრესტი
ბასტია-ლილი
სოშო-ბორდო
რენი-ტრუა
სტ. ეტიენი-აიაჩო
ტულუზა-ლორიანი
ნანსი-ევიანი
რეიმსი-ვალანსი

### XXXIV ტური. 27 აპრილი
ლიონი-სტ. ეტიენი
ლორიანი-მარსელი
ევიანი-პსჟ
ლილი-სოშო
ბორდო-რეიმსი
ნიცა-ტრუა
აიაჩო-მონპელიე
ბრესტი-რენი
ბასტია-ტულუზა
ვალანსი-ნანსი

### XXXV ტური. 4 მაისი
ტულუზა-ლილი
ნანსი-ლიონი
სტ. ეტიენი-ბორდო
პსჟ-ვალანსი
მარსელი-ბასტია
ტრუა-ევიანი
რენი-ნიცა
მონპელიე-ბრესტი
სოშო-ლორიანი
რეიმსი-აიაჩო

### XXXVI ტური. 11 მაისი
ლიონი-პსჟ
მარსელი-ტულუზა
ლილი-რეიმსი
ბორდო-ნანსი
ლორიანი-სტ. ეტიენი
აიაჩო-ტრუა
ვალანსი-რენი
ბასტია-მონპელიე
ევიანი-ნიცა
ბრესტი-სოშო

### XXXVII ტური. 18 მაისი
სტ. ეტიენი-მარსელი
მონპელიე-ლილი
ნიცა-ლიონი
პსჟ-ბრესტი
ტრუა-ბორდო
სოშო-ტულუზა
რენი-აიაჩო
რეიმსი-ლორიანი
ევიანი-ვალანსი
ნანსი-ბასტია

### XXXVIII ტური. 26 მაისი
ლილი-სტ. ეტიენი
ლიონი-რენი
ლორიანი-პსჟ
მარსელი-რეიმსი
ბორდო-ევიანი
ტულუზა-მონპელიე
ვალანსი-ტრუა
აიაჩო-ნიცა
ბრესტი-ნანსი
ბასტია-სოშო



ზლატან იბრაჰიმოვიჩი პსჟ-ში ოფიციალურად წარადგინეს

● თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჭაბუკთა პირველობა



# ბრინჯაოს სამება კატოვიცეში

პოლონურ კატოვიცეში დასრულებული თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის მეორე დღე, ჩვენი ნაკრებისთვის პირველზე წარმატებული აღმოჩნდა - ორი ბრინჯაო მოვიპოვეთ; ამჯერად ორმა ჩვენებურმა იასპარეზა ნახევარფინალში და სანუგეშოშიც უფრო მეტმა გადაინაცვლა. გუშინ კონტინენტის მედალოსნები **ტარზან მაისურაძე** (63) და **ბექა კახეთელიძე** (100) გახდნენ. შეგახსენებთ, რომ გუშინწინ ბრინჯაოს **ომარ გურჯიძე** (69) დაეუფლა.

გუშინ მედლამდე უფრო გრძელი გზა მაისურაძემ გაიარა, რომელმაც ხუთი ორთაბრძოლა გამართა, კახეთელიძე კი პირველ წრეში ისვენებდა და ოთხი შეხვედრა გამოუვიდა. მაისურაძეს აქტივში ისიც ეთვლება, რომ მესამე წრეში რუსი **არსლან არსლანბეკოვი** დაამარცხა. საამისოდ დამატებითი დრო დასჭირდა, თუმცა პირველი პერიოდიც მისი გამარჯვებით დამთავრდა - 1:0, ხოლო მეორე 2:2-ზე დათმო. მესამეში ჩვენებური ბევრად მაღლა იდგა მეტოქეზე და 3:0 იმარჯვა. მანამდე მაისურაძემ მოლდოველი **მიჰაი ბულგარუ** და გერმანელი **ბენჯამინ ოპიტცი** ძირითად დროში დაჯაბნა, შესაბამისად 4:2 და 11:0. ეტყობა, ქართველმა რუსთან ბრძოლას მთელი ძალები შეალია და იმ წარმატების შემდეგ ნახევარფინალში მყისვე დამარცხდა მომავალ ფინალისტთან, ბულგარელ **ეველინ რუსევთან**. თუმცა აქაც დიდი ბრძოლა გაუმართა მეტოქეს და იოლად არაფერი დაუთმო - პირველი პერიოდის 1:2-ზე დათმობის შემდეგ მეორეში გვარიანად იბობოქრა და 4;2 მოიგო, მაგრამ დამატებითი 0:1 დათმო და სანუგეშოს ფინალში გადაინაცვლა. აქ მეტოქედ ბელგიური პასპორტის მქონე დაღესტნელი **აბდულაჰ ომაროვი** ელოდა, რომელსაც ჩვენებურმა იოლად სძლია - 1:3; 1:4 და ბრინჯაოც მოიპოვა.

კახეთელიძემაც ძლიერად იჭიდავა, თუმცა მეორე შეხვედრაში სლოვაკმა **დავიდ ცეჩმა** დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ეს შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე, დაძაბული და უხვქულიანი გამოდგა. თავიდან კახეთელიძე დაწინაურდა - 5:4, მაგრამ ცეჩმა მეორე პერიოდში 6:1 იმარჯვა და ანგარიშიც გაათანაბრა. დამატებით პერიოდს უფრო მობილიზებული ისევ ქართველი შეხვდა და 5:1 იმარჯვა. ამ სლოვაკმა მანამდე აზერბაიჯანელი ფალავანი დაამარცხა და როგორც ჩანს, კარგი კერკეტი კაკალია, თუმცა კახეთელიძემ მაინც გატეხა. მანამდე ჩვენებურმა სომეხ **რუდოლფ ალექსანიანს** ბევრად იოლად, უპრობლემოდ მოუგო ორ პერიოდში 4:0, თუმცა, ჩანს ცეჩმა ესეც გამოფიტა და ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, თურქ **იუნუს ემრე დედესთან** მინიმალური ანგარიშით - 0:1; 0:1 წააგო. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კახეთელიძემ ბერძენ **ალექსანიოს კაპატანასიდისს** ძირითად დროში 6:1 მოუგო.

გუშინ ყველაზე გულდასაწყვეტი **გიორგი ჩხარტიშვილის** (76) უმედლოდ დარჩენა იყო. ის მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორია, გუნდშიც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია და ამჯერადაც ფავორიტთა შორის მოიაზრებოდა. კატოვიცეშიც კარგად დაიწყო გამოსვლა - ესტონელი **ჰანნეს კაარიკი** იოლად დაჯაბნა - 11:0 ძირითად დროში, ლატვიელ **ერიკ ბიზუნკოვიჩსაც** ასევე ორ პერიოდში და ასე თამაშ-თამაშ მოუგო 4:3; 2:0 (აქ პირველ პერიოდში 0:2 ჩამორჩა, თუმცა არც აღელვებულა, ისე მშვიდად და დამაჯერებლად გადაუსწრო), აზერბაიჯანელთა მომავალ ფინალისტ **მოჰამადგაჯი მუხუტოვსაც** 6;3 მოუგო პირველი პერიოდი, მაგრამ ჯერ მეორე დათმო 2:2-ზე, მერე კი მესამეშიც დამარცხდა - 0:2. პირველი პერიოდი დამამშვიდებელშიც მოიგო უკრაინელთა მომავალ მესამე პრიზიორ **რუსლან რუჩკოსთან**, მაგრამ უპირატესობა ვეღარ შეინარჩუნა და წააგო.

**გიორგი პასიკაშვილი** (46) და **ლევან მურცხვალაძე** (54) სანუგეშო წრეში ვერ გადავიდნენ, თუმცა კი ორივემ თავიდან თითო შეხვედრა მოიგო. საინტერესოა, რომ პირველ წრეში ორივე ქართველმა პერიოდების მიხედვით ზუსტად ერთნაირი ანგარიშით იმარჯვა - პასიკაშვილმა ებრაელი **დავიდ ბულიგინი**, მურცხვალაძემ კი ბელგიელთა კიდევ ერთი ნატურალიზებული დაღესტნელი **ბილალ აბდურაშიდოვი** 7:0; 6:0 დაამარცხეს. ამის შემდეგ პასიკაშვილმა სომეხთა მომავალ ბრინჯაოს მედალოსან **ჰმაიაკ ალაჯანიანთან** დათმო ორთაბრძოლა, მურცხვალაძემ - გერმანელ **ნიკლას დორნთან**. განსხვავება ისაა, რომ პასიკაშვილმა სომეხს დიდი ბრძოლა გაუმართა, პირველი პერიოდი მოუგო კიდეც, ხოლო დამატებითი მინიმალური სხვაობით - 3:4 დათმო.

დღეს და ხვალ ევროპის ჩემპიონატზე გოგოების ტურნირია, 21-22 ივლისს კი ბერძენ-რომაელები გამოვლენ. ჩვენი ნაკრები იქ გუშინ გაფრინდა ასეთი შემადგენლობით: **თემურ შავაძე** (42), **რამაზ ზოიძე** (46), **ირაკლი შავაძე** (50), **გიორგი ხუჭუა** (54), **თემურ კვაჭაძე** (58), **მურთაზ ჩაბრავა** (63), **ნუკრი შავაძე** (69), **ნიკა გავაშელი** (76), **ნიკოლოზ კახელიშვილი** (85), **ზვიად პატარიძე** (100).

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# ფოთში ორი ხელისუფალია

ნანა ალექსანდრიას თასის გათამაშების მთავარ ტურნირში გუშინ მე-6 ტურის შეხვედრები გაიმართა. მანამდე 4,5-4,5 ქულით ექვსი მოჭადრაკე მეწინავეობდა. ორი მათგანი - **დავით მალალაშვილი** და **გაიოზ ნიგალიძე** მალევე დაზავდნენ. სამაგიეროდ, **გიგა ყუფარაძემ** სომეხი დავით კალაშიანი დაამარცხა, ხოლო აზერბაიჯანელმა ზაურ მამადოვმა ჰოვიკ ჰაირაპეტიანს (სომხეთი) აჯობა და 5,5-5,5, ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცნენ. ლიდერებს 0,5-0,5 ქულით ჩამორჩებიან ნიგალიძე, ჰაირაპეტიანი, დავით ლომსაძე, ირაკლი ბერაძე, მაია ლომინეიშვილი, ზურაბ ჯავახაძე და დავით მალალაშვილი, რომლებიც მესამე-მერვე ადგილებს ინაწილებენ.

დღეს ფოთში ორი ტურის პარტიები გაიმართება. მეშვიდეში ინტერესს იწვევს ნიგალიძე - ყუფარაძის, ჰაირაპეტიან - მამადოვის, ლომსაძე - მალალაშვილის, ბერაძე - ჯავახაძისა და საქართველოს ექსჩემპიონების - დავით ზარქუა (4,5) და მაია ლომინეიშვილის ორთაბრძოლები.

**8-წლიან** გოგონებში ლიდერობა შეინარჩუნა დიანა ლომაიამ. გუშინ მან თეკლა ვადაქარია დაამარცხა და 6 ქულა მოაგროვა. ლიდერს კვალში მიჰყვება ელენე გაბესკირია - ლილე გუმბერიძის ძლევით 5 ქულას მოუყარა თავი და მეორე ადგილზეა. 4-4 ქულა აქვთ ელენე იოსელიანს, თათევიკ ადამიანს (სომხეთი), ლილე გუმბერიძეს და 6 წლის მარტა ქათამაძეს, რომელმაც შავი ფიგურებით ელენე წოწონავას აჯობა. ბიჭებშიც მეექვსე გამარჯვება იზეიმა ნიკოლოზ კაჭარავამ - გორ გრიგორინს (სომხეთი) მოუგო და გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. ასევე უშეღავათო იყო მეწინავეთა ჯგუფის სხვა წევრების პაექრობებიც: დავით გაბუნია - ახმად ახმადზადე (აზერბაიჯანი) 1:0, სურენ აპინიანი (სომხეთი) - თევდორე ნადარეიშვილი 0:1, გიორგი მესხია - უმიდ ასლანოვი (აზერბაიჯანი) 1:0. ამდენად, ერთპიროვნულ ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან ნადარეიშვილი, გრიგორიანი, მესხია და გაბუნია.

**10-წლიან** გოგონებში პოზიციებს არ თმობს ანასტასია სიდამონიძე, რომელმაც გუშინ თეთრი ფიგურებით თამარ ესაძე დაამარცხა და მთავარი პრიზის მოპოვების რეალური შანსი აქვს, რადგან უახლოეს მდევრებს - შესაბამისად, თამარ ლაგაზაურისა და მანე ჰოვანისიანის (სომხეთი) მძლეველთ - მარიამ ბაბაიანსა (სომხეთი) და ეითაჯ ჰეიდაროვას (აზერბაიჯანი) 1,5-1,5 ქულით უსწრებს (ოთხქულიანები მრავლად არიან). ტურნირის დამთავრებამდე კი 3 ტური დარჩა. ბიჭებში უდანაკარგო ნიკოლოზ პეტრიაშვილის წინსვლა მათე თოდაშვილმა შეაფერხა - პირველი მარცხი აგემა ერთპიროვნული ლიდერს და 5,5 ქულით თავად დაწინაურდა. პეტრიაშვილს ქულებით დავით კამკია და ანტონ ნადირაძე გაუთანაბრდნენ - გუშინ მათ ილია ჩხეტიას და ჰაკობ ჰაკობიანს გააჩერებინეს საათი.

**12-წლიან** გოგონებში მეწინავეთა მე-6 ტურის პარტიები ასე დამთავრდა: მარიამ ავეტისიანი (სომხეთი) - მარიამ დოლიძე 0,5:0,5, მარიამ გურჯიევი (საქართველო) - ანი ივანიანი (სომხეთი) 0:1, ჰეგინე ამირხანიანი (სომხეთი) - ლიკა იმნაძე 0:1. ექვსი ტურის შემდეგ: ავეტისიანი - 5,5, ივანიანი - 5, იმნაძე - 4, დოლიძე - 3,5 ქულა. **ბიჭები.** კოკა ბუკია - გურამ კოკაია 0,5:0,5, გურამ ჭელიძე - დავით გვენეტაძე 0:1, აშოტ ფარვანიანი - ჰაკობ ჰაკობიანი 1:0, ცოტნე მამულაიშვილი - ნიკოლოზ ცომაია 0:1, არმენაკ ნაზარიანი (სომხეთი) - გიორგი თავზარაშვილი 1:0. 5-5 ქულით გვენეტაძე და კოკაია მეწინავეობენ. შემდეგ მოდიან ბუკია, ცომაია, ნაზარიანი და ფარვანიანი - 4,5-4,5 ქულა.

**ვაჟა დანელია**



გიგა ყუფარაძე

# ფავორიტები გამოცოცხლდნენ

ფიდეს ეგიდით მოჭადრაკე ქალთა გრან-პრის მე-4 ეტაპის (სომხური ჯერმუკი მასპინძლობს) პირველ ტურში ფავორიტებად მიჩნეულმა მოჭადრაკეებმა დაუგეგმავ ზავებზე მოაწერეს ხელი, რაც მე-2 ტურში გაითვალისწინეს და მონაგარი თითო ქულით გაიმდიდრეს. ორგზის მსოფლის ჩემპიონმა ჰოუ იფანმა (ჩინეთი) შავი ფიგურებით 39-ე სვლაზე სძლია მასპინძელ ლილით მკრტიჩიანს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ჰამფი კონერუს ჩვენებური **ნინო ხურციძის** დასამარცხებლად 25 სვლა ეყო. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) - ელინა დანიელიანი (სომხეთი) 1:0, ჟაო სიუ (ჩინეთი) - ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) 0:1, კატერინა ლაგნო (უკრაინა) - ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) 1:0, ბათჰუიაგ მონგონთუული (მონგოლეთი) - ლუფეი რუანი (ჩინეთი) 0:1.



ნინო ხუციძისა (მარჯვნივ) და ცზიუ ვენძიუნის შეხვედრა

ორი ტურის შემდეგ: კონერუ, ვენძიუნი - 2-2, ჰოუ იფანი, ლაგნო, რუანი - 1,5-1,5, კოვალევსკაია, კოსინცევა - 1-1, დანიელიანი, მონგონთუული, მკრტიჩიანი - 0,5-0,5, ჟაო სიუ, ხურციძე - 0-0 ქულა.

მე-3 ტურში ითამაშებენ: ნინო ხურციძე - ჟაო სიუ, ელინა დანიელიანი - ჰამფი კონერუ, ჰოუ იფანი - ცზიუ ვენძიუნი, ლუფეი რუანი - ლილით მკრტიჩიანი, ეკატერინა კოვალევსკაია - ბათჰუიაგ მონგონთუული, ნადეჟდა კოსინცევა - კატერინა ლაგნო.

**ვაჟა დანელია**

# ჯობავა-ვოიტაშეკის მატჩი რუბინშტეინის იუბილეს ეძღვნება

წლეულს ზეიმით აღინიშნება სახელოვანი პოლონელი მოჭადრაკის - აკიბი რუბინშტეინის დაბადებიდან 130-ე წლისთავი. საიუბილეო თარიღს ეძღვნება საქართველოს და პოლონეთის უძლიერესი დიდოსტატების - **ბაადურ ჯობავას** და **რადოსლავ ვოიტაშეკის** მატჩი, რომელიც 24-28 ივლისს პოზნანში (პოლონეთი) გაიმართება. მეტოქეები ერთმანეთს 4 კლასიკურ პარტიასა და 4 სწრაფ ჭადრაკში დაუპირისპირდებიან. განსაკუთრებით საინტერესო იქნება მათი პაექრობა რაპიდში, რადგან სწორედ სწრაფ ჭადრაკში იყო ვოიტაშეკი ევროპის ჩემპიონი 2008 წელს, სამი წლის შემდეგ კი ეს ტიტული ჯობავამ მოიპოვა.

პოლონელი დიდოსტატი დიდი ხნის შესვენების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ბორის გელფანდთან მატჩისას მსოფლიოს ჩემპიონის - ვიშვანათან ანანდის სამწვრთნელო შტაბში მუშაობით, კვლავ დაუბრუნდება საშეჯიბრო სარბიელს, თანაც 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების მე-2 წრეში ჯობავასთან მარცხისთვის რევანშის აღებასაც შეეცდება.

ამ მატჩამდე ქართველი დიდოსტატი ერთგვარ მოთელვას ამსტერდამში გადის, სადაც პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ინიციატივით მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი „ოქროს კლასიკა“. შეგახსენებთ, რომ მეტოქეებს 40 სვლისთვის 2,5-2,5 საათი ეძლევათ პარტიის შესაძლო გადადებით. განვლილ სამ ტურში ამგვარი უფლებით მხოლოდ ერთხელ ისარგებლეს მოასპარეზეებმა - მესამე ტურში ანა მუზიჩუკი-ბაადურ ჯობავას პარტია 41-ე სვლაზე გადაიდო. რადგანაც მეტოქეებს წარმატების მიღწევის არავითარი შანსი არ ჰქონდათ, მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. გუშინ ერთდღიანი შესვენების შემდეგ მოჭადრაკეები კვლავ მიუსხდნენ 64-უჯრიან დაფებს. ბაადურ ჯობავა, რომელსაც სამი შესაძლებლიდან მხოლოდ 0,5 ქულა აქვს, ისვენებდა. გატა კამსკი და ვასილი ივანჩუკი მე-10 სვლაზე დაზავდნენ. ორთაბრძოლის დასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ კამსკიმ პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის საიტითა და საკუთარი ფეისბუკით გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა ასე სწრაფი ყაიმისთვის და იგი წინა დღის ამბებს დაუკავშირა. 17 ივლისს კი ის მოხდა, რომ ფიდემ გაურკვეველი მიზეზებით ვაჟთა გრან-პრის სიიდან გატა კამსკი ამოიღო და მის ნაცვლად აზერბაიჯანელი ვუგარ გაშიმოვი ჩასვა. ამან, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ამერიკელ მოჭადრაკეზე.

ამსტერდამის „ოქროს კლასიკის“ მე-4 ტურის დანარჩენი ორი პარტია: ემილ სუტოვსკი - კრიშნან სასიკირანი, ლე ქუანგ ლიემი - ანა მუზიჩუკი გადაიდო. მათი დამთავრება 21 ივლისსაა დაგეგმილი.

**ვაჟა დანელია**



ბაადურ ჯობავა

ქართული სპორტი

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# ტარტამელამ შენგელია ბრუკლინში დატოვა

**გამოცემა „ფერსტანდესპორტის“ კორესპონდენტმა ენტონი ტარტამელამ „ბრუკლინ ნეთსის“ შესახებ ვრცელი სტატია დაწერა და შემადგენლობა ამპლუების მიხედვით მიმოიხილა. ცხადია, ჟურნალისტი თორნიკე შენგელიასაც შეეხო...**

„ბრუკლინელები სატრანსფერო საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართულნი. დღეს უკვე შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ გუნდის შემადგენლობაზე ამპლუების მიხედვით.

## გამთამაშებელი

ამერიკის ოლიმპიური ნაკრების წევრმა **დერონ უილიამსმა** საბოლოოდ გადაწყვიტა ბრუკლინში დასახლება - „ნეთსთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სასტარტო გამთამაშებელიც სწორედ ის იქნება. გუნდში ასევე გამოჩნდა დრაფტის მეორე წრეში აყვანილი **ტაიშონ ტეილორი**, რომელმაც ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „ბრუკლინში“ კიდევ ერთი გამთამაშებელი ჩაირიცხა - **სი ჯეი უოტსონი.**

უილიამსი, ტეილორი, უოტსონი - აი „ნეთსის“ გამთამაშებლები.




## მსროლელები

ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი „ატლანტა ჰოქსიდან“ **ჯო ჯონსონის** გადაყვანა იყო. როგორც დერონ უილიამსმა თქვა, სწორედ ჯოს გადასვლამ გადააწყვეტინა ბრუკლინში დარჩენა. ჯონსონი ამერიკის საუკეთესო მსროლელთა ხუთეულშია. სათადარიგო მეორე ნომერი **მარშონ ბრუკსი** უნდა იყოს, რომელიც „ბრუკლინმა“ 2011 წლის დრაფტზე 25-ე ნომრად აირჩია. „ატლანტადან“ ასევე გადმოვიდა **ჯერი სტეკჰაუსი.** მას ბევრი სათამაშო დრო არ ექნება, უფრო ტრავმირებული კალათბურთელების შემცვლელად მოიაზრება.

...ჯონსონი-ბრუკსი-სტეკჰაუსი.

## მსუბუქი ფორვარდები

„ბრუკლინ ნეთსმა“ გასულ სეზონში **ჯერალდ უოლასი მეჰმეთ ოქურისა შაუნ უილიამსის** სანაცვლოდ დაიმატა. ჯერალდმა გუნდთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი კარგი მსუბუქი ფორვარდია, მაგრამ საკითხავია, ვინ იქნება მისი შემცვლელი?

ახალბედა თორნიკე შენგელიამ საზაფხულო ლიგაზე გამოსვლით უოლასის შემცვლელობა ნამდვილად დაიმსახურა. 20 წლის ქართველი დრაფტზე 54-ე ნომრად აირჩიეს და კლუბის ხელმძღვანელობა თავიდან ევროპაში გაშვებას გეგმავდა. თუმცა თორნიკესავე თხოვნით, იგი „ბრუკლინის“ საზაფხულო ლიგის განაცხადში შეიყვანეს თავი დადებითი კუთხით წარმოაჩინა. NBA-ს ოფიციალური საიტის მიერ შედგენილ ახალბედათა რეიტინგში შენგელია მეათე ადგილზეა.

„ნეთსმა“ ამ ზაფხულს ბოსნიელი **მირზა ტელეტოვიჩი** დაიმატა, რომელიც უფრო მძიმე ფორვარდია, თუმცა მსუბუქ თავდამსხმელადაც შეუძლია თამაში.

...უოლასი, ტელეტოვიჩი, შენგელია.

## მძიმე ფორვარდი

გუნდში დარჩა ცენტრი **ბრუკ ლოპესი**, რომელიც კარგია შეტევისას, მოხსნებში კი დახმარება სჭირდება. სწორედ ამიტომ, მძიმე ფორვარდის პოზიციაზე „ნეთსის“ ხელმძღვანელობამ **კრის ჰამპრისი** დაიმატა (კონტრაქტი განუახლა), ხოლო „კლიპერსიდან“ **რეჯი ევანსი** გადმოიბირა.

...ჰამპრისი-ტელეტოვიჩი-ევანსი.

## ცენტრები

რადგან დუაით ჰოვარდის გადაყვანა ვერ მოხერხდა, „ბრუკლინის“ სასტარტო ცენტრი ბრუკ ლოპესი იქნება. ჯერ უცნობია, ვინ დაეხმარება ბრუკს, თუმცა სახელდება ორი გვარი - **ჯეფ ფუტე** და **დარკო მილიჩიჩი.**“

თორნიკე შენგელია ამჟამად ამერიკაშია და გუნდის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებას ელის.

**P.S.** მასალა მომზადებულია კონტრაქტის გაფორმებამდე.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. ტრანსფერი



# რის მონადირებას აპირებს სანიკიძე?

ერთი კვირის წინათ საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** იტალიურ გრანდ „მონტეპასკისთან“ 2+1 სისტემის კონტრაქტი გააფორმა. ამ და სანაკრებო თემებზე ვიქტორმა ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ამომწურავად ილაპარაკა, თუმცა ერთია, საქართველოდან დანახული იტალია, მეორე - იტალიიდან დანახული სანიკიძე. ვფიქრობთ, გამოცემა „ტუტობასკეტზე“ გამოქვეყნებული სტატია ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს, რომლის სათაურია: „სანიკიძის პირველი სიტყვა“.

„26 წლის ქართველი თავდამსხმელი ვიქტორ სანიკიძე სამი წელიწადის განმავლობაში ბოლონიის „ვირტუსში“ გამოდიოდა, ახალი სეზონიდან კი სიენის „მონტეპასკის“ ღირსებას დაიცავს. აი, რა გვითხრა ვიქტორმა, როცა საქართველოში დავუკავშირდით:

*- მოხარული ვარ. „მონტეპასკის“ დონის გუნდის მაისურის მორგება ჩემთვის დიდი პატივია. სიენელებს შესანიშნავი ორგანიზაცია აქვთ, რის წყალობითაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ექვსჯერ მოიგეს იტალიის ჩემპიონატი.*

2012-13 წლების სეზონისთვის სიენელთა გუნდში ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი სწორედ სანიკიძე უნდა იყოს...

*- დარწმუნებული ვარ, „მონტეპასკი“ მომავალ სეზონშიც ძველებურად ძლიერი და ამბიციური იქნება. ვეცდები, წარმატებაში წვლილი მეც შევიტანო. გუნდის შემადგენლობა ახლა იკრიბება, თუმცა ზოგიერთს კარგად ვიცნობ. მაგალითად, „ვირტუსში“ დევიდ მოსის გვერდით ერთი წელი ვითამაშე. ესტონელი კრისტიან კანგურის წინააღმდეგ ესტონეთის პირველობაზე არაერთი მატჩი ჩამიტარებია.*

როცა ვიქტორ სანიკიძემ ბოლონიის „ვირტუსთან“ ერთად 2011-12 წლების სეზონი დაასრულა, განაცხადა - ისეთ გუნდში წავალ, რომელიც ევროლიგაზე ითამაშებსო. მას იტალიის ჩემპიონატში საშუალოდ ორმაგი დუბლი ჰქონდა, თუმცა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ნომერ პირველ საკლუბო შეჯიბრებაში, ევროლიგაზე თამაშს, რომლის გამოცდილება სანიკიძეს ჯერ არა აქვს.

*- რაც უნდა კარგი კალათბურთელი იყო, თუ შესაძლებლობები ევროლიგაზე არ გაქვს დამტკიცებული, ითვლება, რომ კარიერაში მაინც რაღაცა დაგაკლდა. ეს ხომ ევროპის მთავარი საკლუბო შეჯიბრებაა, რომელშიც ტოპ-კლუბები მონაწილეობენ. სწორედ ევროლიგაა აუცილებელი ზრდის, გამოცდილების მიღებისა და სრულყოფისთვის.*

ბოლო სამი წელია, სანიკიძისა და „მონტეპასკის“ გზები ხშირად იკვეთება. ბოლონიის „ვირტუსის“ შემადგენლობაში სიენელთა წინააღმდეგ უთამაშია როგორც იტალიის ჩემპიონატში, ასევე თასსა და სუპერთასზე. ასე რომ, ქართველი სიენურ პუბლიკას კარგად იცნობს.

*- „მონტეპასკის“ მხურვალე ქომაგი ჰყავს, რომელიც გუნდს სტუმრადაც დაჰყვება და ენერგიულად გულშემატკივრობს. იმედი მაქვს, თეთრ-მწვანეთა ქომაგების გულებსაც მოვინადირებ. ბოლო წლებში ძალიან თბილი ურთიერთობები ჩამოვიყალიბდა „ვირტუსის“ ქომაგთან. მათ ვერ დავივიწყებ, თუმცა სპორტი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და საცხოვრებელი ადგილის შეცვლაც ისევე ხშირად გვიწევს, როგორც გუნდის.“*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

# გუნდები ქართველებითაც გააძლიერეს

**ერთდღიანი შესვენების შემდეგ კონიაში განახლდა მოჭადრაკეთა თურქეთის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც მიწვევით იქაურ გუნდებში საქართველოს 8 წარმომადგენელიც მონაწილეობს.**

მე-8 ტურში „ტარსუს ზეკამ“, რომლის ღირსებასაც ოთხი ქართველი იცავს და შვიდი ტურის შემდეგ მე-3 ადგილზე იყო, მოულოდნელად „ქეისანთან“ დათმო ორთაბრძოლა - 3,5:6,5. **მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილ და ლუკა პაიჭაძე (ქეთი წაწალაშვილს** არ უთამაშია), შესაბამისად, ვლადიმირ მალახოვს, მიხეილ ქობალიას და ევროპის ჩემპიონ ვალენტინა გუნინას დაუზავდნენ.

კვლავ დამარცხდა „ვარსკვლავებით“ დახუნძლული **ლევან ფანცულაიას** „ისეკი“ (სტამბოლი), ამჯერად „პერა სფორთან“. მართალია, ლევანმა სარხან გულიევს მოუგო და ქულა შესძინა კლუბს, მაგრამ ამან „ისეკს“ ვერ უშველა. ფანცულაიას თანაგუნდელი ევროპის ჩემპიონი ეკატერინა ატალიკი **ბელა ხოტენაშვილს** დაუზავდა. **სოფიკო გურამიშვილის** “დენიზლი პამუკალი” **ნაზი პაიკიძის** “მანიშას” დანებდა - 4,5:5,5.სოფიკო და ანა უშენინა დაზავდნენ. ნაზი ამ ტურში ისვენებდა.

გუშინ მე-9 ტურის შეხვედრებიც გაიმართა. კვლავ დამარცხდა “ტარსუს ზეკა”, ამჯერად ანკარის გუნდთან და მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს საგრძნობლად ჩამორჩა. სამაგიეროდ, იყოჩაღა “პერა სფორმა”, რომელმაც მონაგარი 2 ქულით გაიმდიდრა და 12 (51) ქულით მე-4 ადგილს ინარჩუნებს. პირველ-მესამე ადგილებს “ბეშიქთაში”-17 (61,5), სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი -16 (58,5) და “ანკარა გაზი” - 13 (52) ინაწილებენ. 9 ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი ასეთია: გურამიშვილი-7 (9-დან), მჭედლიშვილი-5,5 (9), ხოტენაშვილი-5,5 (9), ფანცულაია-5 (6), პაიკიძე-4,5 (6), პაიჭაძე-4 (5), გაგუნაშვილი-3,5 (8), წაწალაშვილი-2,5 (5).

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. საქართველო. U 20

**18 ივლისი**

**საქართველო–შვედეთი 64:87**

21:21, 18:22, 14:27, 11:17

**საქართველო:** ფხაკაძე (26 წთ, 2ქ, 3პ), სანაძე (35 წთ, 18ქ), ბოქოლიშვილი (28 წთ, 6ქ), ჯავახიშვილი (6 წთ, 2ქ), მაჩალაძე (10 წთ, 1ქ), თენიეშვილი (28 წთ, 3ქ, 8მ, 5ფ), ალხანაიძე (5 წთ, 2ქ, 5ფ), როგავა (23 წთ, 8ქ), ლომინაშვილი (8 წთ, 2ქ), ბურჯანაძე (32 წთ, 20ქ, 9მ, 2პ).

**შვედეთი:** პერსონი (15ქ, 7მ), ბარტონი (12ქ), გადეფორსი (16ქ, 11მ), ბორგი (22ქ, 4პ), ანდერსონი (3ქ), ლილკვისტი (2ქ), ასპლუნდი (1ქ), გუტენიუსი (3ქ), ისაკსონი (5ქ), ნორმანი (8ქ).

**ჩერნოგორია–ესტონეთი 72:76**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 3 | 0 | 228/194 | 6 |
| 2. ესტონეთი | 3 | 2 | 1 | 229/214 | 5 |
| 3. ჩერნოგორია | 3 | 1 | 2 | 217/213 | 4 |
| 4. საქართველო | 3 | 0 | 3 | 202/255 | 3 |



**ვაჟა სიმონიშვილი**

## ქართული სპორტი

● სუმო.
ნაგოიას ბაშო.
8-22 ივლისი



# თითო მოგება კაჩი კოშიმდე

ნაგოიასბაშოზე ელიტაში მოასპარეზე ორივე ქართველ სუმოისტს დადებით ბალანსამდე (კაჩი კოში) თითო მოგება აშორებს - თუ **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** გუშინ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა მიზანს, **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ზედიზედ 5-მოგებიანი სერია დაასრულა. ცუდად წაუვიდა საქმე ძურიოს დივიზიონში მოასპარეზე **კოკაის (ლევან ცაგურია)** - მან უკვე „დაიბევა" უარყოფითი ბალანსი (მაკე კოში) და ახლა დანარჩენი ორთაბრძოლები გვიჩვენებს, რამდენად დაქვეითდება რეიტინგში. კაჩი კოშის მიღწევა ტოჩინოშინს **მიაბიამასთან** ორთაბრძოლაში შეუძლია, ხოლო გაგამარუს ბრაზილიელ **კაისეისთან** პაექრობაში.

### XI დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოტოოშუ (იორიკირი), ბარუტო-კაკურიუ (ცურიდაში), ჰარუმაფუჯი-კისენოსატო (იორიკირი), კოტოშოგიკუ-მიოგირიუ (ცუკიტე), გოეიდო-კაისეი (შიტატენაგე), ტოჩიოძანი-ამინიშიკი (ოშიდაში), ტოიონოშიმა-ოკინოუმი (კიმედაში), ტაკაიასუ-კიოკუტენჰო (ოშიდაში), აოიამა-ვაკაკოიუ (ჰატაკიკომი), შოჰოზანი-მიაბიამა (ცუკიდაში), **ტოჩინოშინი**-ტოკიტენკუ (ჰატაკიკომი), დაიდო-**გაგამარუ** (უვატენაგე). **ძურიო:** სოტაირიუ-**კოკაი** (ჰატაკიკომი).

### სატურნირო მდგომარეობა

**11-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი)

**9-2:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), კაისეი (მაეგაშირა 8).

**8-3:** ბარუტო (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი), არანი (მ 5), დაიდო (მ 13)... **7-4:** ტოჩინოშინი (მ 4), გაგამარუ (მ 7)

### XII დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, ბარუტო-კისენოსატო, კოტოოშუ-მიოგირიუ, ტოჩიოძანი-ოკინოუმი, გოეიდო-კიოკუტენჰო, ტოიონოშიმა-ამინიშიკი, აოიამა-ტაკეკაძე, შოჰოზანი-ვაკაკოიუ, **ტოჩინოშინი**-მიაბიამა, ტაკაიასუ-ტამავაში, **გაგამარუ**-კაისეი. **ძურიო:** **კოკაი**-მასურაუმი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჩოგბურთი

## ოქსანა ნახევარფინალშია

ასტანაში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში საქართველოს სამი წარმომადგენელი ჩაება. ერთეულთა თანრიგში **სოფიო შაფათავამ** გუშინ სამ სეტში წააგო ბელარუს კსენია მილევსკაიასთან (4:6, 7:6, 3:6), რომელიც ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან მოხვდა და ასპარეზობის სტარტზე პირველ ნომრად განთესილ იაპონელ კურუმი ნარასაც აჯობა.

შეჯიბრების პირველ დღეს ტურნირს გამოეთიშა **ეკა გორგოძე**. მან უზბეკ ნაგინა აბდურაიმოვასთან დათმო შეხვედრა - 3:6, 6:4, 1:6. წყვილებში შაფათავა-გორგოძის დუეტმა, რომელიც მე-4 ნომრად იყო განთესილი, ვერონიკა კაპშაისა (უკრაინა) და ეკატერინა იაშინასთან (რუსეთი) წააგო - 5:7, 2:6. სამაგიეროდ, იყოჩაღა თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ**. იგი ასტანაში მხოლოდ წყვილებში ცდის ძალებს რუს მარტა სიროტკინასთან ერთად. ოქსანამ და მისმა მეწყვილემ მეოთხედფინალში ეკატერინა ბიჩკოვასა (რუსეთი) და კსენია პალკინას დააყრევინეს ფარ-ხმალი და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ტაილანდელთა დუეტს დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება".
ხუან ანტონიო სამარანჩი

# ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშები, 2008 წ. პეკინი, 8-24 აგვისტო

შეგახსენებთ, რომ პეკინში დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში ირიცხებოდა 35 სპორტსმენი სპორტის 11 სახეობაში, რომელთა წილად მოდის 3 ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედალი. ამ შედეგით საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველო 204 ქვეყანას შორის 27-ე ადგილზე გავიდა. დღეს წარმოგიდგენთ საქართველოდან პეკინის ოლიმპიადის კიდევ 18 მონაწილეს.
დასაწყისი (იხ. "ლელო" №165).



ნესტორ ხერგიანი (ძიუდო)



ზაზა კედელაშვილი (ძიუდო)



დავით ქევხიშვილი (ძიუდო)



საბა გავაშელიშვილი (ძიუდო)



ლევან ჟორჟოლიანი (ძიუდო)



ლაშა გუჯეჯიანი (ძიუდო)



ირაკლი რევიშვილი (ცურვა)



ანა სალნიკოვა (ცურვა)



ლუბა გოლოვინა (ბატუტზე ხტომა)



რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა)



არსენ კასაბიევი (ძალოსნობა)



ალბერტ კუზილოვი (ძალოსნობა)



ბესარიონ გოჩაშვილი (თავ. ჭიდაობა)



გელა სალირაშვილი (თავ. ჭიდაობა)



ლაშა გოგიტიძე (ბ/რ ჭიდაობა)



დავით ბედინაძე (ბ/რ ჭიდაობა)



ბადრი ხასაია (ბ/რ ჭიდაობა)



რამაზ ნოზაძე (ბ/რ ჭიდაობა)

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი" /ზაურ ბოლქვაძე/

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი ერი

# პუმებმა მძიმე არტილერიას უხმეს

**არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოთხი ერის გათამაშებისთვის მოსამზადებლად 33 მორაგბეს უხმო. „პუმები" წლეულს პირველად დაემატებიან სამი ერის გუნდებს, - ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკას, ავსტრალიას და საინტერესო ბრძოლაში ჩაებმებიან.**

არგენტინის ნაკრებზე ახლა ბევრი რამაა დამოკიდებული. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ბოზოლა სარაგბო ქვეყნებთან ტოლ-სწორად ბრძოლა შეუძლიათ და მათი წარმატებები ამ ქვეყნების ნაკრებებთან ასპარეზობისას ეპიზოდური არ არის. ეს ხელ-ფეხს გაუხსნის IRB-ს სხვა განვითარებადი ქვეყნებიც წაახალისოს და ელიტარულ გუნდებთან ხშირად ათამაშოს.

აღსანიშნავია, რომ „პუმების" თავკაცმა თითქმის ყველა უძლიერეს მორაგბეს უხმო, მათ შორის ვეტერანებსაც. ფელანის რჩეულთა შორის ვერ მოხვდა მგეზავი **ფელიპე კონტეპომი,** როგორც ჩანს, მწვრთნელმა მას ასაკით უფრო უმცროსი **ხუან მარტინ ერნანდესი** არჩია, რომელმაც შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ასპარეზობა ტრავმის გამო გამოტოვა.

ოთხი ერის გათამაშებაზე იასპარეზებს შერკინების ბურჯი **როდრიგო რონსეროც,** რომელიც ტურნირის დასრულების შემდეგ რაგბიდან წასვლას აპირებს.

*„ოთხი ერის გათამაშებაში უმძიმესი ბრძოლები გველის. ჩვენ მსოფლიოს სამი საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში, თუმცა ეს ერთადერთი გზაა, რათა პროგრესი განვიცადოთ, განვვითარდეთ.*

*კარგი შედეგის მისაღწევად ყველა უქმეებს მაქსიმალურად მობილიზებული უნდა შევხვდეთ. იმედი მაქვს, რომ დიდი რაგბის თამაშს შევძლებთ"* - თქვა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **პატრისიო ალბასეტემ.**

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ლეგიონერი არგენტინის ნაკრებში ქართველ მორაგბეთა ფრანგულ კლუბ „მონპელიეს" ჰყავს. „პუმების" რიგებში ჩვენებურთა ექვსი თანაგუნდელი იასპარეზებს. ესენია: **მარტინ ბუსტოს მოიანო, მაქსიმილიანო ბუსტოსი, ავგუსტინ კრევი, სანტიაგო ფერნანდესი, ხუან ფიგალო და გონსალო ამოროსინო.** არგენტინის ჩემპიონატში მოასპარეზე მორაგბეთაგან ეროვნულ ნაკრებში ვერავინ მოხვდა. ყველაზე მეტი, შვიდი მოთამაშე „პამპასებს" ჰყავს, რომელიც სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში, ანუ „ვადაკომის თასზე" ასპარეზობს. პამპასელთა ღირსებას იცავენ: **ტომას კუბელი, ტომას დე ლა ვეგა, ხულიო კაბელო, მარტინ ლანდახო, ტომას ლეონარდი, ბრუნო პსოტილიონი და ლეონარდო სენატორე.**

შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩს არგენტინის ნაკრები 18 აგვისტოს სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან. სტუმრად, კეიპ თაუნში გამართავს.

**არგენტინის ნაკრები:** ორასიო აგულა (ბასი), პარტისიო ალბასეტე, ნიკოლას ვერგალო (ორივე-ტულუზი), მარკოს აიერსა (ლესტერი), მარსელო ბოსხი, მანუელ კარისა, ეუსებიო გუნასუ (სამივე-ბიარიცი), მარტინ ბუსტოს მოიანო, მაქსიმილიანო ბუსტოსი, ავგუსტინ კრევი, სანტიაგო ფერნანდესი, ხუან ფიგალო, გონსალო ამოროსინო (ექვსივე-მონპელიე), გონსალო კამაჩო (ექსეტერი), რაფაელ კარბალო, ნიკოლას სანჩესი (ორივე-ბორდო), ტომას კუბელი, ტომას დე ლა ვეგა, ხულიო კაბელო, მარტინ ლანდახო, ტომას ლეონარდი, ბრუნო პსოტილიონი, ლეონარდო სენატორე (შვიდივე-პამპასები), ხუან ფერნანდეს ლობე (ტულონი), ავგუსტინ ფიგუეროლა (ბრივი), ალვარო გალანდო, ხუან მარტინ ერნანდესი, ხუან იმოფი, ხუან პაბლო ორლანდი (ოთხივე-მეტრო რასინგი), ხუან ლეგუსამონი (ლიონი), მარტინ როდრიგესი (სტად ფრანსე), როდროგო რონსერო (უგუნდო), ტომას ველახოსი (ჰლანეჰლი).



# ავსტრალია წითლების გარეშე იკრიბება

**ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რობი დინსმა საწვრთნელ შეკრებაზე, რომელიც 24-26 ივლისს სიდნეიში გაიმართება, 30 მორაგბეს უხმო.**

„ვოლაბები" ოთხი ერისთვის მოსამზადებლად რამდენიმე მოკლევადიან შეკრებას გაივლიან. ამჯერად ავსტრალიელთა რიგებში არ იქნებიან ბრისბენის „რედსის" მორაგბეები, რომლებსაც პლეი ოფის მატჩები აქვთ გასამართი ზე რაგბის გათამაშებაში.

გამოძახებულთა შორის არ არის მგეზავი **ჯეიმზ ოკონორი,** რომელმაც ტრავმა მოიშუშა და ახლა რეაბილიტაციის პროცესს გადის. ავსტრალიელთა თავკაცმა დასვენების საშუალება მისცა „ფორსის" მეორეხაზელ **ნათან შარპს.** სამაგიეროდ დინსმა გუნდში იხმო ტრავმამოშუშებული გარემარბები **დრიუ მიტჩელი** და **ლაკი ტერნერი.**

*„რამდენიმეეტაპიანი საწვრთნელი ბანაკები საშუალებას გვაძლევს საფუძვლიანად მოვემზადოთ. ეს აუცილებელი პროცესია, რათა, რაც შეიძლება მეტი მორაგბე ვნახოთ საქმეში და განვუმარტოთ, რას მოვითხოვთ მათგან, თუ ეროვნულ გუნდში თამაში მოუწევთ.*

*„რედსის" მორაგბეები ამჟამად გუნდში არ არიან. თუმცა ამით არაფერი შავდება. თუ ეს გუნდი ზე რაგბის ნახევარფინალის შესარჩევ ეტაპს დაძლევს, ძალიან კარგი იქნება. რადგან მოთამაშეები მუდამ საწვრთნელ პროცესში იქნებიან ჩართულნი"* - თქვა ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რობი დინსმა.

**ავსტრალიის ნაკრები:** ქართლი ბეილი, კუპერ ვუნა, მიჩ ინმენი, ნიკ ფილიპსი, კედრინ ნევილი, ჰიუ პაილი (ექვსივე-მელბურნ რებლზი), ადამ ეშლი-კუპერი, დრიუ მიტჩელი, ლაკი ტერნერი, რობ ჰორნი, ბერნარ ფოლი, ბერიკ ბარნსი, დეივ დენისი, კენი დაგლასი, სიტალეკი ტიმანი, სეკოპე კეპუ, ბენ რობინსონი, პედი რაიანი, ტატაფუ პოლოტა-ნაუ (ყველა-ვორათაზი), ნიკ კამინსი, დევიდ პოქოკი (ორივე-ფორსი), პეტ მაკკები, მაიკ ჰუპერი, ნიკ ვაითი, ბენ მოვენი, ბენ ალქესანდერი, სტივენ მური (ექვსივე-ბრამბიზი).

**ოთხი ერი**

**18 აგვისტო**

ავსტრალია-ახალი ზელანდია
სამხრეთ აფრიკა-არგენტინა

**25 აგვისტო**

ახალი ზელანდია-ავსტრალია
არგენტინა-სამხრეთ აფრიკა

**8 სექტემბერი**

ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა
ახალი ზელანდია-არგენტინა

**15 სექტემბერი**

ავსტრალია-არგენტინა
ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა

**29 სექტემბერი**

სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია
არგენტინა-ახალი ზელანდია

**6 ოქტომბერი**

არგენტინა-ავსტრალია
სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია


რობი დინსი

ტრანსფერი


სონი ბილ ვილიამსი და დენ კარტერი

# ფული მთავარი არ არის

ახალი ზელანდიის ნაკრების შუამარბი **სონი ბილ ვილიამსი** ზე რაგბის გათამაშების დასრულების შემდეგ იაპონიაში აპირებს თამაშს. მან უკვე გააფორმა მოკლევადიანი კონტრაქტი ამ ქვეყნის ერთ-ერთ გუნდთან. ახალზელანდიელმა იაპონიის ჩემპიონატის 12 მატჩში უნდა ითამაშოს, რისთვისაც 970 ათას ევროს მიიღებს.

ახალი ზელანდიის სპორტულ მედიაში დიდი ხანია ფიგურირებს ვერსია, რომლის მიხედვითაც სონი ბილ ვილიამსი რაგბის თამაშს აღარ აპირებს და 2013 წლიდან რაგბი ლიგის გუნდ „სიდნეი რუსტერზში" იასპარეზებს.

ახალზელანდიელი ქომაგები, სონი ბილი, რაოდენ კარგადაც უნდა თამაშობდეს, მისდამი სწორედ ცვალებადი ხასიათის გამო არ არიან სიმპათიით განმსჭვალულნი. მორაგბედ მას არასდროს აღიქვამდნენ. აკი შარშან ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშების მსვლელობის დროს, ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას, მასპინძლებმა მის ხსენებაზე გრიმასა შეკრეს და მითხრეს - ეგ ხომ მორაგბე არ არის, რაგბი ლიგელიაო.

ერთი სიტყვით, სონი ბილ ვილიამის თავისას არ იშლის. თანაც ამტკიცებს, რომ ამას ფულის გამო არ აკეთებს.

*„ადამიანებს ჰგონიათ, რომ ჩემი მენეჯერი სულ იმის მცდელობაშია, როგორმე სარფიანი კონტრაქტი გამიჩარხოს. პირიქით, ის საამისოდ არაფერს აკეთებს. უბრალოდ, თამაშისას ვცდილობ ყველაფერი გავილო, კარგად ვითამაშო და მომხიბვლელი წინადადებები თავისით მოდის.*

*ბევრ ადამიანს ჩემზე არასწორი წარმოდგენა აქვს. რა ვქნა, ახლა 26 წლის ვარ და აქედანვე უნდა ვიზრუნო, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ცარიელზე არ დავრჩე. ძალიან ბევრი მოთამაშე მინახავს ისეთი, რაგბიდან წასვლის შემდეგ რომ აღარ იცის რა ილონოს, რით იარსებოს. არ მინდა მათ რიგებში აღმოვჩნდე.*

*ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, რაგბიში დავრჩები თუ ისევ რაგბი ლიგას დავუბრუნდები. ერთი რამ კი გადაჭრით შემიძლია ვთქვა - იაპონიიდან თუ ახალ ზელანდიაში დავბრუნდი, აუცილებლად ისევ ჰემილთონის „ჩიფსის" ღირსებას დავიცავ.*

*გამორიცხული არ არის, ევროპას მივაშურო. რაგბი ლიგიდან რომ წამოვედი, პირველი გუნდი, სადაც თამაშმა მომინია ფრანგული „ტულონი" იყო. ამ გუნდის პრეზიდენტი მურად ბურჯელალი დიდი ხანია ისევ მეპატიჟება. ერთი სიტყვით, თუ კარიერა ევროპაში გავაგრძელე, ეს აუცილებლად „ტულონში" მოხდება.*

*ბურჯელალი დიდი ადამიანია. მას ძალიან უყვარს „ტულონი" და ამ გუნდის კეთილდღეობისთვის ყველაფერს აკეთებს. ამიტომ მას უდიდეს პატივს ვცემ და, ისევე როგორც „ჩიფსს", „ტულონსაც" არასდროს ვუღალატებ"* - თქვა სონი ბილ ვილიამსმა.

ახალი ზელანდიის ნაკრების მგეზავმა **დენ კარტერმა** მწუხარება გამოთქვა, სონი ბილის ამ ნაბიჯის გამო:

*„პატივს ვცემ მის გადაწყვეტილებას. მსგავს ვითარებაში მეც გახლდით 2008 წელს, როცა ფრანგულ „პერპინიანთან" მოვაწერე კონტრაქტს ხელი. ძალიან ვწუხვარ, რომ იაპონიაში მოკლე ვადით თამაშის შემდეგ ის რაგბი ლიგაში აპირებს გადასვლას. სონი ბილი ჩვენი ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნება. მას „ოლ ბლექსში" კიდევ ძალიან ბევრი წარმატების მიღწევა შეეძლო".*

ლეგიონერები

# ბრეგვაძის კიდევ ერთი ჯოკერი

საფრანგეთის ჩემპიონ „ტულუზისა" და საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭმა **ჯაბა ბრეგვაძემ** ახლახან ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც რამდენიმე თვე გაუცდება. ორიოდ თვის წინათ ტულუზელებმა გადაწყვიტეს თავი დაეზღვიათ და სამედიცინო ჯოკერად გუნდში კიდევ ერთი ქართველი **აქვსენტი გიორგაძე** დატოვეს.

ამ დღეებში კი „ტულუზში" კიდევ ერთი შერკინების კვაჭი ჩაირიცხა. „ტულუზის" ხელმძღვანელებმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს შარშანდელი გამოცდილება. მაშინ ტრავმების ეპიდემიის გამო გუნდი 18 წლის შერკინების ერთი კვაჭის ამარა დარჩა.

ამჯერად საფრანგეთის ჩემპიონის რიგებში მისი ყოფილი მოთამაშე, **ვეგილ ლაკომბი** მიიწვიეს. ამ 28 წლის მორაგბემ გასული სეზონი „ბრივში" გაატარა და ამჟამად თავისუფალი აგენტი იყო. გახშირებული ტრავმიანობის შემთხვევაში ჩვენებურების ნაცვლად სწორედ ის ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● ველოსპორტი

# არც ერთი ტური დოპინგის გარეშე

სამწუხაროდ, ვერც წლევანდელმა ტურ დე ფრანსმა აიცილა თავიდან დოპინგ-სკანდალი. დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს თანამედროვე ველორბოლის ერთ-ერთი ვარსკვლავი, "რედიოშეკის" ლუქსემბურგელი მრბოლელი **ფრენკ შლეკი**. მის ორგანიზმში აღმოაჩინეს აკრძალული პრეპარატი - დიურეტიკი, რომელიც სპორტულ შედეგებზე გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ წონის დაკლებისთვის გამოიყენება.

ორგანიზატორთა განცხადებით, დადებითი შედეგი აჩვენა დოპინგ-სინჯმა, რომელიც წლევანდელი ტურის მე-13 ეტაპის შემდეგ აიღეს.

ამ დღეებში შეამოწმებენ „B სინჯს" და თუ მანაც დადებითი შედეგი აჩვენა, შლეკს ორწლიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდება. მანამდე კი ის ჩამოაშორეს მიმდინარე ველომარათონს და ფრენკი ვერ გავიდა მე-16 ეტაპის სტარტზე.

*„მე დაჟინებით ვამტკიცებ, რომ არანაირი აკრძალული პრეპარატი არ მიმიღია. არ ვიცი, რატომ აღმოჩნდა დოპინგ-სინჯის შედეგი ასეთი. ახლა, უნდა დაველოდოთ „B სინჯს", რომლის გახსნის უფლებაც გამაჩნია. თუ ისიც დადებითი იქნა, მე მაინც ვიბრძოლებ ჩემი უდანაშაულობის დასაცავად. შესაძლოა, შეგნებულად მომწამლეს",* - განაცხადა ლუქსემბურგელმა ველომრბოლმა.

ფრენკ შლეკი გენერალურ კლასიფიკაციაში მე-12 ადგილზე იყო. მან ბოლო ოთხ ტურ დე ფრანსზე სამჯერ პირველ ათეულში დაასრულა გამოსვლა. შეგახსენებთ, რომ წლევანდელ ტურზე არ ასპარეზობდა ფრენკის უმცროსი ძმა – **ანდი შლეკი**, რომელსაც ტრავმა აწუხებს. ანდი ტურ დე ფრანსის 2010 წლის ჩემპიონია.


ფრენკ შლეკი

● კალათბურთი

# ჰილი კლიპერსისაა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, „ლოს ანჯელეს კლიპერსმა" „ფინიქს სანზის" ფორვარდით **გრანტ ჰილით** გააძლიერა შემადგენლობა. ეს


გრანტ ჰილი

კალათბურთელი ოქტომბერში 40 წლის გახდება.

მხარეებმა ორწლიან შეთანხმებას მიაღწიეს და ორი სეზონის განმავლობაში ჰილი 1.9 მილიონ დოლარს მიიღებს. ამ ფორვარდის სანაცვლოდ, „ფინიქსმა" ამავე ამპლუის მოთამაშე - **რაიან გომესი** მიიღო.

გაცვლის მთავარი ინიციატორი აღმოჩნდა „კლიპერსის" მთავარი მწვრთნელი **ვინი დელ ნეგრო**. კალიფორნიული კლუბის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ჰილი გუნდს დაცვით მოქმედებებში დაეხმარება და **კერონ ბატლერთან** ერთად გააძლიერებს მსუბუქი ფორვარდის პოზიციას.

გრანტ ჰილი 1993-94 წლების სეზონიდან თამაშობს NBA-ში. მან „დეტროიტის", „ორლანდოსა" და „ფინიქსის" შემადგენლობაში 997 მატჩი ჩაატარა. ექვსჯერ მიიღო მონაწილეობა „ყველა ვარსკვლავის მატჩში".

ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში გრანტმა 1996 წელს, ატლანტას ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიგო.

■ ■ ■

ამერიკული პრესა ირწმუნება, რომ ახალგაზრდა მცველის **ჯერემი ლინის** გაფორმების შემდეგ, „ჰიუსტონ როკეტსს" ლიგის საუკეთესო ცენტრის - **დუაიტ ჰოვარდის** ხელში ჩაგდების კარგი შანსი აქვს. როგორც ჟურნალისტები წერენ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „როკეტსსა" და „ორლანდოს" შორის სულ მალე ტრეიდი განხორციელდება.

შეგახსენებთ, რომ თავიდან „ბრუკლინი" იყო ჰოვარდის გადაბირების მთავარი პრეტენდენტი, მაგრამ ფლორიდული კლუბის ხელმძღვანელობასთან კომპრომისს ვერ მიაღწია და უარი თქვა მოლაპარაკებებზე.

● კრივი

# ჰეი ელიტაში დააბრუნეს

ავტორიტეტულმა ამერიკულმა გამოცემა The Ring Magazine-მა სუპერმძიმეწონოსნების მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა და ათეულში დააბრუნა ბრიტანელი **დევიდ ჰეი**. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჰეიმ გასულ კვირას, მეხუთე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა თანამემამულე **დერეკ ჩისორა**.

დევიდ ჰეი ჟურნალის რეიტინგიდან შარშან გამოიყვანეს, რადგან ბრიტანელმა კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება, ახლა კი ის პლანეტის საუკეთესო მძიმეწონოსნებს შორის მეოთხე ადგილზე იმყოფება.

ერთი კვირის წინ, რეიტინგის ათეულში დებიუტი ჰქონდა კუბელ **ოდლანიერ სოლისს**, მაგრამ ჰეის დაბრუნების შემდეგ, ის კვლავ TOP10-ის მიღმა აღმოჩნდა.

**განახლებული რეიტინგი ასე გამოიყურება**

**ჩემპიონი - ვლადიმერ კლიჩკო**

1. ვიტალი კლიჩკო
2. ალექსანდრ პოვეტკინი
3. ტომაშ ადამეკი
4. დევიდ ჰეი
5. კუბრატ პულევი
6. რობერტ ჰელენიუსი
7. დენის ბოიცოვი
8. რუსლან ჩაგაევი
9. კრის არეოლა
10. ტაისონ ფიური

■ ■ ■

ამასობაში, The Ring-ის ვერსიით საუკეთესო მძიმეწონოსანმა **ვლადიმერ კლიჩკომ** უკრაინული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში თავისი პოტენციური მეტოქეები დაასახელა. შეგახსენებთ, რომ უკრაინელმა 7 ივლისს, ამერიკელი **ტონი ტომპსონის** დამარცხების შემდეგ, შეინარჩუნა WBA-ის, WBO-სა და IBF-ის საჩემპიონო ტიტულები.

*„მზად ვარ შევხვდე ნებისმიერ მოკრივეს, ვის წინააღმდეგაც აქამდე რინგზე არ გავსულვარ. მინდა ჩემს მომავალ მეტოქეებად ახალი სახეები ვიხილო. მათ შორის არიან - ამერიკელი სეტ მიტჩელი, ბრიტანელი ტაისონ ფიური და პოლონელი მარიუშ ვახი",* - განაცხადა კლიჩკომ.

● ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# წილისყრა 26 ივლისს

ლონდონის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირის წილისყრა 26 ივლისს გაიმართება, - წერს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი.

ღონისძიება უიმბლდონის კლუბის ტერიტორიაზე ჩატარდება. ჩოგბურთელთა განთესვა ATP-სა და WTA-ის რეიტინგის (23 ივლისის მდგომარეობით) მიხედვით მოხდება.

იმ შემთხვევაში, თუ ორი მოთამაშე ან ორი დუეტი ერთ ქვეყანას წარმოადგენს, ისინი სატურნირო ბადის სხვადასხვა მხარეს მოხვდებიან. თუ ერთი ქვეყნის გუნდში სამი ან მეტი ჩოგბურთელი იქნება, მათ ბადის სხვადასხვა ოთხეულში გაანაწილებენ

ლონდონში საჩოგბურთო ტურნირი 28 ივლისს დაიწყება და 5 აგვისტოს დასრულდება. მასში მონაწილეობას მიიღებს 45 ქვეყნის 64 ჩოგბურთელი. წყვილთა თანრიგში 32 დუეტი იქნება წარმოდგენილი.

■ ■ ■

ამასობაში, საბოლოოდ გაირკვა, რომ ოლიმპიადაზე ვერ ითამაშებს გერმანული ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერი **ანდრეა პეტკოვიჩი**. ამის შესახებ მსოფლიოს მე-18 ნომერმა თავის „ტვიტერზე" დაწერა.



*„ჩემდა სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ, რომ ოლიმპიადაზე ვერ ვითამაშებ. ჯერჯერობით მზად არ ვარ კორტზე დასაბრუნებლად",* - დაწერა პეტკოვიჩმა.

შეგახსენებთ, რომ ანდრეამ ამ სეზონის დიდი ნაწილი ფეხის ტრავმის გამო გამოტოვა.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**II საკვალიფიკაციო**

| | |
|---|---|
| ბატე-ვარდარი | 3:2 |
| აელ-ლინფილდი | 3:0 |
| მარიბორი-ჟელეზნიჩარი | 4:1 |
| ლუდოგორეცი-დინამო (ზ) | 1:1 |
| ბუდუჩნოსტი-შლიონსკი | 0:2 |
| მიოლდე-ვენტსპილსი | 3:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კლუჟი-ტარგუ | 1:0 |
| ნანსი-სედანი | 3:1 |
| ჰანოვერი-ჰერტა | 0:4 |
| ლორიანი-ლავალი | 2:2 |
| რენი-გინგამი | 1:2 |
| ტრუა-დიჟონი | 0:3 |
| ალმერი-ჰარტლპული | 3:0 |
| ბორდო-აიაჩო | 1:2 |
| ლიერსი-ჰიბერნიანი | 1:1 |
| ოსტენდე-კორტრიიკი | 2:1 |
| ერფურტი-დორტმუნდი | 0:4 |
| ჰევერლე-ლოკერენი | 1:0 |
| სტანდარდი-მალიორკა | 1:0 |
| ამაზულუ-მანჩესტერ იუნ | 0:1 |
| ოფენბახი-ლევერკუზენი | 0:3 |
| სტევენეიჯი-ტოტენჰემი | 0:2 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ულ კისა-ჰამ კამი | 0:1 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| რეალ გარსილასო-სპორტ ბოისი | 1:1 |
| მელგარი-სპ. კრისტალი | 1:2 |
| უნიონი-ხოსე გალვესი | 0:3 |
| სპორტი-სენსიანო | 2:0 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი-ჩიკაგო | 1:0 |
| [illegible]-პორტლენდი | 1:0 |

**კალათბურთი**

**[illegible] 2012**

**UNDER 20**

| | |
|---|---|
| გერმანია-უკრაინა | 74:81 |
| რუსეთი-სერბეთი | 61:84 |
| საბერძნეთი-საფრანგეთი | 72:55 |
| იტალია-ლატვია | 78:94 |
| თურქეთი-ლიტვა | 45:76 |
| სლოვენია-ესპანეთი | 70:63 |

**ჩოგბურთი**

**ATP. გშტაადი**

| | |
|---|---|
| ფ. ლოპესი-ჰაიეკი | 6:7, 6:1, 6:4 |
| ბელუჩი-იუჟნი | 4:6, 6:2, 6:4 |
| გულბისი-პერი | 5:7, 7:6, 6:4 |
| ლააკსონენი-**ხირალდო** | 2:6, 2:6 |
| ვავრინკა-**მატიო** | 6:7, 6:7 |

**ATP. ჰამბურგი**

| | |
|---|---|
| როსოლი-**რამოსი** | 6:7, 6:4, 3:6 |
| **ჰაასი**-სიმონი | 4:6, 6:3, 6:4 |
| **ფ. მაიერი**-ჰაასე | 6:2, 6:1 |
| დელ ბონისი-**ჩილიჩი** | 3:6, 2:6 |

**WTA. კარლსბადი**

| | |
|---|---|
| უოტსონი-**ჩანი** | 3:6, 6:7 |

**WTA. ბაშტადი**

| | |
|---|---|
| სოლერ ესპინოსა-**პავლიუჩენკოვა** | 4:6, 0:6 |
| კრეიბასი-**იოჰანსონი** | 4:6, 1:6 |
| **ლარსონი**-გოვორცოვა | 7:6, 4:3 უარი |
| **ბარტელი**-კ. ბონდარენკო | 6:2, 7:5 |
| ცურენკო-**პირონკოვა** | 5:7, 3:6 |
| **ჰერცოგი**-გორგესი | 7:6, 6:2 |

● TV პროგრამა

**19 ივლისი. ხუთშაბათი**

**I არხი**

**20:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. მეტალურგი-პლზენი. პირველი მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. შალკე.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ვოლფსბურგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-რომა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ბორდო.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვაალვაიკი.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
**22:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ლილი.
**23:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-გრანადა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-კალიარი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-ფინიქსი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-შოტლანდია.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ნაპოლი.
**21:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**22:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-ფინიქსი.
**23:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**00:30** NBA Action.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
**13:15** სპორტ-NEWS.
**13:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპონატი. უდინეზე-ნაპოლი.
**15:45** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**16:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 22 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 21 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 21 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 20 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 20 | 28 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 20 | 27 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 19 | 33 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 20 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 20 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 12 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 16 | 28 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 15 | 23 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0216 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6515 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5780 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0966 |

● ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# 30 წუთით ნაკლები შოუ

ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა თამაშების გახსნის ცერემონიის 30 წუთით შემცირება გადაწყვიტეს.

გასულ უქმეებზე ჩატარებული რეპეტიციის შემდეგ გაჩნდა ეჭვი იმაზე, რომ ცერემონია დაგეგმილ სამ საათზე მეტხანს გაგრძელდება. შესაბამისად, შოუ დროში ძალიან გაიწელება და მაყურებელს გაუჭირდება სახლებში დაბრუნება.

თავად შოუ-წარმოდგენა 90 წუთს დაიკავებს, დანარჩენი დრო კი დაეთმობა 204 ქვეყნის ნაკრებთა აღლუმს, აგრეთვე ოლიმპიური ცეცხლის დანთების საზეიმო ცერემონიას.

ვარაუდობენ, რომ გახსნის ცერემონია ადგილობრივი დროით დაახლოებით 00:30-ზე დასრულდება, მეტრო კი იმ დღეს 02:30-მდე იმუშავებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 წლის შემდეგ

## როგორ იქმნებოდა და თამაშობდა 1992 წლის დრიმ თიმი

დასაწყისი წინა ნომერში

ნაწილი მეორე. ღმერთები ბავშვების წინააღმდეგ

**"ეცადე საღამოს ღრმად დაიძინო, რადგან ხვალ დაგცინებთ და ეს მთელი კვირა არ დაგავიწყდება".**

ივლისის ბოლოს მოთამაშეები პირველად შეიკრიბნენ ლაჯოლის (კალიფორნია) მდიდრულ სასტუმროში, სან დიეგოსთან ახლოს, რათა რამდენიმე დღის განმავლობაში საწვრთნელი შეხვედრები ჩაეტარებინათ ამერიკის საუკეთესო სტუდენტების წინააღმდეგ.

**მაიკ კჟიჟევსკი (აშშ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე):** მწვრთნელთა შტაბის პირველ შეხვედრაზე ჩაკმა მე და პი ჯეი კარლესიმოს გვითხრა: "თქვენ ორივემ უნდა დაიმახსოვროთ ერთი რამ". ამ სიტყვების შემდეგ, საკუთარი უბის წიგნაკები ამოვიღეთ და საწერად მოვემზადეთ. მან გააგრძელა: "თითოეულმა თქვენგანმა უნდა ისწავლოს იგნორირება". ჩვენ ვკითხეთ: "ეს რას ნიშნავს?" "თქვენ უნივერსიტეტებში მუშაობთ - ცდილობთ ნებისმიერი დეტალის გაკონტროლებას და წარმატების შექმნას სკურპულოზური მუშაობის საფუძველზე. ახლა ეს თვისება მოიშორეთ. არ უნდა იყოთ დისციპლინის და წესრიგის თავგამოდებული დამცველები. ეს ბიჭები ნამდვილი მამაკაცები არიან. მხოლოდ მაშინ ვიმოქმედებთ, თუ რაიმე მნიშვნელოვანი მოხდება.

**კრის უებერი (სტუდენტური გუნდის მოთამაშე):** აეროპორტიდან ლიმუზინით ლარი ბერდთან ერთად ვიმგზავრე და ჩემთვის ეს დიდი პატივი იყო. ჩვენ ვილაპარაკეთ "პისტონსის" წინააღმდეგ მატჩზე, სხვადასხვა საკალათბურთო მოძრაობაზე და ბევრ სხვა თემაზე, რაც კალათბურთს უკავშირდება. ის კარგ ადამიანად მეჩვენა. შემდეგ, როცა მანქანიდან გადმოვედი და ჩემი ჩანთები ავიღე, მან მითხრა: "ეცადე საღამოს ღრმად დაიძინო, რადგან ხვალ დაგცინებთ და ეს მთელი კვირა არ დაგავიწყდება".

**ალან ჰიუსტონი (სტუდენტური გუნდის მოთამაშე):** დარბაზში მისულები აივანზე მოვხვდით, საიდანაც კარგად ჩანდა მთელი მოედანი. ეს შთამბეჭდავი სანახაობა იყო. ვხედავდით, როგორ ტენიდა ჩარლზ ბარკლი, როგორ იგებდა ბურთს ჯორდანი, ფარისკენ მიჰქროდა და ჰაერში დაფრინავდა. ყოველ ჩვენგანს გონებაში მხოლოდ ერთი აზრი გვიტრიალებდა: "ნუთუ ვარჯიშებზეც აკეთებენ ამას?"

**კრისტიან ლეიტნერი (აშშ-ის ნაკრების მძიმე ფორვარდი):** მახსოვს ის მომენტი, როცა ზემოთ ავიხედე და კოლეჯის ამხანაგები დავინახე. იმ წამს, ბარკლიმ მელოუნს თავზე გადაატენა ბურთი და ყველა მათგანს ყბა იატაკამდე ჩამოუვარდა.

■ ■ ■

პირველი საწვრთნელი მატჩი "დრიმ თიმსა" და უნივერსიტეტის ვარსკვლავებს შორის 24 ივნისს გაიმართა და ის რამდენიმე მიზეზით ლეგენდარული გახდა.

**კრეიგ მილერი (აშშ-ის საკალათბურთო ასოციაციის PR-დირექტორი):** დეილიმ უნივერსიტეტის მწვრთნელებს უთხრა - სტუდენტებს ისე ეთამაშათ, როგორც ამას უცხოელი კალათბურთელები აკეთებენ, ანუ მას სურდა, მატჩის დიდი ნაწილი მეტოქის სამწამიანის ხაზთან ახლოს ემოქმედათ.




**ჰიუსტონი:** იმ სტილით უნდა გვეთამაშა, რომელსაც ნაჩვევი არ ვიყავით. გვესმოდა, რომ დასაკარგი არაფერი გვქონდა. ასე რომ, თამაში დავიწყეთ და პენიმ ორჯერ ჩატენა ბურთი. მე მგონი, მეც ჩავაგდე რამდენჯერმე. თითოეული ჩვენგანი თავს ლაღად გრძნობდა.

**პენი ჰარდუეი (სტუდენტური გუნდის მოთამაშე):** მათ გაიფიქრეს: "შესანიშნავია, ჩვენ წინააღმდეგ ახალგაზრდა ბიჭები დააყენეს - ცოტას გავხურდებით. ჩვენ მათ უმნიშვნელო სხვაობით მოვუგებთ, რამდენიმე ავტოგრაფს დავარიგებთ, ყველა ბედნიერი იქნება". მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რამდენად ნიჭიერები ვიყავით.

**ბრაიან მაკინტაირი (NBA-ის ვიცე-პრეზიდენტი):** პენიმ ცენტრში რამდენჯერმე ჩაჭრა ბურთი და ყველამ ერთხმად ამოიოხრა. იმ მომენტში მოედანზე დაძაბულობა წარმოიშვა. დღემდე მახსოვს ის გრძნობა. ეს პირველი დღე იყო!

**ჩარლზ ბარკლი (აშშ-ის ნაკრების მძიმე ფორვარდი):** როცა ისინი პირველად დავინახეთ, ბავშვებად აღვიქვით. ერთმანეთს ვეუბნებოდით: "მოდით, ნუ დავამცირებთ ამ პატარა ბიჭებს". მათ კი ისე დაიწყეს თამაში, თითქოს ეს პლეიოფის სერიის მეშვიდე შეხვედრა იყო. სანამ ჩვენ ეს გავაცნობიერეთ, დავმარცხდით.

**ჰიუსტონი:** დრო გავიდა – 20-20-წუთიან ორ ტაიმს ვთამაშობდით. ისევ წინ ვიყავით. თამაში შეწყვიტეს. ჩვენ მორცხვად შევბრუნდით და გულში ვამბობდით: "ეს არ უნდა მომხდარიყო". რამდენიმე წუთის განმავლობაში სიტყვა არავის უთქვამს.

**კარლ მელოუნი (აშშ-ის ნაკრების მძიმე ფორვარდი):** ჩვენ მათ მიმართ ლმობიერები ვიყავით, მათ კი არ დაგვინდეს. დეილის ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს უნდოდა ხმამაღლა ეთქვა: "შესანიშნავია, ეს სწორედ ის იყო, რაზეც გელაპარაკებოდით ბიჭებო. თქვენ მზად უნდა იყოთ". იმავე დღეს გვინდოდა მათთან კიდევ ერთხელ თამაში, მაგრამ დეილიმ არ მოგვცა ამის უფლება. ჩაკს უნდოდა - გვეგრძნო ეს წაგება, რომ ის ღრმად ჩაგვბეჭდოდა გონებაში.

**უებერი:** მათი დამარცხების შემდეგ არავის უთქვამს: "ბიჭებო, ჩვენ უბრალოდ მოგაგებინეთ". ეს ჯადოსნური ღამე იყო. მახსოვს, ბობი ჰიორლისთან ერთად რამდენჯერმე ვესტუმრეთ იმ ღამით გოლფის მოედანს – იმდენად ვიყავით აღფრთოვანებულები.

**ჰიუსტონი:** სასტუმროში დაბრუნების შემდეგ, ერთ ესკალატორზე ამოვჩნდი ბერდთან და უებერთან. კრისი რაღაცაზე აღელვებით ლაპარაკობდა. ბერდი შემობრუნდა და გვითხრა: "ნუ ნერვიულობთ, ხვალ სულ სხვა დღე დადგება". მან ამ აზრთან მარტო დაგვტოვა. მართლაც, როცა მოედანზე დავბრუნდით, ახალი დღე დადგა (იცინის).

**ბარკლი:** ჩვენ მათ მცირე შეტყობინება დავუტოვეთ.

**უებერი:** ერთი ქულაც ვერ დავაგროვეთ. არც ერთი. ვერც საჯარიმოს ხაზიდან ჩავაგდეთ და ვერც თამაშიდან. წინა დღეს შესანიშნავი სამუშაო ჩავატარეთ და ისინი გამოვაღვიძეთ. ამის შემდეგ, მზად იყვნენ ჩვენ წინააღმდეგ და ნებისმიერ მეტოქესთან სერიოზული თამაშისთვის.

**მაკინტაირი:** როცა სირენის ხმა გაისმა, ბარკლიმ მათი სკამის გვერდით ჩაიარა და უთხრა: "ბიჭებო, ძალიან გაგიმართლათ, რადგან კარგად ვერ განვეწყვეთ დღევანდელი მატჩისთვის".

**ჰარდუეი:** ჯორდანთან გასახდელში მივედით, ჩვეულებრივი სტუდენტებივით ვიქცეოდით და ვეუბნებოდით: "შეიძლება თქვენი ფეხსაცმელი? მომეცი, წამოვიღებ, რაც ამ ოთახში გაქვს!"

**უებერი:** პენის არ უთქვამს, რომ ჩვენ ერთგვარ საიდუმლო დავალებაზე ვიყავით. მე წინდები და სპორტული ფეხსაცმელები ავიღე. ჯორდანს მისი საყურეებიც ვთხოვე. ზოგიერთ ნივთს, რაც იმ დღიდან შემომრჩა, მხოლოდ ჩემი შვილიშვილები ნაიღებენ დიდების დარბაზში, რადგან არ ვაპირებ სიცოცხლის ბოლომდე მათთან გამოთხოვებას. ეს ფანტასტიკური დღე იყო. ეს იყო საუკეთესო დრო ჩემს ცხოვრებაში. საუკეთესო.

■ ■ ■

ფორმალურად, აშშ-ის ნაკრებს ოლიმპიადაზე მოსახვედრად შესარჩევი ტურნირი უნდა გაევლო, ამიტომაც მოთამაშეები პორტლენდში ჩაფრინდნენ, სადაც 28 ივნისს, პირველი ოფიციალური მატჩი ელოდათ ამერიკის პირველობაზე.

**მარვ ალბერტი (NBC-ის კომენტატორი):** მახსოვს, როცა პირველად ვნახე ეს ნაკრები, ცოტათი შემეშინდა. ჩემთვის ეს იყო ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეებს შორის თამაში სპორტის ყველა სახეობაში. თავიანთ პირველ მატჩში მათ კუბის ნაკრები 79 ქულის სხვაობით დაამარცხეს.

**დევიდ დუპუი (გაზეთ USA Today-ის კორესპონდენტი):** ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ აშშ-ის წინააღმდეგ თამაშობდნენ ბიჭები დახეული და ჩამოძენძილი მაისურებით. ფანტაზია სწორედ ასეთ სურათს ხატავდა. თუმცა, ისინი ცდილობდნენ, როგორც შეეძლოთ.

**მელოუნი:** ვერ ვიტყვი, რომ თამაში ცეკვას ჰგავდა, მაგრამ ძალიან იოლად გავიმარჯვეთ.

**ლეიტნერი:** თამაშის ტემპი ფენომენალური იყო. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან თითოეულ პოზიციაზე ლეგენდა თამაშობდა.

**დევიდ სტერნი (NBA-ის კომისარი):** მეტოქე გუნდის კალათბურთელები უფრო იმით იყვნენ დაინტერესებული, რომ ჩვენს ბიჭებთან გადაეღოთ ფოტოები და თამაშზე არც ფიქრობდნენ.

**ნათანიელ ბატლერი (NBA-ის ოფიციალური ფოტოგრაფი):** ჩვენ პირით ხაზთან ვისხედით. მეჯიქი ერთ-ერთ მეტოქეს ზურგით დაუდგა და მის მოტყუებას ცდილობდა. ეს ბიჭი კი დაცვის დროს თავისი სკამის მიმართულებით ყვიროდა: "ახლა! ახლა!" იმ მომენტში სკამზე მჯდომმა ერთ-ერთმა მოთამაშემ ჩანთიდან ფოტოაპარატი ამოიღო და თავის პარტნიორს ფოტო გადაუღო.

**იან ჰაბარდი (Newsday-ის საკალათბურთო მიმომხილველი):** ერთხელ ვენესუელას წინააღმდეგ ვთამაშობდით და ერთ-ერთი კალათბურთელი, მეჯიქის წინააღმდეგ დაცვისას, თხოვდა მას: "შენი ფეხსაცმელები მინდა! შენი ფეხსაცმელები მინდა!" ეს ხდებოდა მატჩის დროს! მეჯიქმა უპასუხა: "მომისმინე, ისინი მეც მჭირდება!"

**ლენი უილკენსი (აშშ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე):** მაშინ ვფიქრობდით, რომ ეს სახალისო იყო. მაგრამ წლების განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ შემდეგ ჯერზე ისინი თან წამოიღებდნენ არა კამერებს, არამედ თავიანთი საუკეთესო თვისებების გამოვლენისთვის იზრუნებდნენ".

გაგრძელება იქნება

### ესპანეთს გაუჭირდა

ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა - ესპანეთის ნაკრებმა მორიგი საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარა. ამჯერად მისი მეტოქე იყო ავსტრალიის ნაკრები. გრანადაში ჩატარებულ მატჩში მასპინძლებს გაუჭირდათ „მწვანე კონტინენტის" წარმომადგენელთა დამარცხება.

პირველი ტაიმი აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ფრედ დასრულდა. ესპანელებმა გადამწყვეტ უპირატესობას მეოთხე მეოთხედის ბოლოს მიაღწიეს და ექვსი ქულის სხვაობით გაიმარჯვეს - 75:69 (19:16, 16:19, 19:18, 21:16).

გამარჯვებულთა რიგებში შესანიშნავად ითამაშა **პაუ გასოლმა**, რომელმაც 11-დან 7 ბურთი ჩააგდო და 22 ქულა დააგროვა.

### ბრაიანტი: ასაკზე ლიმიტი სისულელეა

„ლეიკერსისა" და აშშ-ის ნაკრების მცველმა **კობი ბრაიანტმა** სულელური უწოდა NBA-ის კომისარის **დევიდ სტერნის** იდეას, რომელიც ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირზე მოთამაშეთა ასაკის შეზღუდვას უკავშირდება.

*„ეს სულელური იდეაა, - ამბობს სააგენტო „როიტერთან" კომენტარში ბრაიანტი. - ეს თითოეული კალათბურთელი პირადი არჩევანი უნდა იყოს. კლუბების მფლობელებს სურთ მოთამაშეები ტრავმებისგან დაიცვან, მაგრამ ეს ეროვნული გუნდების შეჯიბრებაა და იქ საუკეთესოები უნდა თამაშობდნენ".*

### ლიტვის განაცხადი

ლიტვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კიასტუტის კემზურამ** ლონდონის ოლიმპიადის 12-კაციანი საბოლოო განაცხადი გამოაქვეყნა, რომელმაც ასეთი სახე მიიღო:

**შარუნას იასიკიავიჩუსი, მანტას კალნიეტისი, რენალდას სეიბუტისი, მარტინას პოციუსი, რიმანტას კაუკენასი, ლინას კლეიზა, სიმას იასაიტისი, იონას მაჩიულისი, დარიუს სონგაილა, იონას ვალანჩუნასი და ანტანას კავალიაუსკასი.**

შეგახსენებთ, რომ კავალიაუსკასი ბოლო მომენტში მოხვდა ნაკრებში - მან ტრავმირებული კაპიტანი **რობერტას იავტოკასი** შეცვალა.

### უინტერესო ფეხბურთი

ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა რეალიზაციიდან ამოიღეს საფეხბურთო ტურნირის მატჩებზე დასასწრები 500 ათასი ბილეთი, - ამის შესახებ წერს გაზეთი „გარდიანი".

შესაბამისი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ ბილეთების რეალიზაცია ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა. შესაბამისად, საფეხბურთო მატჩების დიდი ნაწილი ოლიმპიადაზე სანახევროდ ცარიელი ტრიბუნების ფონზე ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ ლონდონის გარდა, საფეხბურთო ტურნირს გლაზგო, მანჩესტერი, ნიუკასლი, კარდიფი და ქოვენთრი უმასპინძლებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608